ცისკარი.

1 8 6 7

მარტი.

წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:

1 — თოთა. (ოსურის ცხოვრებიდამ.) ან. ფურცელაძისა.
2 — წერილი ჩემს მეგობარს (ლექსი) ზურაბ მოენიძისა.
ცხენი და ვირი. (ჰეინედამ) ანტ. ფურცელაძისა.
3 — გუსი (რუსულიდამ). რ. ყაზიბეგისა.
4 — ბუნების მეცნიერებიდამ. (ბერნშტეინიდამ.) ანტ. ფურ-
ცელაძისა.
5 — სია 1867 წლის ცისკარზედ კელის მოამწერთა.

ტფილისს.

კერესელიძის სტამბაში.

ტფილისი

3.

ხმები თოთაზედ, და სიკო თვითნებიძე.

„თითო მაგისთანა ავაზაკი არ მოგვაკლდება,—მიამბობდა მე ერთი ჩემი ნაცნობი ნადიამბეგარი:— ერთს დავიჭერთ, დავკარგავთ,—მეორე იმ წამსვე საიდაღაც გატყერება და აღარა გვაქვს მოსვენება. არც ჩამორჩობისა ეშინიათ, არც ციმბირისა. მაგრამ, უნდაკი მოგახსენო, მაგასთანა, მაგ თოთასთანა ხელში მოუგდებელი და გაოსტატებულიკი ჯერ არავინ გამოჩენილა. ვერაფრით ვერაფი ვერ მოვატყუეთ. ხან კაცები გაუგზავნეთ დასაამხანაგებლათა, ვითომც ისინიც გავარდნილები არიან, რომ ეგება ამ ამხანაგობაში იმათ ის გულდანდობილა, ან მძინარე მოვკლათ; ხან სად გვინდა შეგვეტყუებინა, ხან სულ გზები შეუკარით; მაგრამ აპა! შენ არ მომიკვდე ჩვენ ვერაფრით ვერც მოვატყუეთ და ვერც არა გავაწყეთრა. ვარშავაში ნამყოფი და გამოცდილია და!... რა ენა გინდა არ იცის! რუსული, ქართული, ოსური, პოლშური, თათრული ღა კიდევ რა გინდა! ერთხელ სოფელს ახალნაგრეეს შევინწყვდიეთ ეგა. შემოვარტყი მთელი სოფლის ხალხი, ასამდინ ახოტნიკი და თხუთმეტი ყაზახი. ჯერ დიდს ხანს ვეძებეთ;—ვერ ვიპოვნეთ. მერე, ერთიც ვნახოთ, ერთის ორლობიდამ, რომლის პირშიაც ოთხი ყაზახი იდგა გზის შესაკრავათა, გამოვარდა თოთა ცხენითა. ცალს ხელში ამოღებული ხმალი ეჭირა და ცალს ხელში რევოლვერი. იმან უცებ დასჭყიველა საშინელის ხმით ყაზახებსა. ყაზახები, იმის

მაგივრათ რომ ან მოეკლათ, ან დაეჭირათ, შიშისაგან მიიფანტმოიფანტნენ და გაუხსნეს შეკრული გზა, და როდესაც თოთა გაიქცა, მაშინ შექნეს ყვირილი: დერჟი! დერჟი!... რალა დროსი იყო? ამაზედ გამომაგდეს მე სამსახურიდამა და სხვა დანიშნეს იმის დასაჭერათა. ენახოთ ის როგორღა დაიჭერს! ბატონო! რო არ შეიძლება იმის დაჭერა. წელანაც არა ესთქვი, ხელში ძნელათ უვარდება კაცსა და ამხანაგებს არ იყენებს. ერთხელ ერთი ოსი გაუგზავნეთ, რომ დაამხანაგებოდა. შენ არ მომიკვდე! რა საქმე გიჭირს, რომ გამოვარდნილხარო? თურმე ჰკითხავს თოთა. ასეა, ასე, შენი ჭირიმე,--ეტყვის თურმე ის ოსი:—ერთი ჩემი სახლკაცი შემომაკედა სიმთვრალეშია და ახლა დამდევენ დასაჭერათაო. შალვამ თურმე მოისვა ხმლის ყუას ხელი და ერთი თუ ორი! ერთი თუ ორი! არა, შე ასეთ ისეთოვო, რამდენიც გასკდე, იმდენი სად უნდა სულ ხალხი ხოცოვო! წადი, წადი ისევ იმათთან, ვისგნითაც გამოგზავნილი ხარო, თორემ მე იმათზედ უარესს გიზამო. გამოისვა თურმე და სულ კუდით ქვა ასროლინა... ეგ რათ გინდა, ერთს დიდს კაცს უფრო კარგი საქმე არ უყო, და რატომ არ დაიჭირა, თუ კარგი კაცი იყო! ერთს დილა ღღესა, შიგ შუა გულს ქალაქს ადგილასა, ერთი რიგიანათ ჩაცმულდახურული მშვენიერს იარაღში ჩამჯდარი კაცი შეეიდა პირდაპირ დიდკაცთან სახლში.

—ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა!

—გაგიმარჯოს. რისთვის გარჯილხარ?

—თქვენა, შენი ჭირიმე, თოთას დაჭერა თურმე გინდათ და შეეიტყე ახოტნიკებს ეძებთ.

დიახ! დიახ!

— მი მინდა ახოტნიკობა.

დიდმა კაცმა აათვალიერ-ჩამოათვალიერა ეს კაცი.

— შეგიძლიან დაიჭირო, ან მოკლა?

— მაგისი მე ვიცი! პირობას მოგცემ, რომ თუ ამ ერთს კვირაზედ თოთა არ მოგგვაროთ, საციმბირეთ გამხადეთ. ოღონდ ეხლა ერთი ლიტრა თოფის წამალი და ერთი ხუთიოდე თუმანი ფული მომეცით. როცა მოვიყვანო, ათიოდე თუმანიც მაშინა.

დიდს კაცს ეს ძალიან იამა. იმან მაშინვე წაიყვანა ის კაცი . . . . და ჩამოართმევინა ხელ\ერილი, რომ თეოდორე ჯოშოშვილმა (თავის სახელი და გვარი თითონ ამ კაცმა ისე უთხრა) უნდა ამ ერთს კვირაზედ, ცოცხალი იყვეს თუ მკვდარი, ჩამოჰგვაროს თოთა, რომლისათვისაც ეხლა ეძლევა ერთი ლიტრა თოფის წამალი და ხუთი თუმანი ფული და ათი თუმანიც, უკეთუ შეასრულებს პირობასა, მაშინ მიეცემა, უკეთუ ვერ შეასრულებს, ის ფული და წამალი უნდა უკანვე დაუბრუნოს.

გავიდა ერთი კვირა და ამავე კაცმა დაუკრა ამ დიდკაცს თავის სახლშიევ თავი.

— ა! რა ჰქენ?-- ჰკითხავს დიდი კაცი.

— მოვიყვანე.

— სად არის?--ჰკითხავს გახარებითა.

— მე თითონ გახლავართ თოთა ჯოშამვილი და თეოდორეც ჩემი ნათლობის სახელია.

ავათ მტერი მოგიკვდეს, ავმა ფერმა ამ დიდკას გადაჰკრა.

— თქვენა ბრძანდებით?... დანაშაული გვაქვს... ჩემი ცოლ-

შვილის საცოდაობაში ნუ ჩად....

—არა ნუ შეწუხდებით!--გააწყვეტინა თოთამა: —მე ჩემი პირობა შეეასრულე, თქვენ უნდა თქვენი პირობა შეასრულოთ--ჩემი ათი თუმანი მიბოძეთ.

—სწორეთ, სამართლიანი ბრძანებაა... ოღონდ მე....

—მე თქვენთან რა ხელი მაქვს... მე ჩემს ფულსა გთხოვეთ.

—იქნება უფრო მეტი გნებავდეთ...

—არა, მადლობელი გახლავართ! მე მარტო რაც მერგება, ის მიბოძეთ.

—ჩემს სახსოვრათა... აქ უფროსმა მოისვა ჯიბეში ხელი და ერთი ქისა სულ საესე ფული მისცა.

„თოთა შეჯდა ცხენზედ და გასწია წყნარათ, თითქო, აქ არა ანბავიარაო... ფულიკი არაფერი. . . . . მარგრამ სირცხვილი?!...“

—რა სირცხვილია!-- უპასუხე მე:--ვინც უნდა ყოფილიყო იმ დიდ კაცის ადგილას, ყველას ეგ დღე დაადგებოდა. გასაკვირველი მანდ არის გამბედაობა თოთასი.

„მაშ სხვას ნულარ ამტყუენებენ და!--მართლულობდა თავს გამოგდებული დიამბეგი:--აბა თქვენი ჭირიმეთ, მე რალას მოველოდი, რომ ის ოთხს ყაზახს შებედავდა და ხელიდამ წაუვიდოდა!.. მაგრამ პანლურიკი ამომიჭირეს სამსახურიდამ წვრილშვილის პატრონს კაცსა. . . . . .

„ჩემის თვალითა ვნახე, რომ ერთხელ თავადს ეფთვიმე კუდირიკამვილს, რომელსაც იქით მხარეს შეძლებით თავადის შვილი არ სჯობნიან, ჩამოუხტა თოთა შუადღისას შიგ სოფელში, შეაწერა ათი თუმანი ფული, გამოართო იმავე წამსა

და წავიდა თავისთვისა. ამას მთელი სოფელი ჰხედავდა, თითონ ეფთვიმესაც მსახურები სულ შინა ჰყავდა, მაგრამკი ვერა გაბედარა. ეგ თოთა როცა ქართულს ჯარში ყოფილა, თურმე ისეთი მხდალი ყოფილა, თითონ მაგისმა ასის თავმა, მიამბო; რომ როდესაც სროლა ატყდებოდა, ეგ ყოველთვის თურმე იმალებოდა. ერთხელ ებრძანებინა მაგისთვის იმას სროლაში ცხენის ჩაგვრა, და ის ვერ გაებედნა. ახლაკი ეგრე გააფთრდა. ამასთან საშინელი რამ არის: სადაც არ მოელოდე, იცოდე, რომ იქ დაგიხვდება. დღეს რომ აქ გაცარცოს კაცი, იმავე დღესვე ერთის დღის სავალზედ სხვებსა სცარცვამს. ასეთი შიშის ზარი აქვსთ მაგისგან შემძლე კაცებს დაცემული, რომ ერთი თოთას სახელის გახსენება და იმათი გონების დაკარგვა ერთია. ღარიბს ხალხსკი არას ერჩის, პირიქით თუ ძალიან ღარიბი ვინმე ნახა კიდეც აძლევს... უფროკი იმათ ემტერება, ვინც იმას ჩამოიკიდებს, ან დაემუქრება, ან დევნას დაუწყებს; ამასაც ამბობენ, რომ უსამართლო ვაჭრებსა და დიდკაცებსაც ემტერებაო. ბევრს კარგს ამბავსაც ამბობენ მაგისას. ერთხელ თურმე სამს ურიას დაუხვდა სტამბოლში მიმავალებსა. იმათ, შეშინებულებმა, მალე თურმე მისცეს რაც რამა ჰქონდათ, ჯერ მარტო შვიდას, რვასი თუმანი სულ ნაღდი ფული ყოფილიყო. თოთას თურმე შეებრალა და ისევ უკან დაუბრუნა: წაიღეთ შვილოვო, თქვენი ყმა და მამული ეს არისო! მხოლოდ ერთი ხუთიოდე მანეთი დაეჭირა იმ ფულში. ეხლა ფული არა მაქვს, თორემ არც ამას გამოგართმევდითო. . . . .
და ერთი კარგი რევოლვერიც მოგმიტანეთო. . . . .
ეგრეთი კაცია ეგა... აბა ახლა მე რა უნდა მექნა?.. ვისი

ბრალია! ძალათი გაავკაცებინეს თავი და ახლა სასიკვდილოთ დასდევენ!... მართალია . . . . . .

—როგორ თუ ძალათი გაავკაცებინეს თავი? — ვკითხე მე.

„აგრე გამიგონია;—მიპასუხა ნადიამბეგარმა, თორემ მე კი თითონ არ ვიცი. იმისი მეგობარი სიკოა და ამ ზაფხულას, თუ შინ წახვალ, სიკო გიამბობს იმის ამბავსა. თოთას გულისთვის კინალამ სიკოც დაიჭირეს, რომ ის შენი მეგობარიაო. . . «

მე დიამბეგის ნაამბობი არა მჯეროდა და ვფიქრობდი, რომ ეს უმატებს მეთქი თოთას ამბავსა თავის გასამართებლათა, მაგრამ რაკი ღვდლისაგანაც ეს ამბავი გავიგონე და შევნიშნე, რომ ის ძალიან შიშითა ლაპარაკობდა, მაშინ კი დავრწმუნდი, რომ ჩემი ნაცნობი დიამბეგი არა სტყუოდა: ეტყობა თოთას მართლა შიშის ზარი დაეცა ხალხისთვისა. ამის შემდგომ მე ძალიან მოვმინდა თოთას ამბის დაწერილებით შეტყობა. მე ვიცოდი, რომ თუ დიდი მიზეზი არა აქვს კაცი ასე ამრიგათ თავს არ გაიმეტებს და ამის გულისთვის მინდოდა შემეტყო ყოველი ცხოვრება და თავგადასავალები ამ გვარი კაცისა, რომლებიც მიახწევინებს იმას აქამდინ. გზაში თანა ვფიქრობდი, რომ ეგება სიკო მალე ვნახო მეთქი, და თან კი ცოტა შიშიც მოვმეცა გულში, რომ ვაითუ თოთა გზაში სადმე დაგვიხვდეს, მე ამ ჩემს ტანისამოსში დიდი ვინმე ვეგონო და რაც გვაბადია, ესეც წაგვართვას მეთქი.

მივატანე ჩვენს სოფელს და დავინახე ჩვენი სოფლის გაშლილი ვენახები, ტყესავით ატეხილი კაკლის ხეები და გაბმული ხეხილი. დავინახე ჩვენი გიჟი, შფოთიანი რიყე დაუ-

სრულებელი წყალი, რომელიც თავისის ხუილით კაცს სამ ოთხს ვერსხედ თავს აცნობებს,-მეტადრე ჩუნს უქარო დარში. ამ სურათებმა გამიღვიძა გულში ჩემი ტკბილი ყმაწვილობა, როკესაც ფეხშიშველა, ტიტველა დახეთქილის კანჭებითა და თავშიშველა დაეძვრებოდი ხოლმე ვენახებში ყურძნისა და კიტრების საქურდლათა და ჭალაში კვრინჩხისა და შინდის საკრეფლათა. წარმომიდგა ჩემი სიყმარწვილე და დამიწყო გულმა როგორღაც საამურათ ცემა. სეკვირვდლია! რაც უნდა სილარიბესა და გაჭირვებაში გამოგვეველოს ჩვენი ყმაწვილობა, მაინც შემდგომ ცხოვრებაში სასიამოვნო მოსაგონათა გვაქვს ის ცხოვრება. ეს ხომ მაინც ასრეა: წარსული დროსი ყოველივე კარგი გვახსოვს და ცუდს ვაძლევთ დავიწყებასა. თორემ აბა რა მაქვს კარგი მოსაგონარი ჩემის ყმაწვილობისა! სიტიტვლე, შიმშილი, ცემა, სიცივე და ყოველრიგი უბედურები ჩემს თავს იყო. ან შემდგომისათვის, რა მოშეცა რომ მე შემძლებოდა ბრძოლა ყოველრიგის თავ გადასავლებისა და პატიოსნებით გამოსელა ყოველ რიგის უპატიოსნო საქმეებიდან?--ყმაწვილობაშივე, რომ არ ჩამნერგოდა ჩემს გარეშემო მყოფთ პირთ ბაძვით ათასნაირი ცუდი თვისება და ზნე, იქნება ეხლა მე უფრო სხვანაირი კაცი ვყოფილვიყავი, იქნება მქონოდა ძალა ხასიათისა და აზრების სიმტკიცე. ახლაკი, იმ ჩემ სიყმაწვილე გამოვლილი, რასაც საქმეს მინდა არ შეუდგე, ჯერ ვინ იცის რაოდენს ხანს უნდა ვებრძოლო ჩემს წამხდარს და გარყვნილს თვისებასა, და მანამ ამას დაეერეოდე, მანამ ხალისიც იკარგება და ძალაცა. რასაც საქმეს შეუდგები, ბოლოს ვერ ულებ, ყველა საქმეს, რაღაცა შიშითა და გაუბედავათ ეკი-

დებ ხელსა... ყველგან მდევნის რალაც მოკრძალება და სიმხთალე.

შევედი ჩვენს სოფელში და შევსტოპე წისქვილის წყალში, რომელიც ჩამოუდის სოფელს გვერდითა. წყლის პირას წუმპეში ეყარნენ ღორები და მიეშვირნათ კმაყოფილებით მზისათვის ზურგები, კამბეჩები ეყარნენ მორეეში და ამოეყოთ მორეეიდამ ფრფვინვით თავი; ხბორები ეყარნენ წყლის ნაპირსა მწვანე ნაბალარის ბეგოზზედ. ამათაც ვეუცხოვე ჩემს ტანისამოსში. . . . . ღორები მაშინვე წამოხტნენ, ტრუხუნითა, გაიფანტ-გამოიფანტნენ განზედა. დადგნენ მოშორებითა და დამიწყეს გვერდზედ შიშითა და გაოცებით ცქერა; ხბორებიც მაშინვე განკვირვებით წამოხტნენ ზეზედ და დამიწყეს იმათაც იმ სახითვე ცქერა; კამბეჩებიც ორს გარდა, წამოსცვივდნენ მორეეიდამ, გაიგცნენ კუნტრუშით კუდ აბზეკილები და სამშვიდობოს გასულებმა დამიწყეს განცვიფრებით ყურებ-გაცქვეტილებმა ყურება, თუ ნეტა ეს რალა მხეცი უნდა იყვეს,--ბევრი სხვა ნაირი ხალხიკი გვინახავან, იმაზი ბარგიც გვიზიდნია, მაგრამ ამნაირი მხეცებიკი არ გვინახავსო; როდესაც ვერაფერს აზრს ვერ მოვიდნენ ჩემს შესახებ, ისევ შეიკუნტრუშეს, გაიგცნენ უფრო შორსა, დადგნენ და კიდევ იმ გვარის გაოცებითა და ფიქრით დამიწყეს ცქერა. ორი კამბეჩი, რომელთაც დარბაისლობა და დინჯობა ზოგიერთა კაცივით სახეზედ ეტყობოდათ, არ დაიძვრნენ თავისის ადგილიდამ. ისინი მძიმეთ და აუჩქარებლად ჰყოფდნენ თავს კმაყოფილებით მღვრიე წუმპე მორეეში ნესტოების ფრუტუნითა და ჰფიქრობდნენ თავის გუნებაში, ზოგიერთა დარბაისელი და დინჯი კაცივითა: ეს წუმპე ცხონებას

გვირჩევნიანო და აქედამ არამვეთუ ქართული ევროპულათ მოკაზმული და თვით ევროპელებიც ვერ ამოგვიყვანენო. ერთის სიტყვით ძალლათაც არ ჩააგდეს ჩემი ევროპიული სანახაობა ზოგიერთა წუმპის მოყვარული კაციითა.

ჩემი მისვლა აცნობა ჩვენებს ჩვენმა ბებერმა ძალლმა, რომელმაც, როგორც ბებრების წესია, დაიწყო სამინლათ ყეფა, რაკი ახალი და უნახავი რამ დაინახა. ჯერ ყოჩალათ გამოექანა ჩემთან საყეფრათა და რაკი მე არ შეუშინდი და გავსწიე პირდაპირა, იმან ამოიდო ლაჯებში კუდი, შეძვრა რალაცა ჯუჯუტანაში და იქიდამ შექნა წკავ-წკავი. ამ ყეფამ გამოახედა ჩვენები კარებზედ.

ჩვენებსკი იამათ ჩემი ევროპიული ტანისამოსი: ეს იმათ დიდკაცობა ეგონათ.

სიკოს მეორეს დღესვე გაეგო ჩემი მოსვლა და იმავე წამს გადმოიჭრა ჩემთან.

მე და სიკო ვიყავით ერთათ სასწავლებელში. ის იყო ჩემზედ ორი სამი წლით დიდი. მართალია ის თავადისშვილი იყო და მე აზნაური, მაგრამ სიკო იმავ სიყმაწვილითვე არ დასდევდა დიდს და პატარას. თუმცა ერთმანერთს არაფერში არა ვგვანდით, მაგრამ იმავ სიყმაწვილიდამვე უყვარდი მე იმასა: იმის შიშით არ შეეძლო არავის ჩემი ხმის გაცემა. ის მახლობელი ნათესავიც იყო ჩემი.

სიკო თავისის ხასიათით არის შესანიშნავი. სიკოები და იმათი მგზავსები ძალიან ბევრნი არიან ჩვენში და მეც ბევრს შევხვედრივარ, მაგრამ ჩემი ნათესავი სიკოსთანა გამორკვეული და თავის მსგავსი სიკო არც ერთი არ მინახავს.

ამ ჩვენს სიკოს იმავ სიყმაწვილითვე შეტამუტას უძახდ-

ნენ. ის იმავ სიყმაწვილითვე ცელქი და მალხაზი ბაქმეი იყო. უყვარდა საკვირველათ ცხენი და იარაღი, ჭიდაობა და კრივი, საკრავები და თამაშობა, კოხტათ ჩაცმა და დახურვა; იყო საშინელი უხვი გულის პატრონი. სწავლაზედ გული სრულებით არა ჰქონდა, თუმცა სწავლის ნიჭიკი არ აკლდა. მე მახსოვს, როცაკი ისე მოვიდოდა ხოლმე ქეიფზედ და ჩაუჯდებოდა წიგნს, ის ერთს წუთაზედ სწავლობდა თავის გაკვეთილსა. მაგრამ ეჯავრებოდა დახურულში ჯდომა; ბრძანება, მრისხანე სახე მასწავლებლების . . . . . .

უყვარდა თავის ნებით ცხოვრება, და უფროსებს რო ეთქვათ წყალში არ ჩავარდე, თორემ დაიხრჩობიო, ის მაშინვე იფიქრებდა უთაოთ წყალში ჩავარდნა კარგი რამ უნდა იყვეს, თორემ არ დამიშლიდნენო. მინამ მამა ცოცხალი ჰყვანდა, მინამ არ ანებებდა სწავლას თავს, და რაკი მამა მოუკვდა, იმან მაშინვე ღაანება სწავლას თავი და დაბრუნდა შინა. ყმა და მამული კარგი დარჩა ასე, რომ თუ ჭკუისთვის მოეველო, თუნდა ხუთს თავადიშვილის ოჯახს შეინახავდა; მაგრამ სიკოსკი აქედამ ხელში არა ეჭირარა. განა თუ ან მხნეობა აკლდა, ან სიმარჯვე. მაგრამ ძნელი ეს იყო, შინ ძვირათა ტრიალდებოდა და, როცა შინ იყო, ძვირათ თუ იმის სახლში ლოთობა და ქეიფი გამოილეოდა. არც ერთი ღღეობა იქით მხარეს, არც ერთი ქორწილი, არც ერთი თამაშა უამისოთ არ შეიძლებოდა, სადაც სიკო არ იყო, იქ ყველაფერი იყო დავრდომილი და უმოძრაო. სადაც საუკეთესო ცხენი ან იარაღი გაჩნდებოდა, თავს ზედ დაადებდა და სიკოკი იშოვნიდა, თუ ფასით არა, ძალით მაინცა! თუ არა ოსებს მოაპარვინებდა, მერე იყიდდა და წა-

დი და მერე ედავე! ალარც ერთი სხეული ალარა ჰქონდა მთელი და დაუკერებელი, შეპოვება მაინცკი არასი არა ჰქონდა. გადმოვარდებოდა გაჭენებულის ცხენიდამა, ცხენი ზედ გადიელიდა, ან ტყუპათ წიხლებს მიაყრიდა გულმუცელში და ეს თავპირ დამტვრეული, ფეხ ან ხელ აკანჭურებული მისდეედა გაქცეულს ცხენს და იძახდა: „ფშეეუ! ფშეეუ!... დაიჭი დაიჭი, შენი ჭირიმე! შინისკენ თავი არა ჰქნას, თორემ უცხენო დავრჩებიო...“ დაიჭერდა და ისევ ზურგზედ მოექცეოდა თითქო აქ არა ამბავიაო და დაიწყებდა კიდევ ან თამაშას და ჯირითს. ვინ იცის რავდენჯერ აქვს ფეხები და ხელები სიმთვრალეში, თუ სიფხიზლეში დანტვრეული და ამოგდებული! ვინ იცის რავდენჯერ გავარდნია თოფი და დამბაჩა თავისის დაუდეგროობით და გაუხვრეტია თავისივე სხეული, მაგრამ, შენ არ მოკმიკვდე! ვითომც ეს იმის თავს არ მოუხდარაო. ერთის სიტყვით არაფრის შეპუება და არაფრის წინ დახვალიება არა ჰქონდა. ვაი იმისი ბრალი, ვინც ამასთან ბღენკას დაიწყებდა; მეტადრე ემტერებოდა. . . . . ერთხელ გაჩნდა ამათს უჩასტკაში ამისავით გიჟი. . . . . გიჟს ხომ გიჟი ეჯავრება! . . . თურმე დედაკაცურათ უღერებდა და იძახოდა: „ჰაი, გიჟი, დანთხვეული, ეგა!... თუ ეგ არ მოვარჯულე მაშ რალა კაცი ვყოფილვარო. სიკოც თავის მხრივ ეძებდა დროს.“ დამაცადოს, ამბობდა ისა: — მაგას ჯერ ჩემი შუბლი არ უნახავსო...“ და აკი გაუწყრათ ლმერთი და ორივ გიჟები შეიყარნენ ერთათ თავადი გივი გოჭიყლაპიაშვილის ქორწილში. გაიმართა ღვინის სმა . . . . თურმე აბხორილი და აყვინჩილებული გაჰბღვერის სიკოსა. მინამ არ გადუკრავს სიკოსკი, არაფერი-- ჩუმათ თურმე იყო

და რაკი პატარა გოგრაში შეუჯდა, მაშინკი თურმე გადასწვდა . . . „არა, რას გამომბღვერი, რომ გამომბღვერი!... არა, ერთი მითხარ, რას გამომბღვერი?!...“--ვის უბედავ, ვისა, შე ცეტო შენა! ჰა?.. ვინ არის აქ შენი ტოლი?!... „აბა თუ ვინ არისო! და სტაცა სიკომ ქოჩორში ხელი დაიდო ქვეშა. შეიქნა ჰაიჰუი! და ცოცხალმკედარი ძლივს წაართვეს სიკოს. . . . . ხელიდამა. . . . წამოვიდა მუქარითა, რომ ციმბირში დააკარგვინებდა სიკოს. გაიმართა საჩივარი და ვგონებ ჯერაც არ გათავებულა. ერთის სიტყვით, სიკოს ტყუილათ არ ეძახდნენ დანთხვეულსა. სიკვდილის და შიშის ფიქრი იმის თავში თითქო თავის დღეში არ შესულაო. როგორიც იყო თავის გარშემო ხალხში, ომშიაც ისეთი შეუპოვარი იყო. გაიგციეს ოსმალები. ამან ანება ქართველის და რუსის ჯარს თავი და მარტოკა ჩაერია მტრების გუნდში. მოუკლეს აქ ცხენი. მარტოს შემოერტყა ოთხი ოსმალი და როგორც წაუქნიეს შტიკები ასაგებლათა; სიკო ერთი თვალის დახამხამებაზედ დაემხო პირქვე, აიცდინა შტიკები და უცებ მოექცა ერთს ოსმალს ზურგს უკან, იღლიაებს ქვეშა და დაბღოჯა მაგრა. რამტენიც შემოუტიეს სხვებმა, იმდენი მიუშვირა ხელში დაპყროშილი ოსმალი, მანამ არ იმარჯვა ტამბაჩის გაძრობა. აქ ამან დასცა ერთს დამბაჩა და ჩააწვინა; იძრო საჩქაროთ ხანჯალი და მინამ იმისი ხელიდამ გათანვისუფლებული ოსმალი მოუბრუნდებოდა, მინამ ამასაც ღვიძლებამდინ ჩაუსვა ზურგში ხანჯალი და აიტაცა იმის შტიკი. ამ ამბავში მოეშველნენ თუშებიცა.ორმა ოსმალმა დაადგეს შტიკები და გაიქცნენ. აგრეთვე ერთს ოსმალისავე ომში ესა და ერთი ქურთი შეხელდახელებულიყვნენ,ვერც იმას

და ვერც ამას იარაღი ველარ მოესწროთ. წამოეკიდნა სიკოს ქართულათ ზურგულზედ და ამოედო ქვეშა (ა) იმის მაგივრათ, რომ თავის ხანჯლით დაეკლა, იმას დაენახა შორს ხანჯალი და მიათრია იქ დასაკლავათ, მაგრამ ქურთმა თურმე შეჰბღავლა და სიკომ ჩააბარა ეს ტყვეთ ერთს ყაზახსა. ამასთან, სიკო, თუმცა არც ერთს ომს არ დაჰკლებია და ყველა ომში გამოუჩენია ვაჟკაცობა, მაგრამ იმას არც ერთი ჩინი, არც ერთი ჯილდო და ნიშანი არა ჰქონდა. მიზეზი ის იყო, რომ იმას არავისთან დახვალიება არა ჰქონდა: უფროსებს გროშათ არ აგდებდა და არ ეფერებოდა სხვებსავითა. . . . . გლეხკაცებს სიკო თანასწორულათ ეგცეოდა, მაგრამ ბრალი იმათი, თუ ამის ნების წინააღმდეგები შეიქმნებოდნენ. ამასკი ნუ იფიქრებ, რომ ის უფლათ რაცხავდა თავის თავს, რომ გლეხკაცისთვის ეცემა! იმისთვის ცემა სულ ერთი იყო. ის არავის არ დაზოგავდა საცემრათა: გინდ გლეხი ყოფილიყო, გინდ თავადი, გინდ აზნაური. კაცის ცემას გროშათ არ აგდებდა და ყველას ერთნაირათა სცემდა. თუ კაცმა არ იცოდა ამის ხასიათი ადვილათ შემოალახავდა თავსა და ვინც ამის ხასიათს მოუვლიდა, პირიქათ თითონ რომ ეცემა, სიკო ამას წყენათ არ მიიღებდა. ერთის სიტყვით სიკო იყო ძალიან კეთილის გულისა, დაჩაგრული კაცი კიდეც ებრალებოდა, მაგრამ იყო საკვირველი თვით რჯული კაცი და როგორც თვითონ ეყურებოდა სხვებისაგან(ა)ც ისეთ ყოფაქცევას(ა) თხოულობდ(ა) ძნელათ მოხდებოდ(ა), რომ სიკო არ დამეგობრებოდა ქვეყნისგნით ამოთვალწუნებულს კაცსა. ეგრეთვე ძნელათ თუ ვისმე უმიზეზოთ აწყენინებდა. სანახაობით სიკო იყო კაი, სასიამოვნო

სახისა და შეხედულობისა. იყო ვაჟკაცურათ მოყვანილი და ჰქონდა ფხიზელი გამომეტყველი სახე. სიკო გულით და ბეჯითათ არას აკეთებდა, ის რასაც მიეკარებოდა, თითქო ამას ისე სხვათა'მორის ჩადისო, მაგრამ ყველა უხდებოდა და ყველა ემარჯვებოდა.

აი იმ გვარი კაცი იყო სიკო. ამას ბევრი მბაძავი ჰყვანდა, მაგრამ იმის ოდნობა იშათ ვერ გამოსდიოდათ ხელიდამა. თვითონ ისინიც ჰგრძნობენ ამასა და უყურებენ სიკოს თაყვანებით. იფიქრებ: აქ რა არის მისაბაძიო! ჭეშმარიტია, მანდ სახარბიელო მისაბაძი არა არისრა, მაგრამ რომ სხვა საჩინო უკეთესს ცხოვრევას ვერა ჰხედამენ თავის გარშემო და ჰხედავენ, რომ ეს ბევრს მოსწონს, ამასა ჰბაძვენ. აი თითონ ნანდვილი სიკოს სიტყვები, რომელიც მე მომცა პასუხათ. მე უსაყვედურე იმას, როდესაც ის ერთხელ ქალაქში მთელი ერთი თვე სულ ღვინის სმაში იყო და უჯიბრდებოდა ხან კახელებს, ხან ქართლელებს. „რა არის, მეთქი, სიკო, რომ სულ სვამ, სვამ და სვამ?! რა გამოგაქს ნეტა ამდენის ღვინის სმიდამა?...“

— მაშ რა ვქნა, — მიპასუხა იმანა, — მეტი რა ხელობა ვისწავლე ჩვენშია. ჩვენში ვერცარას ისწავლი ღვინის სმის მეტსა და თავს ვერაფრათ გამოიჩენ. ეხლა მე ღვინის სმაში ვერავინა მჯობნის და ყველგან სახელი მაქვს ამითი გავარდნილი, რომ სულ „სიკო! სიკო! და სიკო!“ ამაზედაც რომ ხელი ავიღო, ასე თქვი, რომ აღარცარავისკი ეცოდინება, სიკო არის ქვეყანაზედ, თუ არა. ეხლაკი ყველა მიცნობს. —

აი რა არის ჩემო ანტონ, მიზეზი რომ ჰბაძვენ ულირსს საქმესა. ბაძვა ეს ფრიად კარგი ნიშანია და როცა კარგს რასმე დაინახვენ

მისაბაძსა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, როგ კარგს მიბაძვენ.

4.

ჩვენი წყალის ხუმრობა. თოთა და ბათრაჯა.

სიკო გადმოიჭრა თუ არა ჩემთანა, მაშინვე სადილათ გამართა სმა. მეც ამიყოლიეს, მაგრამ ვაყას მალე მომიხდა წასელა და განმათავისუფლეს. ჩემი ორი სახლი-კაცი, თავგამოდებულები უდგნენ ჯიბრში სიკოსა, მაგრამ ამათაც მალე იჭაკეს და ადრიკეს ზურგი.

დაბნდებული იყო, რომ სიკომ ამიჭანა გინდა თუ არა, უნდა ჩემსას ამაღამვე წამოხვიდეო. მეცა და დედაჩემიც ძალიან უარზედ ვიყავით, მაგრამ რაკი სიკო შემოგვწყრა, ვეცით იმის თხოვნას პატივი.

— სიკოჯან! — სთხოვდა დედაჩემი, — გენაცვალე ფთხილათ იყავით, რომ გზაში ან არა გეევნოთ რა...ან თოთა არ დაგიხვდეთ...რავიცი, შვილო, ბნელა ღამეში რამდენი ხიფათი დასდევს კაცსა.

— ფიქრი ნუ გაქვს, მამიდა!..მამიდას მზემა, ისე ჩაგაბარო შენი ბესარიონ, რომ თავის დღეში არ გენახოს...ჩვენ არცარა თოთა დაგვაკლებს და არცარა ბისტი და კანი...

— ეჰ, რავიცი! ეშმაკის საფთხვე, — ღმერთმა დასწყეველოს, - მაინც გაფთხილება უნდა.

— ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან, მამიდა! კაცები ვართ, თხები ხომ არა ვართ.

—ჰო, და!.. რა ვიცი...

საწყალი დედაჩემი! იმისი გული თითქო ჰგრძნობდა, რომ ჩვენ იმ ღამეს მართლა ხიფათი შეგვენთხვეოდა! წინადღეს მე გამოველ ჩვენს გიჟს წყალში და წყალი მუხლზედ არ ადგა ცხენს; შუადღისას სიკო გამოვიდა და წყალი ისეთივე პატარა ყოფილიყო და ამ სალამოზედ უცებ იმოდენა მოვარდნილიყო, რომ არე-მარე თან მოჰქონდა. განა არა ამ სალამოზედ ხუილს მოუმატა, მაგრამ ჩვენ ფიქრს არას მოვედით და ბნელს ღამეში დაუხედავათ შევტოპეთ წყალში. შეეედით თუ არა წყალში, ჩქარმა და მძლავრმა წყალმა თითქმის გავაზედ გადაუარა ცხენსა. ქვების ჩახა-ჩუხი ისმოდა წყლის სიჩქარისა და სიმძლავრისაგანა. მე ამიჭრიალდა თვალები და დაუწყე უბრალოთ წვევა ცხენის აღვირსა, ასრე რომ იმის მაგივრათ რო ირიბათ წამეყვანა ცხენი სამხრეთისაკენ, საითაც წყალი გვაწვებოდა, მე ფიცრულათ გაღობილი მივეცი ცხენი თავწყალს. ცხენი ფრფვინავდა და ებრძოდა სამინელი წყალის სიმძლავრესა. წყალი უწყალოთ აწვებოდა არდიგარდმო გახიდულს ცხენსა და ჩაგვათრია ფონიდამ დარუვებულს მორევში, სადაც მე, ცნობა დაკარგული, გადმოვიღო წყალმა ცხენიდამ. მე ერთი რაღაცა დავიღრიალე უხერხულად და დამეკარგა ენაც და ხმაც წყლის ტალღებში.

—ეაიმე, ბატონო! —შესძახა ბიჭმა სიკოს. —ბესარიონ წაიღო წყალმა.

ჩემი რუსი, რომელიც ჯერ არ იყო შემოსული წყალში ყვიროდა დავთარდაკარგული. **Караууулъ! помогите!... Вохъ, Боже мой!.. Караууууулъ!...**

სიკომ იმაე წამსვე შემოაგდო თითონაც ცხენი მორევში, მოსცა სადავე თავდალმა და მინამ მე ჩავიღუპებოდი, მტაცა ხელი ქოჩორში. მაგრამ ცალკე ჩემმა სიმძიმემ, ცალკე წყლის ძალამ დასძალა და გადმოვარდა ისიც წყალში. სიკო ისევ მალე წამოუხტა. იმან სტაცა ცალი ხელი ცხენს კუდში და ცალი კელი მე საყელოში.

—ნუ გეშინიან!-- შემომძახა იმან, რაკი წამოუხტა წყალს:--მოგიდე მაგრა ხელი.

მე უგონოთ, ინსტიკტიურათ ვსტაცე ორივე ხელები მკლავში და ვებღაუჭებოდი რაც ძალი და ღონე მქონდა. ცხენი წავიდა ირიბათ გალმისკენა. სიკომ შეჰქონა როგორღაც ცეკვასავით ხტუნაობა, თითქო წყლის ტალღას ასდევსო. თურმე ამ წყალს სხვა ნაირი ხელი ნდომებია. ამ წყალში ცურვა არ გამოდგება. უნდა აჰყვეს წყლის სიჩქარეს ხტუნაობითა და თან შეპარებით მიიწიო გალმისკენა, მაშინ წყალი თითონ გიადვილებს გალმა გასვლას. ამგვარათ თითონ სიკო მოიქცა, რაკი სცოდნოდა წყლის ხელი და პატარას ხანს უკან ცხენის კუდის შემწეობით და სიკოს სიმარჯვით ჩვენ გავედით გალმა. მე ძლივს მოვასულიერეს და როცა მოველ გონებას, ჩემს გარშემო ენთო ცეცხლი და მათბობდნენ.

სიკომ სირცხვილით ალარ დამაბრუნა შინ, რომ ეშინოდა და რცხვენოდა დედი ჩემისა, თუმცა ჩვენი სახლი სულ ერთს ვერსტზედ იყო იმან წამიყვანა შინ.

სიკოსას ორიოდე დღე თითქმის ქვეშსაგებში ვიწექი და ძალიან სუსტათ ვიყავი; იმან ამოიყვანა საიდამლაც ერთი ფერშალი, რომელიც მაძლევდა რალაც საყუათო კაპლებსა.

ამ ჩემს ავათმყოფობაში ჩამოვაგდე თოთაზედ ლაპარაკი.

—არა, შენ საიდამ გაიცან, თოთა თუ კაი სული ხარ, ვკითხე მე სიკოსა.

—აი რა იყო მიზეზი ჩემი თოთას გაცნობისა. გავარდა თუ არა ის, მაშინვე ქვეყანამ დაუწყო დევნა. ვისაც შეეძლო და არ შეეძლო, სულ თოთას ემუქრებოდნენ. ისეი არათუ, თოთამ ყველას კუდი ქვემ ამოაძუებინა. როცა გაჭირდა საქმე და ყველას ტყუილი ტრაბახი შერჩათ, გესმის? მე მაშინ დამიბარეს და მთხოვეს ახოტნიკობა. არა, მამაშენი ნუ მოგიკვდება, მე რა? მე რაზედ უნდა შევკდომოდი ერთს უცნობს კაცს, როშელიც მე, გაიგონე, არაფერს არას მიშავებდა. მე, უნდა დარწმუნებული იყვე, სიცილათაც არ მეყო, შენმა გაზდამ. აბა, თუ ღმერთი გწყალს, კაცი არავის რას ეშავებს, თუ არავინ გააჯავრა და გადიკიდა და რას ეემართლები, შენი ჭირიმე? მეორეც ესა, მე ის არას მიშავებს და არცარას მართმევს, არცარას წავართმევინებ, თუ ცოცხალი ვარ და სხვებმა თავისი იციან: ნუ გადიკიდებენ და არას დაუშავებს... თუ მდიდარს კაცს ერთ ორიოდე თუმანს გამოართმევს ის ორი თუმანი თუნდა ქალალდში ნუ წაუგია! იმის გულისთვის კაცს როგორ შევაკვდე, თუ გიყვარდე?! ასე არ არის, მამი შენის მზესა? ის ამ თაობით არავის არას ერჩოდა თავის ბევარის კაცის მეტს და შემძლე კაცებს ართმევდა თავისთვის სარჩოს, მინამ ეგრე მუქარა და ახოტნიკათ დევნა არ დაუწყეს. რაკი სასიკვდილოთ დევნა დაუწყეს, იმანაც ხელი გამოიღო, ჩემო ბატონო და ვისაც არა მგონია სულ სიფთა გააგდებინა. ასეთი შიშის ზარი დასცა, შენმა მზემ, რომ ეხლა იმისი ახოტნიკები, იმისივე შიშით ლა-

მე კარში ცხვირს ვეღარა ჰყოფენ. არა, რაზედ გაიჭირეს საქმე?!... რაკი გაეგო თოთას, რომ მე არ ვინდომე იმისი დაჭერა, ჩემი ძალიან მადლიერი დარჩენილიყო და სულ ცდილობდა მადლობის გარდახდას და გაცხობასა. ერთხელ ბატონო! მე მკა მაქვს ჩემს ნაოხარს ხოდაბუნში. ვაჭამე მუშას სამხარი და მეც ჩრდილში კაკლის ქვეშ ჩაუჯექ სამხარს. ეს ხოდაბუნი დაჰყურებს ზედ სოფელს ნაოხარას. მე რომ ამ პურის ჭამაში ვარ, შენ ხარ ჩემი ერთი, და ერთიც ენახოთ წამომადგა ცხენით თავს ქედიდამ ერთი ლაზათიანათ ჩაცმული და შეიარაღებული შუატანის კაცი. სახე როგორლაც მოუსვენარი ჰქონდა, ტანთ ეცვა ბუზმენტიანი ვერტხლის მასრებით ჩოხა, შალის ახალუხი, ბუზმენტითვე მორთული, იარაღი უჯდა სულ ვერცხლში, ცხენი ჰყვანდა ნაქები, ცხენზედ ეკიდა პატარა კავკაური ლაზათიანი ხურჯინი. მე ეს კაცი ჯერ კავკაველს სომეხს ვამსგავსე, იმისთვის რომ სახე სულ სხვა ნაირათ ჰქონდა შეცვლილი.

—აქა მშვიდობა!--დამიკრა იმან თავი და ჩამოხტა ცხენიდამ:--კნიაზ სვიმონს გაუმარჯოს.

—გაგიმარჯოს ღმერთმა!--დაგვეწვიე სადილზედ,--მივიწვიე მე უცნობი კაცი.

ის მოვიდა ახლოს, ჩამომართვა ხელი და დაჯდა, თითქო წინათვე იყო მოწვეულიო. და მე სამინლათ გამიოცდა თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს კაცი, რომელიც ასრე ნაცნობივით იგცეოდა, ჩემი სახელიც იცოდა და მეკი ამის მეტათ არ მენახა.

—ბიჭო, მოართვი ამას კერძი!--დაუძახე მე მზარეულსა:-მწვადი და ღვინო!

მოიტანეს ყველაფერი.

—აბა ერთი ე თქვენი ღვინო ვნახოთ,—მითხრა იმან.

მე დაუსხი ჩემის ხელითვე.

—არ იცის ჩვენსკენ კარგი ღვინო, მაგრამ, მგონია ისევ ჩვენი ღვინო უნდა სჯობდეს სხვა აქაურს ღვინოებს!

იმან დალია ვეებერთელა ყანწი სულ ძირამდინ.

—დიახ ისევ ესა სჯობიან სხვებსა,—მიპასუხა იმან:—აბა ახლა ე ჩემი მოტანილი ღვინო ნახეთ. ის წამოდგა, მივიდა ცხენთან, მოხსნა ხურჯინს პირი, ამოიღო იქიდამ ერთი ბეწვა ტიკი, საგანგებო ოსური ყველი, სარდინკები, ნემენცური ძეხვი, ზურგიელი და საგანგებო ხიზილალა. ეს ყველაფერი მოიტანა სუფრაზედ.

—უკაცრავათ, შენი ჭირიმე,—მითხრა მე იმან:— მე დღეს ჯერ არა მიჭამიარა: მინდოდა თქვენთან პურის ჭამა და იმიტომ მოვედი ჩემის ფსონით.

ის ისევ დაჯდა და მოხსნა ტიკჭორას პირი.

—აბა დალიეთ როგორ მოგეწონებათ, კახური ღვინოა.

მე დაველიე: ღვინო მართლაც ჩინებული რამ იყო.

—უფ, ძალიან კაი ღვინოა!—უქე მე.

—მაშ ეჯ დაველიოთ.

იმან დაისხა ახლა თავისთვის.

—თქვენ ვინა ბრძანდებით?—ვკითხე მე ბოლოს, გაოცებით იმისი ამგვარის ქცევისაგან.

—მე გახლავართ ავაზაკი თოთა, რომელსაც ყველანი საპატიოდ დასდევენ.

„ბიჭოს!“ ვიფიქრე მე ჩემს გულებაში: „ეს საიდამ გამო-

ტყვრა?..."

მე, სწორე მოგახსენო, ცოტა ფერმა გადამწერა. აბა იფიქრე, შენს მზესა, ტანზედ იარაღი მე არა მქონდა, სულ მოვიხსენ და კაკალზედ ჩამოვკიდე სიცხისგამო და მინამ მე იმათ ჩამოვილებდი იმას შეეძლო სულ ასო ასოთ აეექენ.

—კეთილი?--უთხარ მე, რომ მეტი ველარა მოეახერხერა.

—გაგიკვირდათ?--მკითხა იმან:-- ნუ გიკვირთ. მე დიდი ხანია თქვენი პატივის ცემა მსურდა... თქვენ არ ინდომეთ ჩემი სისხლი... მე ყველაზედ უფრო თქვენი მეფთხილებოდა... ამისთვის მინდოდა დიდიხანია გამეცანით და მეცა პატივი, მაგრა მარჯვე დრო ვერა ვნახე. ახლა, რადგან შემხვდა დროც და იქნება ჩემი უკანასკნელი დღეც დღეს იყოს, მინდა, მინამ ცოცხალი ვარ, ჩემს სახსოვრათ ერთი რამ გიფეშქაშო.

ის წამოდგა, მივიდა ცხენთან და მოხსნა გვერდზედ მიკრული აი ეს ხმალი (აქ ჩამოიღო სიკომ ხმალი და მაჩვენა. ხმალი სულ ოქროთი დაფერილს ვერცხლში იჯდა. ვერცხლის ხელოვნება ჩინებულ რამ იყო. პირისაკი არა გამეგებარა. სიკო ამბობდა, ამისი ცალი ქართლში არ მეგულებაო.) რომელიც მე ვერ შევნიშნე და მომიტანა.

—დღეს არის ჩემი გამოჩენის დღე,--დაიწყო თოთამ-- დღეს მე და ბათრაჯა უნდა ერთმანერთს შევეხალნეთ. ან მე უნდა ვიყვე, ან ისა. აქ--თოთამ ამოიღო უბიდამ საათი და ჩახედა.--ჯერ ადრეა. ცოტა კიდევ შეეეგცეთ. ღმერთმა გადღეგრძელოს კნიაზო სეიმონ! ღმერთმან ყოველთვის გაჭირებულს კაცზედ გული არ შეგიცვალოს... გაჭირვებაც არის, გაჭირვებაცა... ვისაც არ გამოუცდია, არ იცის ჩემისთანა

გაჭირვებული კაცი რა არის.. აქ იმან უცებ გადაჭრა სამსე ყანწი.

მეც დავლიე იმისი სადღეგრძელო. ხომ გიჟსა და დანთხვეულს მეძახიან და, დედიჩემის საფლავის მზემ, როცა თოთა ამას ამბობდა სამინლათ შემებრალა. რომ ჩემს ხელში ყოფილიყოკი მაშინვე ვაპატიებდი, ღმერთს გეფიცები!

— ნეტავი მეგობარი მაინც არა ყოფილიყო ეგ ბათრაჯა ჩემი,--მოჰყვა კიდევ თოთა,--იმავ სიყმაწვილით ერთმანეთს ვიცნობთ და გვიყვარდა ერთმანერთი. ჯარშიაც ერთათ გვიელია... ეხლაკი . . . . . უნდა გამიმეტოს და მოამკლას... მოკელითკი ახლა, რაკი მახე გაუგე, ვინ იცის ვინ მოჰკლავს! მაკრამ ან მე რათ უნდა შემოამკლას თავი!.. ჯერ ერთი ესა ცოლშვილის პატრონია... რა პასუხს გასცემს იმათ საიქიოს.

ჩვენ თან წყნარა წყნარა ამ ლაპარაკში ვსვამდით ღვინოსა.

— ოჰ, ახლა კი მომეკიდაო, — სთქვა თოთამ და ჩაიხედა კიდევ საათში: — სწორეთ დროც მოსულა:-ის წამოდგა საჩქაროთ, გაიმართა ტანზედ იარაღი, გამართა ცხენი და გამოვესალმა, — მშვიდობით!..თუ ცოცხალი გადავრჩი,ყველას გიამბობ, რაც ამბავია მე და ბათრაჯაში...თუ არ შეგეშინდებით, პატარა რომ უფრო მაღლა აბძანდეთ, კაი სეირსა ნახავთ ნოხარს ვენახების თავზედ — მინდორში. — აქ თოთამ შემოჭრა ცხენს ქუსლი, მოშიხაკა მაღლა ქუდი და გასწია.

ბათრაჯა იყო, იქნება შენც გაგეგონოს, პირველი გათქმული ვაჟკაცობით თავის ხახლშია. ამას აღეთქვა თოთას მოკვლა.

თოთა წავიდა, თუ არა მე წამოვდექ, შევისხი ტანთ ი-

არალი, ავედი სერზედ და დაუწყე იქიდამ ცქერა. ის შეეიდა ნოხარის ვენახების ორლობებში და მიეფარა. დიდს ხანს არა ამბავი არ იყო. მე დავიალე ცქერით და დგომით და ჩამოვეჯექ. პატარა დავაცალოთ ჩემო ბატონო, მოდის წყნარ წყნარა — ბათრაჯა ცხენითა. ის მიდიოდა დანდობილა, რომ ჯეროობით არა ამბავს არ მოელოდა. უცებ ორლობებიდამ გამოჩნდა თოთა, რომელსაც ეჭირა ხელში სასროლათ გამზადებული თოფი. ბათრაჯა შეჭერთა და გაიკრა ტამბაჩას ხელი. თოთა გაჩერდა შორი ახლოსა და დაუწყო რალაცა ლაპრაკი და რალასაც ანიშნებდა. ბათრაჯაც თითქო გაჩერდა, მაგრამ პატარას ხანს უკან, იმან უცებ დასცა ტამბაჩა და გავარდა თოთას თოფიცა. თოთას გადაუვარდა ქუდი. ერთის თვალის დახამხამებაზედ ორივენი ხმალ გაწოთილები მისცვიდნენ ერთმანერთს, და ნათელს, ცხოველს ჩამოშაველს მზეში შეჭენეს ორთაევეს ხმლებმა ლაპ-ლაპი და პრიალი. შეიქნა ყიჟინა და ხმლების ჩახა-ჩუხი. ცხენები ფრფვინავდნენ და დგებოდნენ ყალყსა; გახტებოდნენ გაზედ და უცებ მედგაარიევით მივარგებოდნენ ერთმანეთს. ეს ამბავი გაერცელდა თითქმის სამ.-ოთხს მინუტსა. მერე უცებ გადმოვარდა ცხენიდამ ბათრაჯა და ისევ წამოიწია ზეზედ. თოთამ გაიხტუნა განზედ ცხენი, გაიძრო წელიდამ რევოლვერი და დაუზოგველათ დასცა რვაჯერ ზედიზედ ცხენიდამ გადმოვარდნილს ბათრაჯასა და იქვე ჩააწვინა უსულოთა. მერე აიღო ცხენ--და--ცხენ თავისი ქუდი და გამოსწია ჩემსკენ, თითქო აქ არა ამბავიაო. ამ ამბავში მე სამინლათ მიცემდა გული, ფერი სულ აღარა გქონდა, ტანი მთლათ მეთრთოდა. . .მე სულ ავირიე ტანში.. რამდენი ამბავი გადამხვდია ომში, რამდენი ანგარიში მინახავს

და. . .ოოჰ! (აქ სიკო გააჟრჟოლა). ეს საცოდაობა და შიში არასად არ გამოიცდია. . .უჰ! რა საცოდაობაა ამგვარათ კაცის წახდენა!,. რა ძველი ყოფილა, როდესაც კაცი ამგვარს სანახავს უყურებს!..თოთა კი ისრეთი ამოვიდა ჩემთანა, რომ თითქო ამას თავს არა გადაჰხედიარაო. იმას სდიოდა მარცხენა ხელიდამ და თავიდამ თქრიალით სისხლი. ის გადმოხტა ცხენიდამა, მოხსნა კიდევ ხურჯინს, ამოიღო დაჭრილობის შესახვევები და მალამო დაიდო დაჭრილობაზედ და შეიხვია.

—თქვენ ცოტა შემკრთალხართ აი!--დაიწყო პატარას ხანს უკან თოთამ. რო იცოდეთ მაგის ამბავი აღარ შეგებრალებათ. მე დაუწყე მშვიდობიანათ ლაპარაკი: ვეუბენ, ოუ აბა რას მემართლები, ძმაო? რა დამიშავებია შენთვის მეგობრობისა და ძმობის მეტი? რათა მდევ სასიკვდილოთა? ვეუბენ: ბათრაჯავ ავიყაროთ იარაღი და ერთმანეთს აიმ ეკლესიაზედ ძმობა უთხრათ მეთქი; და ამის მაგივრათ იმან გაისვა ტამბაჩას ხელი, გამიხვრიტა ქუდი და გამოექანა ხმალითა. მეორეც ესა, რა ვაჟკაცის წესია, ღალატით მიბირებდა სიკვდილსა! განა მე არ მოვკლავდი ჩუმათა, რომ მოგმენდომებინა?..

--ახლა რა იცოდი, რომ ეგ მანდ გამოიველიდა? — ვკითხე მე თოთასა.

—აი როგორ იყო ჩვენი ანგარიში. მე სოფელს ნაოხარას მყავს ჩემი საყვარელი, რომელიც გამოვიცალე მთიდამ ნათესაებსა და მანდ დავმალე. ეს იცოდა და ისიც იცოდა, რომ დავიარებოდი იმასთან. მე დღეს უნდა სალამოზედ, ბიდის დროს მიესულიყავი ჩემ საყვარელთან. ეს მაგას გაეგო

და მიპირებდა ორღობეში ჩასაფრებას. მეც გაუგე ეს ბათრაჯას და იმის მაგიერათ, რომ ის ჩამსაფრებოდა — მე ჩაუსაფრდი. მე და ჩემა ღმერთმა, მებრალებოდა და არ მინდოდა მაგის სკვდილი, კიდეც ვეუბენ შერიგებასა, მაგრამ არ ინდომა და მერე გაბრაზებულმა აღარც მე დავზოგე. ცოდოც მაგისი იყვეს და მადლიცა.

აქ სოფელს ნაოხარას გაეგო ეს ბრძოლის ამბავი და მთელი სოფელი-ჯაცი, თუ დედაკაცი გამორბოდნენ მკვდრის სანახავათა. თოთამ გააჩქარა.

— არ დამინახონ თქვენთანა, — მითხრა იმან — თორემ თქვენც ხათაბალაში გაებმით. ჩვენ კიდევ სწირათ ვნახავთ ერთმანერთსა. მე თქვენს პატივის ცემას ჩემს დღეში არ დავივიწყებ.

ის წავიდა.

მას აქეთია ვიცნობ მე იმას და კიდეც დავმეგობრდით. ეხლა რომ ლურჯი ცხენი მყავს, — კი არსად წამოგცდესეგ იმის ნაფეშქაშარია. ბევრჯერ დამალულა თოთა ამ ჩემს სარდაფში...„

აქ სიკომ მიამბო მიზეზი თოთას გავარდნისა. აი ის ამბავი;

5.

თოთას მოთხრობა. კუსრიონა.

პატარა ყოფილა თოთა, როდესაც მამას მიუცია ის ერ-

თი ქართველის ღვდლისათვის მსახურათ, უჯამაგიროთ, ხოლოდ ამ პირობით, რომ იმ ღვდელს უნდა ესწავლებინა იმისთვის წიგნი. ღვდელმა დაუწყო სწავლება. რაკი მასიამოვნებელი ბიჭი იყო, და კარგი ნიჭიც შენიშნა ამ კეთილმა ღვდელმა, უპირებდა სამღდლოთ გაზრდა. მაგრამ როდესაც თოთა მოსულა გონსა და თავზედ ხელი მოუსვამს, უფიქრია, რომ მღვდლობა და დიაკვნობა იმისი ხელობა არ იყო. იმას დაუკრამს ფეხი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისას ღვდლიდგან და ჩაწერილა ჯარში. აქ უმსახურნია კარგა ხანს. შემდგომ მოუთხოვნიათ ჯარი ვარშავაში მუსულმანის პოლკისთვის. თოთა არ დასჯერებია აქაურს ჯარს და ჩაწერილა მუსულმანის პოლკში. იქაც დაუყვია ექვსიოდე წელიწადი. შეუკრებია თავისი საკმაო ფული და ბოლოს მოსურებია თავის სამშობლო მთების ნახვა. ის, შემდგომ თავისის ეხუთმეტ-თექვსმეტის წლის სახლიდამ დამორებისა, დაბრუნებულა შინა. მიუტანია ძმებისთვის და ამათის ცოლშვილისთვის მრავალი ფეშქაში და საჩუქარი. ძმებსაც კარგათ მიულიათ, რაკი იცოდნენ, რომ ამან ფული მოიტანა. გადუწყვეტია თოთას შინაური ვალი, გამოუტანია დაგირავებული მამულები, უყიდნია საქონელი, ცხვარი და რაც საჭიროა ოჯახისთვის და გასაჩენათა. ერთის სიტყვით წამოუყენებია ფეხზედ სახლი. სამი ძმა შალვასი სარგებლობდნენ ამით ყველაფრითა ჩუმათ დრომდინ. თოთას დაუწყვია შინ მხნეობა, გაუმხნევებია ძმებიცა. მამული ჰქონიათ საკმაო და უცხოვრიათ როგორც შეჰფერის ერთს ოჯს იმათთანა მთის კაცსა.

თოთას ჯერკი არაფერი, და მერეკი მალე მოსწყენია აქა-

ური პირუტყეული ცხოვრება. მოაგონდა ვარშავა, ვარშავის სუფთა და ფაქიზი ცხოვრება, იქაური ზრდილობა, ქალები, იმათი ალერსი და ლაქუცი; იქაური გაწყობილობა და მოქალაქობა, და დაუწყო თოთას გულმა ლონება ისევ ძველი-ცხოვრებისათვის. ანკი როგორ უნდა გაეძლო იმას ამ საშინელს უშვერს უსუფთაურ ცხოვრებაში, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს იმავ სიყმაწვილით გადაჩვეულა აქაურს ცხოვრებას? წარმოიდგინე ჩვენი მთის ხალხის ცხოვრება! ქვეშსაგების მაგივრათ ნამჯა ან ჩალა, თუ არა ბევრ-ბევრი, რწყილიანი სხვილი ნაბდის ძველა, სახურავი ესევე მოუხეშავი ნაბადი, წევხარ საქონელთან ერთს ჭერს ქვეშა, სიმყრალე, უსუფთაობა ყველგან, ნეხვის და წუნპის სუნი უნდა გახრჩობდეს დღე და ღამე; სახლებში, საშინელს ყინვას და სიცივეში, ყოველმხრივ შემოდის ფარღალალით ცივი სუსხიანი ქარი; ხალხი ნახევარზედ მშიერი ცალკე თავისის უშვერებით და ცალკე ბუნების მდგომარეობით: თუ კარგი ხანგრძლივ თბილი წელიწადი არ დადგა, უნდა ყინვამ ამოაგდოს მიწის ნაყოფიერება და მოსავალი; მოვა მოსავალი და მოხმარება ხალხმა არ იცის: რიგიანათ გამომცხვარი და მომზადებული პურის მაგივრათ ხალხი ცხოვრებს გაუღვიარის ნაცარკვერათი, რომელიც კუჭს უსიებდა გადაჩვეულს თოთასა. ამასთან კაცების სიზარმაცე უღელვებდა გულს თოთას. მთელი სახლი და მომატებული ნაწილი გარეთ სამუშაოსაც სულ დედაკაცზედ არის დამოკიდებული, და ესევე დედაკაცი არის პირუტყვივით დამონებული კაცისგან. იმისთანა ბუნებისგან მშვენიერს ქალის სახეს არ ედო ადამიანის სახე: ყველა შიშით და ნადირებრივის მოკრთალებით გამოიყურებოდა,

თითქო ეშინიან მონადირემ არ მოასწრას და არ მოაშორეს სიცოცხლესაო. ყოველივე ეს აღონებდა და ამფოთებდა თოთას გულს და თოთასკი ამის შველა არ საიდამ არ შეეძლო. მართალია თოთას არ წეკითხა არაფერი ქალების ემანსიპაციაზედ და ემონსიპაცია საჭმელე იყო, თუ სასმელი არცკი გაეგონა, მაგრამ, რაკი ერთხელ ენახა უკეთესი მდგომარეობა თავის სამშობლო ქალებ-ზედ, ისა გრძნობდა, რომ იმათი ქალები საშინელს უსამართლობაში არიან. არ შეეძლო თოთას გულგრილათ ეყურებინა, როდესაც იმისი მეზობელი ქმარი იჯდა გულხელ დაკრეფილი ბატონკაცურათ ცხენზედა და ცოლი ქმრის ცხენის სადავით ხელში, მიუძღოდა წინ ქვეითი ყეენივით გამოჭიმულს ქმარსა. თოთას ჯავრით გული ეესებოდა, როდესაც ხედავდა, რომ დედაკაცი ზურგით საფქვავს ზიდავდა შორის წისქვილიდამ, ზიდავდა ტყიდამ სიცივეს და ყინვაში ზურგით შემას, რომ დაეთბო თავისი ქმარშვილი; და ქმარიკი სადმე ზის ხის ქვეშ ან ცეცხლი პირას იჯდა, ეყიდა მწარე თამბაქოს ჩიბუხზედ ცეცხლი და სწევდა, ან ღეჭავდა მწარე თამბაქოს. ყოველივე ეს საშინლად სტკენდა გულს თოთას და უნდოდა მალე შოშორებოდა ამ ცხოვრებას. არსად არავინ იპოვებოდა იმისთანა კაცი აქეთ მხარეს, რომ გამოლაპარაკებოდა მაინც და ეთქვა იმისთვის თავის გულის პასუხი. არც ერთი ყაზახი, არც ერთი სალდათი, თუკი სადმე მოხვდებოდა ამის გადაღრძოებულს ქეეყანას, არ გაუშვა გაუცნობელი და დაუმეგობრებელი. ისე იამებოდა იმათი ნახვა თავის ყრუ მიუდგომელს მთებში, თითქო ზეციდამ ერთი ანგელოზი ჩამოსულაო. გაიცნობდა, მიიპატიჟებდა, დაუხვდებოდა და გაისტუმრებდა ამათ. ისრე სასიამოვნოთ ჰქონდა

ყველა იმ კაცის, ყველა იმ ნივთის ნახვა, რომელნიც მოაგონებდნენ ვარშავას. თოთა მაშინვე დაუწყებდა თავის საჩივარს და ვარშავის მოგონებას. ოსინიც იქნევდნენ თავსა, თითქო მართლა გაიგეს რამეო და ეუბნებოდნენ: „Однимъ словомъ—Азія!.. Азія, такъ оно Азія и есть.. Поѣзжай братъ Тота, въ наши страны.. Ей Богу, вотъ какъ есть настоящій рай.. «—Да!я непремѣнно поѣду въ Варшаву,—უპასუხებდა თოთა, мнѣ только надо кое съ чѣмъ собраться. нѣтъ братъ, въ Варшаву не ѣзди . . . . А вотъ въ нашу рассею, то-то братцы мои и-и-и!»

თოთა ამათაკი სასიამოვნოთ ჰხედამდა და ამათაკი ეუბნებოდა თავის გულის პასუხსა.

თოთა დიდი ხანია თავს დაანებებდა აქაურობას და წავიდოდა აქედამ ისევ ან ვარშავაში, ან სადმე; მაგრამ რამდენჯერაც დააპირა, იმდენი როგორლაც გული არ უშვებდა. შალვას დიდიხანია გულში ჩაუვარდა ერთი თავისი მეზობლის რძალი, ყმაწვილი შავთვალწარბა კუსრიოონა, რომელსაც ქმარი ჯერ ისევ აკვანში უწვა და იმასა . . . ყვანდა მოხუცი მამამთილი, რომელიც კუსრიოონას ჭირივით ეჯავრებოდა.

თოთას უნდოდა ერთი როგორმე გამოლაპარაკებოდა კუსრიოონასა, ისე რომ ან მამამთილს, ან მაზლებს, ან მეზობლებს არ შეემჩნიათ,—გამოლაპარაკებოდა ისრე, რომ ემცნო თავის გულის პასუხი და თავის სიყვარული. სიყვარულში თოთა არ იყო გამოუცდელი: პოლშელმა ქალებმა მალე ასწავლეს ამას სიყვარული; მალე შეაყვარეს და კიდეც შეაძულეს თავი; მაგრამ ამგვარი სიყვარული, როგორც კუსრიოონასი, იმას ჯერ არ ეგრძნო. კუსრიოონას შავი მოზვერივით თვალები, დაერდოვილი და გამოვეტყველი სახე, თეთრი სპილოს ძვა-

ლიევით კბილები სულ გულს ულონებდნენ თოთასა. ამას სულ გული ჩეეთუთქებოდა, როდესაც დაინახავდა ლამაზს ჯუსრიოანას შემის გუდურების ქვეშ ცხრათ მოკაკულს და შემაგრებულის ხვნეშით მომაეალსა. მეტადრე თოთას აშფოთებდა ისა, როდესაც მაზლები, ან მამამთილი დაუწყებდნენ ჯუსრიოანას ჯავროობას და ზოგჯერ ცემასაცა. რამტენჯერ უტაცნია ამას ამ ამბავზედ ხანჯლისთვის ხელი, მაგრამ პატარას ხანს უკან, მოფიქრების შემდგომ ისევ შეუმაგრია და მოურიდებია თვალი. ეს არ დარჩა შეუნიშნავი ჯუსრიოანასაც. ის დიდი ხანია ხედავდა, რომ შალვას ამაზედ ხშირათ რჩება თვალი და ამის დანახვაზედ როგორლაც სხვანაირათა ხდება. თავისი მხრივ ამასაც დიდი ხანია თვალი უჭირავს თოთაზედ, მოსწონს იმისი სხვა რიგი ზრდილობიანი გცევა და მიმოხვრა, რომლებითაც ის არა ჰგავდა სხვა მთის კაცებსა, რომლებიც ეროდისმეენახა ჯუსრიოანასა. მაგრამ როგორ შეეძლო იმას ეჩვენებინა და გამოეცხადებინა თავის გულის გრძნობა: მაშინ მამამთილისა და მაზლების ხელიდამ სიკვდილის მეტი არა იხსნიდარა! ის მხოლოდ გულში ამოიოხრებდა თოთას დანახვას და მოგონებაზედ და იქვე გულში გაიქრობდა ამ ოხვრას. ხშირათ ჰფიქრობდა და ნატრობდა: ნეტავ მოვიტაცოს თოთამ და სადაც უნდა წამიყვანოს, თუნდა ცის კიდეზედ--გავყვებიო. როდესაც წარმოიდგენდა ჯუსრიოანა, რომ თოთა აპირებდა აქედამ წასვლას და უნდა დამორებოდა სამუდამოთა, მაშინ სიკვდილსა რჩეობდა.

დიდ ხანს იყო თოთა ფიქრში, თუ საიდამ ან როგორ გამოლაპარაკებოდა ჯუსრიოანას. წერა კითხვა იმან არ იცოდა და პირდაპირ გამოლაპარაკება თავის გულის პასუხზედ არ

შეიძლებოდა.

ბოლოს თოთამ იფიქრა და გაბედა სადმე ტყეში შეხვედრა და ზამოლაპარაკება კუსრიონასი.ერთხელაც იმან შენიშნა, რომ კუსრიონა საფქვავის მოსატანათ წავიდა წისქვილში. წისქვილი იყო სამი ოთხი ვერსის მოშორებით ამათს სოფელზედ.

თოთა შეჯდა ცხენზედ, წავიდა წისქვილის გზისაკენ და როდესაც იდროვა ახლა დაბრუნდებოდა კუსრიონაო; ჩამოხტა გზის პირს ტყეში ცხენიდამა და დაიწყო ლოდინი. თოთამ დააწყო სიტყვები, რაც უნდა ეთქვა კუსრიონასთვის, იმას უცემდა გულს საშინლათ და იყო შეიწროებულს მოლოდინში

გამოჩნდა ვიწრო ტყის ბილიკზედ კუსრიონაცა. ის ფეხშიშველა რიყიანსა და კლდიანს ალაგზედ ძლივს მოდიოდა ზლაქვნით ფქვილით საესე მძიმე ხბოს გუდის ქვეშ.

თოთა შეეფარა ტყეში და, როდესაც კუსრიონა კარგა ალაგს გასცდა, შეჯდა ცხენზედ და გამოუდგა.

კუსრიონამ დაინახა თუ არა თოთა, მაშინვე იგრძნო ეს რასაც ნიშნავდა. იმას დაუწყო ნახევარ ტკბილათ და ნახევარ შიშით გულმა ცემა. ის აიტანი სირცხვილმა დაუნებურათ შეუხვია ტყისაკენ.აქ ფერდობზედ მოიხსნა გუდა, დასდო ძირს დი დადგა ზურგით გზისაკენ, თითქო არა ხედავსო მგზავრსა.

თოთა წამოადგა თავსა. იმას აემღვრა სულ მთლათ სისხლი და აუვარდა თავში, შეეკრა კრიჭა, დაუწყო გულმა უფრო ძლიერათ და საძაგლათ ცემა, აიტანა რალაცნაირმა ცივ ტკბილმა კანკალმა. თოთამ დაჭარგა სულ მთლათ დავთარი და ველარა მოახერხარა სათქმელათ. ცხენმა, რომე-

ლსაც დავიწყებაში სრული ნება მისცა, კიდეც გააცილა თოთა კუსრიოონასა.

კუსრინას თოთას ხმა გაუცემლათ გაცილებაზედ ჯავრით ზულმა დაუწყო ღონება. იმას ეგონა, რომ ის სტყუვდებოდა თოთას სიყვარულზედ.

თოთა ძლივს მოვიდა ფიქრსა და დაინახა, რომ კიდეც გასცდა. იმან ძლივს მოიბრუნა სული და მოუტრიალდა გაბედვით კუსრიოონასა.

— გამარჯვება, კუსრიოონა.

კუსრიოონა თოთესავით აენთო. ის ალარ ელოდა თოთას დაბრუნებასა. თოთა შეჭკრთა და ისევ მალე მოიცა გული.

— ხომ დაგლალამთ ეგ მაგოდენა გუდა! თუ გინდათ, მე ამ ჩემის ცხენით სოფლის ბოლმოდინ მოგიტანთ საფქვავსა.

კუსრიოონამ პასუხის მაგივრათ შეჭნა ტირილი. თოთამ იგრძნო რასაც ნიშნავდა ეს ცრემლები. ის მაშინვე გადმოხტა ცხენიდამ და მოეხვია კუსრიოონასა. კუსრიოონას ცეცხლივით დაუარა რაღამაც მთელს ტანში. ის შეჭკრთა და გაშრა.

— . . . . . .

— წავიდეთ შუა ტყეში, წავიდეთ! იქ ვერავინ გვნახავს, უთხრა თრთოლვით თოთამ და წამოაველო საფქვავს ხელი.

კუსრიოონა შემკრთალი და შეშინებული იყო ერთს ალაგას გაჩერებული და ვერა ჰბედავდა თოთასთან გაყოლასა.

თოთამ, თითქმის ხელში აყვანილი, შეიყვანა ის ბნელ ტყეში.

— გტანჯამენ, განა, ეგ ურჯულოები? — დაიწყო თოთამ ხმის კანკალითა: — რა ლირსნი არიან ეგენი შენი!..რა იციან მაგათ შენი ყადრი!..რატომ არ გაიგცევი და არ დაანებებ მაგ ურჯულოებს თავსა?..

—სად წავიდე, რომ გავეგცე? —უპასუხა მორცხობით თავჩაღუნულმა და თონესავით გაწითლებულმა კუსრიონამ.

—სად წახვიდე!?... ჰმ!... სად წახვიდე?!.. მე ისე შეგინახავ, როგორც ჩემს სულსა. . .ნეტავი იცოდე, ჩემო მშვენიერო კუსრიანავ, როგორ მიყვარხარ... ოჰ! —და აქ დაიჩოქა თოთამ, როგორც პოლშელ ქალებთან იყო დაჩვეული: —შენა ხარ ჩემი ცხოვრების გვირგვინი...ჩემი..

—არა! არა, ჩემო თოთავ! —გააწყვეტინა გაოცებით კუსრიონამ, რომელი არც იყო დაჩვეული ამ გვარს ალერსსა და არც იამა ამგვარი თავის დამცრობა იმ კაცისა, რომლისაც უმაღლესი არცარავინ ეგონა და რომლისაც მონობის ღირსათაც არა რაცხდა თავის თავსა: —მაგას ნუ იზავ, თუ ჩემი თავი გინდა...მე შენი ვარ, თუ შენ მინდომებ...მე შენთან სადაც გინდა წავალ, სადაც გინდა გავიქცევი...ოღონდ შენ გიყვარდე და უშენოთ ნუ დამაგდებ, და ჩემს დღეში შენი მოახლე და მოსამსახურე ვიქნები...ისე მოგივლი, ისე გემსახურები, რომ ხელს არაფერს საქმეში არ გაგნძრევინებ... ოღონდ კი დამისხენ მაგათ ხელიდამა... რა ნაირათ ვიტანჯები!... აქამდინ კიდევ ისე არა ვგრძნობდი...მაგრამ რაკი შენ დაგინახე, მასაქეთ შემძაგდა ყველაფერი მაგ სახლში...ასრე მგონია, როცა მიჯავრდებიან, ან მცემენ, ამას სულ თოთა ჰხედავს მეთქი და გული ისე მეთუთქება თითქო მდუღარე წყალი დაუსხავთ, ან ნაღვერდალი დაუყრიათო...იმ წუთას რომ მოკვდე ის მირჩევნიან...რამდენჯერ დავაპირე თავის მოკვლა, მაგრამ რაკი შენ მომაგონდებოდი ხოლმე, მინდოდა რომ შენ ერთი კიდევ დამენახე...მეგონა ის იგრძნობს ჩემს მწუხარებასა და გამოიხსნის მეთქი...იმათთან კი არას ვიტ-

ყვი, და როცა დავიხელებ თავს მარტო, იმნდენსა ესტირი, იმდონსა ესტირი, რომ ცოდვით ქვას დავწვამ ხოლმე და ეფიქრობ: დავიჯერო ამას ერთხელაც არის თოთა ვერ გაიგებს და არ წამერსარჩლება მეთქი!..

თოთამ სტაცა კუსრიონას მუშაობისაგან დაბებკილს ხელებს და დაუწყო ტკბილათ კოცნა.

— წაგესარჩლები და დაგიხსნი კიდეცა მაგათგანა, თუნდა ჩემი სიცოცხლეც ზედ დაედებოდეს... ოღონდ შენ ნება მომეც და თუნდა ხვალვე გავიქცეთ... თუ არა და შენს ურადს დაუბრუნებ და გამოგიხსნი. რა არის შენი ურადი? (*).

— ურადი ბევრია... იქნება გაგიჭირდეს.... ისევ, თუ გინდა, გავიქცეთ!... ურადი ოცი ხარია, ოცი ძროხა, სამი თოფი, სამი ხმალი, ოცდა ათი ცხვარი, ერთი საარაყე ქვაბი და ერთი თუმანი ფული. მაგდენს საკ მისცემ?

— ფიქრი არ არის, ჩემო კუსრიონა!.. ოღონდ შენა მყვანდე და შენ გიყვარდე, თორემ გავიყიდები, დაეგირავდები და შენკი ჩემი ცოცხალის თავით, თავს არ დაგანებებ.. უშენოთ სიცოცხლე მე ამას იქით არ შემიძლიან... შენ იქნები ჩემი ცხოვრება, ჩემი ნუგეში... მე ეხლავ შეუდგები შენი გამოხსნის თავდარიგსა.

თოთა ერთი კიდევ მოეხვია კუსრიონას, და რომ არ დაუგვიანდესო, გაისტუმრა ის შინისკენ. თითონაც სიხარულით მოაჯდა ცხენს და გასწია. გზაში ის აწყობდა კუსრიონას გამოხსნის აზრებსა.

(*) ურადი ის არის, რომ ოსები რძეჯეკენ თავის ცოლებში — თავის მოუკრებსა. ჩვენში მზითევი ვიცით და ისინი პირიქით ქალის ბატონს აძლევენ.

5.

თოთა და იმისი ძმები.

კარგა ხანია თოთას და იმის ძმებს ერთმანერთში წინააღმდეგობა შეექნათ. მიზეზი ამისი იყო ისა, რომ თოთა არ აძლევდა ამათ სიზარმაცის ნებას, უშლიდა ბევრს ურიგოებას და ისინი არც უთმენდნენ და არც უგონებდნენ ამას. რაკი თოთა ატყობდა, რომ ამათგან რიგიანი არა იქნებარა და რაკი თვითონაც აპირებდა აქედამ წასვლას, ის უპირებდა ამათ გაყრას. ახლა ხომ უფრო მეტი ღონე არ იყო, უნდა გაყროდა კუსრიოონას გულისთვის. ის ჰფიქროობდა ნახევარიც არის აღლო თავის დანახარჯის ფულისა, თავის წილი მამული და ქონება და აქედამ გადაეხადნა კუსრიოონას ურადი.

ამან გამოუცხადა ეს ძმებსა.

ძმები, რომელნიც აქამდინ არ უარს ჰყოფდნენ ამის ძმობასა, სარგებლობდნენ ამის მოტანილის ფულებითა, ქონებით, შრომითა და სიმარჯვით,ახლა უცებ უარი ჰყვეს ამის ძმობაზედ. რასაკვირველია ამას თოთას ძმები ვერ გაბედავდნენ და ვერც მოახერხებდნენ, თუ ერთი ძმა თოთასი--ლეგა არა ყოფილიყო დიდიხნის ნამსახური იასაულათ. იასაულობაში გამოცდილს ლეგას არა უჭირდებოდარა თავის მეზობელს ოსებში. მეზობლები ჰყვანდა დაშინებული და უყურებდნენ მოკრთალებითა. მთის მოურავთან, რომელთანაც იყო განუშორებელი იასაული, იყო კარგათ და ყოველს შესავალს უნდა გაევლო ამის ხელში.ერთის სიტყვით ლეგა იყო ყოველის ფერში გამოქნილი კაცი. ხშირად იტყოდნენ ხოლმე მოურავები,რომ ჩვენ ულეგაოთ შიმშილით დავიხოცებოდითო.გარდა ამისა,რომ ლეგა იყო ასეთი გამოსაყენებელი კაცი მოურავებისათვის, ულეგაოთ არ მო-

ხდებოდა არც ერთი ქურდობა . . . . არ იპოვებოდა იქით მხარეს არც ერთი ქურდი . . . . საკვირველათ უყვარდა ლეგას მეუფროსეების პატივისცემა და იმათგანაც ამორჩეული და მიღებული იყო. რასაკვირველია, ეს ისე არ იყო იმათგან მიღებული, როგორც ტოლი ან მეგობარი. არა! ეს მეტი იქნებოდა: ამას უყურებდნენ, როგორც ერთგულს და იმათთვის თავ დადებულს და გამოსაყენებელს მსახურს; და ესეც დიდი საქმე იყო ლეგასთვის. სხვა ამის ხალხის კაცს დიდკაცობა და მეუფროსები ამის მეათედათ და მეასეთადაც არ აგდებდნენ. ლეგასთვის დიდი სახელი იყო, როდესაც ვინმე მეუფროსე აქებდა ამას და ტკბილათ ელაპარაკებოდა. რომ იმათ ჰყვარებოდა და მიღებული ყოფილიყო იმათგან, უნდა ისინი მომადრიელებული ჰყოლოდა. ოღონდ იმთგან, ტკბილი სიტყვა და ქება გაეგონა, ამის გულისთვის ის ყოველს თავის ნამოვარს ურიგებდა ამათა და კიდევაც ვალს იდებდა. მაგრამ ახლა ამითი რამთენხ იგებდა თავის ხალხის თვალში.

— ოუ! რა ნაირათ არის ლეგა მიღებული დიდკაცებსი.— იძახდნენ იმისი მეზობლები,—უფროსებს სულ ამას ელაპარაკებიან და ამას ჰსაქმებენ.

ლეგასაც ეს ენატრებოდა. იმისი სამეცადინო ის იყო, რომ თავის მეზობლებზედ მაღლა ყოფილიყო. ისე ჰყვანდა დაპყრობილი და დამონაებული ოსები, რომ ამას უყურებდნენ, როგორც გამოჩენილს კაცსა. ვაი იმ ოსის ბრალი, რომელიც გაბედავდა ამის წინააღმდეგობას!—ისე სცემდა, როგორც . . . და როგორ შეეძლო საჩივარი. თუ გაბედავდა ვინმე ჩივილსა და მაშინ უარესს დღეს დააყენებდა. ის დააბრალებდა ათას ნაირს ავკაცობას და მაშინ ხსნა აღარ იყო . . . . .

როგორც საცემრათ იხე სხვაფრევ არა ზოგავდა ის თავის მეზობელს ხალხს. მოეწონებოდა საკლავი, ცხადათ საქვეყნოთ დაუკლავდა, მოიწვევდა სტუმრებს და აჭმევდა, ან არა და ისე მთლიანათ მიართმევდა ვისმე მეუფროსესა. . .

. . . . . .

— სენი წირიმე,--უამბობდა თოთაზედ ერთხელ ლეგა მოურავსა,-ეგ ცვენ მოძამაგირეთ გვიდა აგერ ეორი-სამი წელიწადია და ახლა მამულებს გვედავება. ამისთანა უსამართლობა იქნება?!..

მოურაესაც დიდი ხანია ეჯავრებოდა თოთა. თოთა იმის წინ არ იდრეკდა სხვა ოსებივით თავს, არ ეძებდა იმის წყალობასა და არც ერიდებოდა მრისხანებას,--ერთის სიტყვით თოთა არ მოსდიოდა მოურავს თვალში და ვერ შეეძლო იმისთვის გულგრილათ ეყურებინა.„ძალიან არ იბღვინკება ე შენი ძმა, ეტყოდა ხოლმე ის ლეგასა, ვარმავა უნახავს,ასრე ჰგონია ჩემს ზევით ღმერთი აღარ არისო!...“ ის დიდი ხანია ეძებდა მიზეზსა, რომ ეჩვენებინა თოთასთვის თავისი ძალა და იმისი უძლურება. ეს შენთხვევაც აგერ მიეცა.

. . . . . .

. . . . . .

. . . . ახლა თოთას და იმის ძმებს უფრო და უფრო გაემართათ წინააღმდეგობა: ერთხელ თოთა მივიდა პირდაპირ ძმებთან მოსალაპარაკებლათ. ის სჯერდებოდა მეოთხედს თავის დანახარჯს. ძმებმა არც აციეეს, არც აცხელეს და მაშინვე ყალყზედ დაუდგნენ. დაუწყეს გინება თოთას და კიდეც სწვდნენ ერთმანერთსა. სამივ ძმები მოეხვევნენ თოთასა. გამშველებელი აღარავინ იყო. მაშინ მოაგონდა თოთას თავი-

სი ხანჯალი და მოისვა ხელი. ძმები შემოეფანტნენ. ერთი იმათგანი დაიჭრა ხელში. თოთა გამოვარდა. ერთის თვალის დახამხამებაზედ ძმებიც მოსცვივდნენ იარაღითა. თოთამ ძლივს გამოასწრო. ტყვიამ გაუწუწუნა ყურებთანა.

თოთამ, გაშფოთებულმა, გასწია ტყისაკენ. იმას ემღვრეოდა გული, გონება და ყოველი სხეული უთრთოთა ჯავრისაგანა.

აქ ტყეში, გრილს ჩრდილოში, ცივს წყაროსთან დაეგდო გულმღელვარე თოთა და მიეცა რაღაცა მძიმე ფიქრებსა... მოაგონდა ვარშავა, იქაური ცხოვრება. მოაგონდა თავის კუსრიონა და არ გამოსდიოდა თავიდამ ეხლანდელი თავისი სირცხვილის ჭამა. „რას იფიქრებს ახლა ჩემზედ, — ამბობდა ის თავის გულებაში,—ეს რომ კუსრიონამ გაიგოს?!... მცემეს რაღა!.. ჰმ!... გალახული თავმოწონებული კაცი!.. ჩემი მშიმაროობა, ჩემი გამოგცევა უნდა კუსრიონამ გაიგოს.. იმასკი ჩემისთანა არავინ ეგოანა...“ თოთას ამ ფიქრზედ სულ გული უკვდებოდა. ის გაერთხო ამ ფიქრმი წყაროს პირას მწვანეზედ, სიბრაზისგან მოსდიოდა ტირილი და იკენეტდა ტუჩებსა.

. . . . . .

7,8,9.

10?

სამოცი თოფიარაღიანი მაყარი თავისის მსახურებით და სამი თოთა ერთათა.

მიზეზი თოთას გავარდნისა გიამბე. ახლა გიამბობ რამდე-

ნსამე ჩემის თვალით ნახულს მაგალითსა, თუ სადამდინ ჰქონდა სახელი გავარდნალი თოთას და სადამდინ ემინოდათ იმისი.

მე რომ სიკოსთან ვიყავი, იმ ჟამათ ერთს ჩემს ნაცნობს და სიკოს მეზობელს თავადიშვილს ჰქონდა ქორწილი. ამ ქორწილში მიგვიწვიეს ჩვენცა. უსიკოობა ხომ, შეუძლებელი იყო: რაღა ქორწილი იქნებოდა!

მე, სწორე გითხრა, არ მინდოდა წასვლა. სიკო აქაც არ მომეშვა.

— რა არის, — მითხრა იმანა:--ჩასცეიები ხარ წიგნებსა და სულ წიგნები და წიგნები! სულ ხომ ჭკვიანი არ უნდა იყვეს კაცი: ზოგჯერ გიჟებსაც უნდა აჰყვეს.

მეც მეტი ილაჯი არ იყო-წავყე.

ჩვენ--მაყრები თავადაზნაურობა ვიყავით სამოცი თოფიანი ალიანი კაცი თავისის მსახურებით. არ უნდა დაივიწყო, რომ ზოგს ორი და სამი მსახურიც ახლდა. მეფე მიბრძანდებოდა ჯვარის დასწერათა.

ჩვენ გამოვიარეთ თითქმის ოცდაათი ვერსი მიტი იმ ალაგიდამა, სადაც უფრო ბუდობდა თოთა.

შევედით ერთს უდაბურს ტყეში, რომელზედაც იდო ჩვენი გზა. მთვრალი მაყრები ნწკრიენწკრიენათ მიდიოდნენ: ზოგნი სიმღერითა ზოგნი ცხენების კუნკრუხითა, მხრებ აყუყულები და ეთამაშებოდნენ ჭკუასა.

სიკო რაღაცა საჭიროებისთვის დარჩა უკან თავისის ორის მსახურით.

ჩვენი მაყრები უფრო გამხიარულდნენ ამ ტყის სიგრილეში. ზოგს გულადობა მოემატა და დაიწყეს თამაშობა. ზოგი თო-

თას სახელსაც ბეროს სახელიეით ადვილათ ახსენებდა. ზოგი კიდეც ითხოვდა თოთას საომრათა.

— თოთა?!..რრა თოთა! — იძახდა ერთი წითელ ქულაჯიანი და ყურთმაჯ შეყრილი ყმარწვილი — სად არის თოთა?!. თუ კაი კაცია და თვალით დაგვენახვება...ვაი დედასა ყორნისასა!..

აქ იმან გაიკუნტრუშა კოხტათ ცხენი, მერე უცებ მოსწია ლაგამსა და შემოკჭრა ამაყათ კისერში ცხენს მუშტი.

— გამოდი, თოთავ, თუ კაი კაციხარ! — ეძახდა ერთი ყმაწვილი ყვითელის ყარაბაღულის წაღებითა:--გამოდი თუ კაი ვაჟკაცი ხარ, შენი ასე და ისე!--და აქ იმანაც შეაკუნტრუშა ძვალტყავათ ნაგცეეი ცხენი და დაეწოდა ვითომც გაჭენებულის ცხენიდამ, კენჭს ასაღებათა და გადაუვარდა ქუდი.

ამ კუნკრუხსა და თავის ჩენაში ყველა უცებ გაჩერდა და როგორღაც ყველანი შეიცვალნენ ფერზედა. თოთას მემუქარენი მიიმალნენ მუაგულს მაყრებში. რო შესაძლები ყოფილიყო მოცხრილავდნენ მინისკენა.

სამი მოყვანილი ოსი, თოფიარაღში ჩამჯდარი, ამ ყვირილში გამოვდნენ უცებ ტყიდამა, გადგეელობნენ გზაში და მოგვცეს თოფები შიგ გულში.

— მოიტა სუყელაფერი! — შემოგვიტიეს იმათა: — სენ არ იცნობ თოთასა!?.ის თოთა ცვენა ხარ...მოიტა მალე, თორემ სულ დახოცავს...

სუყველა მაყრებმა ერთმანერთს გადახედეს, სუყველაფერზედ შეიცვალა. ზოგნი მიეყუჟნენ ერთმანერთსა და ერთმანერთს ეფარებოდნენ. ზოგნი, ვინც უფრო გამბედავნი იყვნენ, გაჰყურებდნენ ერთმანერთს და არ იცოდნენ რა მოეგვარებინათ.

იყენენ იმისთანანიც, რომელნიც არ აპირებდნენ ამ ამბის დათმობასა, მაგრამ თუ არ დაუთმობდნენ და ესროდნენ, მინამ ესენი იარაღს მოისხნიდნენ, მინამ სამი ოსი, სამს საუკეთესო მაყარს ანაცვალებდა და შემდგომაც სხვა იქნებოდა. ეს ფიქრი აყენებდა იმათ. ჩვენ დიდს შეწუხებაში ვიყავით. ზოგნი კიდეც აპირებდნენ იარაღის აყრასა. ოსები უფრო ძალას იტანებოდნენ და იმუქრებოდნენ.

—Никакъ разбойники,ваше благородіе?—მკითხამდა ჩემი რუსი გასტერებული და შემკრთალი.

—Да, кажется.

—Эка черти!.. чтобъ ихъ чума, окоянныхъ!...

ოსებმა თან და თან გამოიდეს თავსა.

—ცქარა! —იტანებოდნენ ისინი ძალასა; —ეს არის, მეტის მოთმენა ალარ სეგიძლიან.—სუყველას დაგხოცავს...

შენი მტერი იყვეს ამ ყოფაში, რომ ჩვენ ვიყავით: თქვენი ჭირიმე, ას ოცს კაცზედ მეტი როგორ უნდა გავცარცულიყავით სამის კაცისაგანა, ის სამი კაცი თუნდა თოთა ყოფილიყო, თუნდა თითონ ბაყბაყ მდევი! მერე სულ თოფიარაღიანი ხალხი მაინც არა ვყოფილიყავით. სწორე მოგახსენო, მე თოთას ნახვა ძალიან მინდოდა, მაგრამ ამნაირი ნახვაც შეარცხვინა ღმერთმა! „ნეტავი თავის დღეში თოთას სახელიც არ გამეგონა მეთქი! „ვფიქროობდი.

ჩვენ რომ ამ შეწუხებაში ვიყავით, ამ დროს გამოჩნდა სიკოცა.

—რას გაჩერდით?—იძახდა ის შორიდამა.

—თოთაა, თოთა! —დაუძახა ვილამაც უკანა რიგიდამა.

—როგორ, თუ თოთა?! —და გამოექანა.

ის თავისებურათ—გიჟურათ მოიჭრა, გამოაპო იმანა მსა-

ხურები და მაყრები და მოვარდა წინა.

—აბა სად არის თოთა?—შესძახა იმან თავისის ფეთიანის ხმითა.—ესენი არიან თოთა?!.. თქვენა ხართ თოთა?!—შეუტია ოსებსა.

ოსები არ მოელოდნენ ამგვარს ამბავსა და მალე იკადრეს ფერის ცვლა.

—ცვენ გახლავართ, სენი წირიმე,—წამოცვივდნენ ამის შეტევაზედ შემინებული ოსები და დაუმვეს თოფები.

—თქვენა ხართ?!..

აქ მოისვა სიკომ ხმლის ყუას უცებ ხელი და ერთი, თუ ორი! ერთი თუ ორი! დაუშინა უწყალოთ თავებში.

—დაიჭ!.. შეჰკარი, ბიჭო!—დაიკიელა იმან შესაზარავის ხმითა და სიფიცხით სულ წინწკლები სცვიოდა თვალებიდამ.

ოსებმა მალე დაჰკარგეს თავისი გული და ჰქნეს პირი ტყისკენა, მაგრამ ერთს წუთას სიკომ და იმისმა ბიჭებმა გაბოლქეს ისინი და გაუკრეს ხელები გაგცეულს და მეშინებულს ოსებს. ჩვენც გულ მოცემულებმა, შეუტიეთ და დავიწყეთ ფაფხური.

სიკომ აჰყარა იარაღი და სულ ლუკმა-ლუკმა უქცია. ოსები სულ დედის შობილა დაატიტვლებინა.

—ეგრე ტიტველები მიაკარით ე ხეებზედ,—უბრძანა იმან თავის ბიჭებს,—რომ ყველა გაელელმა და გამოელელმა ნახოს. ვაი თქვენს ტყავსა!—მიუბრუნდა ოსებს და უბრძანა:—თუ ყველა მგზავრისთვის არ გითქვამთ, რა საქმისთვისაცა ხართ მანდ მიბმული.

—არა, აგრე მაგათი გაშვება როგორ იქნება!—დავიწყეთ ახლა ჩვენ სხვა მაყრებმა ფაფხური:—ლუბერნატორთან წარ-

ვადგინოთ, რომ ჩამოარჩონ, ეგ ასეთ ისეთები, ეგენი!.. მაგათ ეგ საქმეები უნდა ჩაიდინონ!...

—ნუ ინებებ ღმერთი გადღეგრძელებს!--იხვეწებოდნენ ამაზედ ოსები:--სენ რაც გინდა გიყავით, თუნდ ეხლავ დაგხოცე და სამართლის ხელსი ნუ ცაგაგდებ... სენი სილების გადღეგრძელოთ. ნუ ინებებ ცვენ დაღუპასა...

—ჯნიაზ სვიმონ,--ეხვეწებოდა ერთი ოსი:--ნუ ცაგვაგდებ ღმერთი გადღეგრძელებს, სამართლის ხელსი... მამისენის მონათლული გახლავარ... ნათელმირონობის გულისთვის გვაპატიე...

სიკომ როგორცა სთქვა, ისეც შეასრულა: იმან დედისმობილა ოსები მიაკრევინა ხეებზედ.

ჩვენ გახარებულნი წავედით, და თან გვეცინებოდა ჩვენს თავზედა.

—Вотъ-то князь!—უკვირდა ჩემს რუსსა,—я такова не видалъ.. не покажись онъ, ей Богу, что ограбили бы.. вотъ какъ есть ограбили бы. . . . . .

—ერთი ჰყურობ მაგ არამზადაებსა!-- დამიწყო სიკობ მელაპარაკი:--რაკი თოთასი სახელი არ არის გავარდნილი, სადაც არა მგონია თითო ე მაგისთანა წუნკალა ოსი დაუხვდება ხალხსა და იძახის: თოთა ვარ, სემა ზემა! იმათაც მართლა თოთა ჰგონიათ და, იმის სახელით შეშინებულები, აძლევენ მაგათ რაც აბადიათ. ეგ რა საჭიროა, უფრო კარგი არ მოგახსენო. ემას წინათ წავედით ჩვენ სალოცავათ: მე, ჩემი და, და დედა ჩემი. იქიდამ რომ დავბრუნდით, ერთიც ენახოთ, ერთს ვიწრო გზაში ეგრე ე მაგათსაკით ორი ოსი გადმოგვიდგა და შემოგვიტიეს: „მოიტა ფული, ცვენ თოთა ხარ!“ მოვისვი ხმლის ყუას ხელი და ერთი ბეწვა

ალაგი ალარ შეევარჩინე თავპირზედ მთელი. ავყარე იარალი და დღესაც შინა მაქვს. ეხლა მოდიან და ქრთამს იძლევიან, იარალი დაგვიბრუნეო... ვინ იცის, საწყალი თოთა იქ თავისთვის არის და აქ სადაც არა მგონია იმის სახელობაზედ საწყალს ხალხს სცარცვამენ. თავის დღეში ნუ იფიქრებ, რომ ის უბრალოთ კაცს დაუხვდეს, თუ არ ძალიან შემძლეს, მდიდარსა და ავს ბოროტს კაცსა. ის იმდენსკი შოულობს რომ თითონა და იმისმა კუსრიონამ იცხოვროს და თუ მეტი ექნება, ის სულ საწყალ ხალხს ურიგებს, და ის უბრალოთ, მეტადრე საწყალს კაცს გაცარცვამს? ეგენიკი არაისა ზოგვენ და ერქმევა თოთას სახელი.

მე რომ ამას მიამბობდა სიკო, იქ ზოგიერთა მაყრები იგდებდნენ სასაცილოთ იმ ყმაწვილებსა, რომელნიც ისრე ამაყათ ითხოვდნენ ტყიდამ თოთას და მერეკი ყველაზედ უკან იმალებოდნენ.

—რა შიში,რა!--მართლულობლა ერთი იმათგანი თავსა:--რას უზამ, რა!... აბა ისე გამოსულიყვნენ... თუ არა დანდობილას გატენილი თოფები შიგ გულის ფიცარში მიგვცეს, და... სასიკვდილო თავი, თუ სხვასა ჰქონდა, ჩვენც შევაკლამდით თავსა,რა! ეგ რა ვაჟკაცობაა, რა!... ეგრე თითონ, მეც თუნდა თითონაუ თოთას გავცვარცვამ: მივსცემ გატენილს ფეხზედ შემოსმულს თოფს გულში და მაშინ ენახამთ, თუ არ მოიცემა...

—გულში მიშვერილის თოფით შენისთანა ვაჟკაც ყმაწვილებს შეაშინებენ--ეუბნებოდა ერთი ვილაცა,--განა ის რომ თოფს მოგიშვერს, მართლა გესვრის თუ! ის ამის შეშინების გულისთვის ჩადის. თორემ ერთი რომ მაგრა დაუხვდე,

თითონ უფროც შეშინდება... განა იმასკი არ ეშინიან უბრალოთ კაცის მოკვლისა?...

11.

ქართული ნათესაური ერთგულება და თოთა ქორწილზედ.

გადავრჩით იმ ერთს ხათასა და მივედით დედოფლიანთასა.

პირობისამებრ მზითევი უნდა ჯვარის წერამდინ ჩაებარებინათ სასიძოსთვისა.

მზითევ იბარებდა ბიძა მეფისა, იოთამ კოჭიყლაპიაშვილი მზითევს, როგორც წესია ჩვენი ქალების პატრონებისგან, იმის ნახევარსაც არ იძლეოდნენ, რასაც დაპირებულები იყვნენ.

შეიქნა მზითევზედ ჩხუბი. გაჭირვეულდა ჩვენი მეფის ბიძა.

— არ გვინდა ე თქვენი ქალი! აღარ დავიწერთ ჯვარსა!- ცხარობდა ისა:—შეჰკაზმეთ ბიჭო ცხენები!... წავიდეთ.

— ეეჰუუ!-შეიტიეს მოყვრიანთა:-როგორ თუ წახვიდეთ?. ჯვარის საწერათ შოსულხართ, ქალი გამინჯეთ, ხარჯი მოგვეცით და ახლა გინდა წახვიდეთ?!... აბა თუ კარგი კაცები ხართ და ფეხს გასდგამთ აქედამა!... ერთს ცოცხალს აღარ გაგიშვებთ... აგრე არ არის დაჩვეული შინდიკურკაანთ გვარი: ქალებს გაუშინჯვენ და მერე თავს დაანებებენ...

— ცხენები, მალე!-ყვიროდა უარესათ გაცხარებული იოთამ:-ეაი შენ ჩემო თაო!... მაშ თქვენი ყმები ეყოფილვართ, რაღა!... ჩვენ წავალთ, და აბა ერთი თქვენ გზამი გადგვიდექით...

— ბიჭო, კეტები!-დაიძახეს მოყვრიანთა:-დაუძახეთ მთელს სოფელსა, რომ სულ კეტით ეხლა აქ მოვიდეს... აბა თუ

ესენი აქედამ წაგლეჯ, მაშინ დაიკვეხონ...

—როგორ თუ არ წავალთ!–შეიტიეს ახლა მეფის მაყრებმაცა:–თუ კაი კაცები ხართ და ხელს გვახლებთ!.. მამაჩემი არ წამიწყდება სასიკვდილოთ არავის დავზოგავთ...სისხლი მოხდება... მოიყვა ბიჭო ცხენები... სულ მტვერს ავადენთ აქაურობასა. , ... ძალათი უნდა ჯვარი დაგვწეროთ... ვაი შენს ბიჭსა!... თქვენი ქალი თქვენთვისა და ჩვენ ჩვენთვისა: ვნახოთ ერთი ვილაც მოტყუვდება თქვენგანა...

ჩვენ მოგვგვარეს ცხენები და დავიწყეთ საჩქაროთ სხდომა. სად იყო და სად არა, მთელი სოფელი და ახლა დედოფლის მაყრები თავისის მსახურებით დაგვედნენ სულ დაშიშვლებულის კეტებითა. გვიტაცეს ცხენებს ხელი და გადაგველობნენ წინ.

—სად მიხვალთ, სადა!.., ჩვენის ცოცხალის თავით, თქვენგნით მაგ სირცხვილსა ეჭამთ!?.. გადმოდით, მეთქი!–შემოგვიტიეს იმათა.

შეიქნა ჩოჩქოლი. ჩვენ ვაპირებდით გაძალიანებასა და ვიდექით ამაყათ. ზოგან შეიქნა კინკლაობაცა. მეფის ბიძას კიდეც მოსდეს და გადმოაბძანეს ცხენიდამ. ჩხუბი ცხოველდებოდა. დედოფლიანი ალარა ხუმრობდნენ, გლეხკაცები იყვნენ თავგამოდებულები და ალარავისა ზოგავდნენ.. ცოტ-ცოტათი გადმოყარეს ჩვენი მაყრები ცხენიდამ. ბოლოს ყველას დაგვტაცეს ხელიდამ ცხენები.

ჩვენ დავრჩით დაჯაბნილები. ჩვენი ცხენები წაასხეს საცალას შორსა. იოთამ გოჭიყლაპიაშვილი მაინც ჭირვეულობ,კა, სთხოვდა მუქარასა.

—პირდაპირ მთავარმართებელთან შევალ არზითა... ხელმწიფესთან ვიჩივლებ... ვინც კაი კაცია და დასწერს ჩემს ძმისწულს ჯვარსა!...

—დახე სირცხვილსა!-იძახოდნენ გულდამწვარი და დამარცხებული მაყრები:-ჩვენ შინდიკურკაანთგან ეს ამბავი უნდა მოგვივიდეს... ვაი დედასა!... რალათ გვინდა თავი ცოცხალა!..

მოატანა ბინდმა და ცოტ-ცოტათი მშვიდდებოდნენ ჩვენი გაცხარებული მაყრებიცა.

შეიქნა მოციქულობა. იოთამმა უფრო თავს გამოიდო და ახლოც არ იყარებდა მოციქულებსა.

—მე რა მაქვს მაგათან მოსარიგებელი!.. ამას იქით ან მე უნდა ვიყვე, ან ეგა... უსისხლობა აღარ შეიძლება... რათგან ძალაა, ვნახოთ ვის უფრო ძალა შეუძლიან!...

მოციქულებმა გაიხმეს ზოგიერთა თავგამოდებული და პატივსაცემი მეფის მაყრები. იმათ დიდს ხანსა ჰქონდათ გახმობგამოხმობა.

—არა, შენი ჭირიმე,—იდგნენ ისინიც უარზედა:—ჩვენ ეგები არ შეგვიძლიან.. ჩვენ მოვალეობაში ვერ ჩავდგებით: დღეს ჩვენი ძმა და მეგობარია.:. დღეს ხვალაობაა... არ შეგვიძლიან...

პატარას ხანს უკან ამ თავგამოდებულმა მაყრებმა დაიწყეს უფრო ლბილათ ლაპარაკი. იმათთვის მგონია საპონი ამოესვათ. ისინი სხვანაირათ მოვიდოდნენ იოთამთან და თან და თან შეაპრეს სიტყვები.

—ეჰ, ცუდი საქმე კია, შენუ მომიკვდები,-დაიწყეს იმათა:-არ არის კარგი... მაგრამ მაინც რომ მოყვრობა არ აგცდებათ, ეგ არის ძნელი... ცოტას გულისთვის შეძულება,

შენუმომიკვდები, საკადრისი აღარ არის... რაც მოხდა--მოხდა...

—ვინ! მე?!... მე მაგათი მოყვრობა კიდევ ვინდომო?!.. მაშ ძაღლი დამეკლას ჩემი მკვდრების საფლავზედ... ცოლ-შვილი ამოიმიწყდეს... ვაი შენს იოთამსა!.. ეს ამბავი უნდა მე მაგათ... შევარჩინო!.. ან მე და ან ეგენი... აბა მიყურონ მე მაგათა... მე ისევ ის იოთამ გოჭიყლაპიაშვილი გახლავართ, რომელიც მაგათ არ გაუგონიათ...

პატარა ხანს უკან გაცხარებული იოთამ გაიხმო ერთმა გამოჩენილი გვარის მოხუცებულმა პატივცემულმა თავადის-შვილმა, რომელიც იყო მოწვეული დედოფლის მარიეა. ამის მოუსმენლობაკი ველარა გაჰბედა იოთამმა.

პატარა ხანს უკან იოთამ ისე აღარ ცხარობდა და ის-მოდა ამათში შემდეგი ლაპარაკი..

—ჩემი ძმისწული უნდა გავყიდო!... ჩემი სისხლი და ხორცი!.. აპა, რას ბრძანებ კნიაზ პაპუავ, მამიშენის სულის მზესა!... შენგან არ მიკვირს!...

—არა, მამაშენი ნუ წაგიწყმდება, რა გაყიდვა იქნება.. შენ ერთი ხელ მოკლე კაცი ხარ, წერილშვილის პატრონი.. შენთვის ეგ ფული შესამატია და შენი ძმისწულიკი მაგაზედ კაი მზითვიანს მაგისთანა გვარის ქალს ვერ შეირთავს.. შამა ჩემი, ავთანდილ არ წამიწყმდეს, რომ მაგაში სულ არაფერი ცოდო არა იყვეს რა...

—მართალი ბრძანებაა, მაგრამ.. მაინც რაც უნდა იყვეს, ძმის წულია.. სისხლი და ხორცია...

—თუ ეგ ცოდო იყვეს--ჩემი ცოდო იყვეს.. მერწმუნე მეთქი, იოთამ..

აქ პაპუამ რალაც ჩაუდო იოთამს ხელში. იოთამმა მაგრა

შოკუმშა ხელი და გააქანა ჭისკენა.

—შენი პატივის-ცემისთვის, კნიაზო პაპუავ, მამა ჩემი არ წამიწყდება, თორემ.! აბა, ხომ შოგეხსენება... მაგ გვარი საქმე არავისგან დასათმობი არ არის...

იოთამ მოვიდა მეფესთან კვნესა ოხვრითა.

—ეჰ! რა გინდა ჰქნა!.. ეს საქმე ჩიეილათ არა ღირს. . . . . თავის დღეში კი აღარ გათავდება და!.. ისიც ვინ იცის ვის გაამტყუნებენ.. ახლა რამდენს უნდა მოსცდე შინ და გარეთა... ხარჯი ხომ სხვა არის...

—ჭეშმარიტი ბრძანებაა!-დაუკრეს კვერი წინათ გახმობილმა მაყრებმა.--ესეც კი უნდა ვსთქვათ, კნიაზო იოთამ, რომ უკეთესს სამოყრო კაცს კი ველარ იშოვნით... კაი პირის ხალხნი არიან, კარგის გვარის და ოჯახის შვილები და კარგი მეპურმარილენი... მამაჩემი არ წამიწყდება, რომ ჩვენ ტყუილი თავს გამოდება გვაქვს... კაი ეზითევს იძლევიან...

--ეჰ! რაც არის--ეგ არის.. ალბათ ღმერთს ეგ უნდოდა და ეგ მოხდა: ღვთის განგებას ვერავინ წაუვა... ქალი მეხარბება, რომ მეტი კარგი რამ არის, თორემ მაგათზედ კი ხელის აღება ახი იქნებოდა...

--გაჰყიდეს ე ძროხა ყმაწვილი, ამ არაამზადაებმა, ამათა!-- მითხრა მე სიკოამა ამ ლაპარაკში.

თორმეტი საათი იქნებოდა, რომ ჯვარი გადავსწერეთ ჩვენს მეფე დედოფალსა.

მეფე, იმის ცოლის შერთვაზედ რომ ეს ამბავი და ვაი ვაგლახი იყო, თითქო იმას არა შეეხებარაო. თქვეს: ნუ დაიწერ ჯვარს, წავიდეთო,-ის შეჯდა ცხენზედ წასასვლელათა. თქვეს: ჯვარი დაიწერეო,--გასწია ეკლესიაში და მიუშვირა

გვირგვინს თავი. იმას ქალი არამც თუ ეკლესიას გარეთ არ უნახავს და ეკლესიაშიაც კი არ დაათვალიერა: ქალი იყო, თუ ვინ იყო. . . . : . . . .

იმ ღამეს არაფერი, მეორეს დღეს გაიმართა წმინდა ქართული ქორწილი. ვინ გინდა არ იყო შინდიკურკაანთ ქორწილში! ასე გაშინჯე ორიოდე სომეხი ვაჭარი კაციც ერია.

საკვირველია ქართველი ხალხის საქმე. აქ ქორწილში მაშინვე შენიშნავდა ვინ რა რიგის წოდებისა და ხარისხის ხალხს ეკუთვნოდა. ყველაზედ თამამათ იქცეოდნენ და ასე გაშინჯეთ, უცხო ქალებსაკკი უბედავდნენ ლაპარაკსა სამსახურის კაცნი, სმაშიკი ვერ იყვნენ ისე გამბედავნი და უპირატესობას სხვებს უთმობდნენ, თუცა თითონაკკი ცდილობდნენ აჰყოლოდნენ ფეხის ხმასა. შემდგომ პირველი თამამობა ეკუთვნოდათ თავადებსა და რამდენიც უფრო დიდის გვარისა და მდიდარი კაცის შვილები იყვნენ, იმდენი უფრო თამამობდნენ. ზოგნი ამათგანი კიდეც ოხუნჯობდნენ და მასხარაობდნენ თავის ნათესავს ქალებთან, ხოლოთ უცხოებთანკი ვერა ბედავდნენ, თითო ოროლა სიტყვებს თუ. აზნაურები ყველაში ერჩეოდნენ თავადებიდგან: ტანისამოსში, მიხვრა-მოხვრაში, მოკრძალებით და მორიდებით ქცევაში მაშინვე ეტყობოდათ, რომ ესენი თავის ქერქში არ იყვნენ: ისინი ჰგრძნობენ თავის სისხლის სიმდაბლესა. ზოგი აზნაურშვილნი, რომელნიც უფრო გამოსულნი და გამორჩეულნი იყვნენ, ცდილობდნენ, რომ არა ყოფილიყო განრჩევა იმათსა და დიდს სისხლიანს თავადებში, მაგრამ მაინც ახირებულათ ეტყობოდათ განრჩევა: თავადები ისე თავის როლში იყვნენ, რომ არაფერი არ ეტყობოდათ და აზნაურებიკი, მაშინვე იგ-

რძნობდა კაცი, რომ ძალათი იჭიმებოდნენ და ეს როლი ამათი არ არის. ღვდლები ხომ სულ მოკრძალებით იყვნენ და თუ გამოელაპარაკებოდნენ ვისმე, ისიც როგორიღაც ფერაობითა და ისეთის სახითა, რომ თითქო ეხვეწებოდნენ ნუ გაგვიწყრები ლაპარაკის გაბედვისთვისაო. იყო ორი გამბედავი ყმაწვილი ღვდელიცა, მაგრამ იმათს გამბედაობაში უფრო ჩნდა მოუხერხაობა ვიდრემ სილალე. თავადებიც რასაკვირველია ჰგრძნობდნენ თავის სისხლსა და ისე დიდკაცურათაც ელაპარაკებოდნენ თავიზედ დაბალის სისხლის პატრონებსა.

სადილისთვის მოვიდა დიამბეგიცა, რომელიც . . . . . .

გაიმართა ქართული სმეულობა, ან როგორც ჩვენსკენ ეტყვიან--ჟუჟვა.

გაცხარებულს ღვინის სმაში ისმოდა ალაგ-ალაგ შემდეგი ლაპარაკი:

— შენ ვინა ხარ!--უწყრებოდა ერთი თავადისშვილი ერთს აზნაურშვილს, რომელიც უჯიბრდებოდა ამას ღვინის სმაში, და როგორც ეტყობა არას უთმენდა:--შენი ტოლები მე გვერდს მახლავან.

— უკაცრავათ! ის დრო აღარ გახლავთ: ეხლა მეც ის ხარისხი მომეცა, რაც შენა.

— მამაჩემს მამიშენისთანა ასობითა ხლებია...

— თავის დღეში, არა.. იმ ქალამნიანთაგანი არ გახლავართ, რომელნიც მამაშენსა ჰხლებიან.

მეორეთგან ისმოდა სხვა ერთის თავადისა და ერთის აზნაურის ბაასი.

— მიირთვი კნიაზო!--ეუბნებოდა ერთი ღარიბათ ჩაცმუ-

ლი აზნაური თავადსა:-თქვენმა მზემ ერთი საქაშე გაკლიათ.

—სტყუი! დავლიე..

—არა მამითქვენის სულის მზემა.

—კარგი ახლა, ხომ კაცს თავზედ არ უნდა წააჯდე, რო ერთი თავი გაგიყადროს!... რა შენი საქმეა..

—თქვენი ნებაა...

—ყველამ თავისი ტოლი უნდა იცოდეს..

—მინავათი გახლავართ!..

—რაზედ გამოგვიჭიმეს, თქვენი ჭირიმეთ, ე უჯინშო აზნაურაები გვერდითა, სწყრებოდა ერთი კნეინა ამ ამბავზედ.

—თქვენმა მზემ, ნეტავი ახლა თავზედაც არ წამოგვასხდნენ, რაკი ერთი პირი უჩვენეს,--უპასუხებდა მეორე საშინელის უკმაყოფილოს სახითა.

—არაფერი ზდილობა მოუვიდათ, თქვენმა მზემა,--ბრძანებდა მესამე კნეინა:- ამ ჩვენს მასპინძელსა, რომ ესენი გვერდს მოგვისხეს და გაგვისწორეს.

მესამეთგან ერთი სომეხი და ერთი თავადი თუ აზნაური უხირდებოდნენ ერთმანერთსა.

—შენ ვისი ტოლი ხარ!-ფიცხობდა ის თავადი თუ აზნაური.

—ვაა! რატომ, კნიაზჯან... შენ ჩემზედ მაღალი არა ხარ.

—მე სხვა აქლემი ვარ სხვა.

. . . . . .

—მე სხვა სისხლი მდის.

—მერე, შენ ჩემი სისხლი სად გინახავს!...

აქ როგორც რიგია წმინდა სისხლიანის კაცისაგან, აუღელდა გვარიანს სისხლი და შეიქმნა უგვარო სისხლზედ წევა.

პატარას ხანს უკან, თანასწორს ხალხში, სადაც დისონა-

ნსი არ გამოდიოდა, ისმოდა ამ გვარი შეტევით ლაპარაკი.

—მოგკალ, მოგკალ, რალა!-ეუბნებოდა ერთი სუფრაზედ გამოჭიმული ღვინის მსმელი, მეორეს, რომელიც მიეჩქარებოდა სუფრიდამ წასასვლელად:-სულიკი ამოგართვი და! .

—ვისა, ბიჭო!?.. მეე!?... ვაი შენს გოგიასა!..

. . . . . .

—რაო!.. მოგკალიო!?.! ვინ მოჰკალ, ვინა!?.. ჰაი, მე ლაჩარო!.. დამისხი ერთი ე ღვინო-მწყურიან.. გაამსე პირამდინა.. ეგრე, აი, შენი ღმერთის ჭირიმე!.. დაგლიიოოო ღვინოო, ციოო!-შემოსძახა იმან, თითქო კიდეც მართლა ემღერებაო.

აქ იმან შემაგრებულის ჭრჭოლით იწაფა საქაშე, ნახევრობამდინ მეტი ვეღარ შესძლო და დასდგა თავის წინ, ვითომც სულის მოსაბრუნებლათა.

—ჰო! არაო, ვერ დალევსო.. მერე გოგიაკი მოგიყვდეს, გოგიაი!.. ვაი შენს ბიჭსა...

—დიახ! რომ გეუბნები მოგკალ მეთქი!.. არა ვის უჯიბრდები!-და ახლა მებაასე იწყევდა ღვინისაგან შეწუხებული ბატკნების გასარეკათა:—მოგკლამ, მეთქი, ბიჭო! მოკლამ!..

—არა, შენი საქმე არ არის!—მიხვდა გოგია იმის ეშმაკობასა:—სად მიხვალ?.. ეგრე უნდა მოგკლა!..

—არა მეთქი შენმა მზემა!- ეუბნებოდა ის სლოკინით,-ეხლაე შემოვალ.. მუპუ! ბიჭო, ვისა?!.: მუპუ! ხო იცი!?..

ახლა პატარას ხანს უკან ის კარბოდა გარეთ. . .

. . . . . .

სხვაგან უფრო ომახიანი ლაპარაკი ისმოდა.

—ბეჟან! ბეჟან! დალიე ე ჯიხვი.. ასწი, ასწი!.. აგრე აი!..

--ალაევერდი შენთან, ილიკო... ასრე დაცალე, აი!-და ის აბრუნებდა პირქვე ჯიხესა,-ასრე დაიცალოს შენი მტერი და ავათ მახსენებელი.

—შენ რატომ აღარა სვამ?!-ეძახდა ერთა ვიღაცი თავისთან მჯდომს მსმელსა.

—აღარ მინდა.

—დალიე, მეთქი!.. მე რა შენი ის ვიყავი, რომ დამაცლევინე!..

—ველარ დაველე..

—დალევ არა და ჯანსაც გაგაგდებინებ..

—ველარა მეთქი, გეუბნები...

—უნდა დალიო.. შიგ კისერში ჩაგასხავ..

—ველარა, ძმავ!.. ის.. ალ..ობა ხომ არ არის.. აის მელ.

. . . . . .

დიამბეგს ელაპარაკებოდა ერთი ვიღაცა მაყარი.

--დიამბეგო, ეს სადღეგრძელო მაინც მიირთვი.

--არა, აღარ შემიძლიან.. საქმეები მაქვს.. სამსახური ხომ მოგეხსენება!..

. . . . . .

--თქვენი ნებაა!- და მოიწაფა იმან აქ ღვინო. ამას სხვასავით სიმთვრალე არ ეტყობოდა. თითქო ეს ეს არის ჩაუჯდა ღვინოსაო.

მაყრები რომ გაჭირვებულს ღვინის სმაში იყვნენ, ქალები გალაგდნენ ცალკე ოთახში და კამართეს ლხინი. დალალულს თამაშობისგან, ზოგიერთა ქალებს ჰქონდათ პირის სახეზედ ოფლისგან დამართული ნალარები, თითქო იმათს პირზედ წასმულს უმარილში გუთნით კვლები დაუვლიათო. ზოგს

სხვა და სხვა წამლებისგან ლურჯათა ჰქონდათ ანთებული სახე; ზოგს სქლათ გუნდისგან შელებილი წარბები ჰქონდა ისე პტყლათ გავლებული შუბლზედ, თითქო წეროს ხროვას გაუბამთ ლარი და მიდიან ინდოეთში ზამთრის გასატარებლათაო. ერთი კოჭლი ქალი კოხტათ მიათრევდა წამხდარს ფეხსა, თითქო ეს სიკოხტავით მოდისო.

აქ რომ ეს ამბავი იყო, უცებ ხმა შემოგვესმა კარებზედ მყოფის ეკლესიის ზარის რეკისა.

ჩვენთან შემოვარდა ფერგადაკრული დიამბეგის იასაული.

--თოთა, ბატონო, თოთა.. დიამბეგს ეძებს...

. . . . . .

. . . . . .

12,13,14,15.

ანტ. ფურცელაძე.

წერილი ჩემს მეგობარს.

წყლულის გულითა ვისთან წახვალ, ვის ეტყვი შენს დარდს!
ვის გაუმჟღავნებ შენს ტანჯვასა, შენს მწუხარებას!
ვინ გაგიგონებს გულის კვნესას, უბედურებას!
გულმტკივნეულათ ვინ მოისმენს შენი ცრემლის ღვრას!
ვისთანაც მიხვალ, ვისაც შესჩივლებ ჩვენს სატანჯველსა,
ვისაც რომ ეტყვი შენი ყოფის საცოდაობას,
ყველა გაიცხვით შემოჰხედავს შენს გულის წვასა
და განრისხდება, რომ უშლი მას ტკბილათ განცხრომას.
ვის რათ ეკითხვის დაჩაგრულის მდგომარეობა,
ვის რაში უნდა, რომ თუ ვინმე ცეცხლით იწვება,--
ყველა მას ცდილობს, რომ თითონ კი ამ ცეცხლს გადარჩეს,
და იმას იქით თუნდა ქვაზედ ქვაც ალარ დარჩეს.

ზურაბ მოენიძე.

1863 წელსა, მარტსა. თემირხანშურა.

ცხენი და ვირი.

(ჰეინედამ)

რკინის რელსებზედ, როგორც რომ ელვა
ეგონი გარბის ეგონს უკანა,
გარბის და იმგრგვლივ სულ მთლათ ივსება
კვნესით, ლრიჭინით ჯოჭლით ქვეყანა.

სანახიროზედ ბაკის კარებთან,
ება ვირი და მთლათ თეთრი ცხენი;
ვირი კლერტოებს ტკბილათ ჭკვნეტამდა,
ცხენიკი ვარმით გასიებული,

შესცქერდა რკინის გზის სიარულსა,
შიშისგან სულ მთლათ უთრთოდა ტანი,
და მწარის ოხვრით მოჰყვა მოთქმასა:
„ოჰ, რა დღე არის ჩვენზედ მომდგარი!

„ღმერთს გეფიცები, რომ თვით ბუნებით,
არ მქონდეს ბეწვი გათეთრებული,
გავთეთრდებოდი ამტენის ჯავრით,
ამ რკინის გზების შემაყურალი!

„სამინელი და საზარო რისხვა
თვით ბუნებისგან ცხენთ მოცვდგომია;
ცხენი ვარ, მაგრამ ეკითხულობ კარგა,
რომ ცუდი ბოლო ცხენთ გვიწერია.

„ცხენებს ამ რკინის პირუტყვებისგან
არას დროს კარგი არ დაგვეყრება:
სუყველა კაცი ცხენებისგან
მაშინებს უფრო მოეჭიდება.

„რაკი გაიგებს კაცი ამასა,
რომ უჩვენოთაც კარგათ იცხოვრებს,
მშვიდობით მაშინ ქერო და მზეო!
კაცი ჩვენ საჭმელს გამოგვასალმებს!

„ქვა რბილი არის კაცის გულზედა:
მუქთაათ ერთს ნამცეცსც არვის მისცემენ....

გამოგვერეკამენ ბოსლებიდამა
და მთლათ სიციცით ამოგვჟლეტამენ!

„ჩვენ კაცებივით პარვა არ ვიცით,
არც პირფერობა კაცს და ძალლსავით,
ვერც ვალს ავიღებთ ჩვენ კაცებივით....
ოჰ, ღმერთო ჩემო! სულ მთლათ გავწყდებით!...“

ასე მოსთქვამდა მწუხარეთ ცხენი,
ვირიკი მშვიდათ ყურებს იბერტყდა,
დარბაისლურად გაშტერებული,
თავისთვის კლერტებს შეექცეოდა.

ჭამას რომ მორჩა კუდს უწყო ლოკვა.
„არ შევიწუხებ ამაზედ თავსა,“
დაიწყო ვირმა მძიმეთ წარმოთქმა.
„თუ რა ბოლო გვაქეს ვირების გვარსა.

„მე ეს კი ვიცი: ავპარტავანთ ცხენთ
უთუოთ ცუდი ბოლო გექნებათ,
მაგრამ მორჩილთ და დამჯერო ვირებს,
არას დროს ბედი არ შეეცვლებათ.

„რაც უნდა კირგი მძიმე მაშინა
რამ მოიგონოს ადამიანმა,
მაინც ვირებსა თავის დღეშია,
არ მოაკლდებათ კეთილ ცხოვრება.

„თვითონ განგება ვირთავის ზრუნავს...
და ჩვენც ვაფასებთ ჩვენს ხელობასა:
ჩვენც, როგორც მამა-პაპას უზიდავთ,
წისქვილში ვზიდამთ მუდამ საფქვავსა.

ცხენი და ვირი.

„მეწისქვილე ჰფქვავს, თვალი ლრიჭინებს,
ტომრებს ავსებენ წმიდა ფქვილითა;
მიუტანთ შინ ფქვილს, შინ ფქვილს აცხობენ, —
კაცნი სძღებიან ამ ნამცხვარითა.

„იმავე სოფლის დაარსებითვე,
ასე არს ყველგან წესი დამდგარი
და თავის დღეში, რაც უნდა მოხდეს,
არ მოისპობა ვირების გვარი!...“

მ ო რ ა ლ ი.

რაიონების დრო ჩავიდა საფლავს
და ამაყთ ცხენთაც შიმშილი მოჰკლავს;
მაგრამ ვირებსკი თავის დღეშია
პირი ექნებათ ბზეს და ქერშია.

ანტონ ფურცელაძე.

გუსი.

(ბოსუელიდამ.)

სლავიანურს ხალხებში უფრო განათლებული ისინი იყვნენ, რომელნიც დასავლეთთან ახლოსა სცხოვრობდნენ: ჩეხები და პოლიაკები. ჩეხები 14 და 15 საუკუნეებში განათლებულითაგანნი იყვნენ ევროპიაში. ამათა ჰქონდათ თავიანთს დედაქალაქს, პრაგაში, უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა სხვა ნემენცების უნივერსიტეტებზედ ადრე 1348 წ, და არ უვარდებოდა უკეთესს ევროპიის უნივერსიტეტებსა. რიცხვი მოსწავლეთ, ოცდაათი ათას სტუდენტზედ მეტი იყო, და პროფესორები სამასამდინ იყვნენ. ეს სასწავლებელი რესპუბლიკას წარმოადგენდა, რომლისაც მოქალაქეებსა (სტუდენტებსა) შეარდგენდა ოთხი „ხალხი", ჩეხები, ბავარიელები, საქსონიელები და პოლშელები (ლეხები). ამ რიცხვში ჩეხელები მხოლოდ მეექვსე ნაწილს შეარდგენდენ. პრაგის უნივერსიტეტი, რგორც სხვა შუა საუკუნეების უნივერსიტეტები საეკლესიო და ლათინური იყო, მაგრამ მაინც ყველას შეეძლო მასწავლებლობა იქა, ვისაც სწავლული ღირსება ჰქონდა. კიდეც ამიტომ შევიდა ისე ადვილათ ამ ხალხში თავისუფალი ანგლიურის მსჯელის ვიკლეფის სწავლა. ვიკლეფის წიგნები იყვნენ მოტანილნი ბოლებიაში ქორწილის დროს, როდესაც დანთესავდნენ ჩეხისა და ანგლიის სამეფო ოჯახები. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ვიკლეფის მიმადევართაგან იყო გუსი, რომელიც იყო ბოლემიდამ.

გუსი დაიბადა 1373 წ, ერთს პატარა სოფელს გუსინეცში, საიდამაც მიიღო გუსმა თავის სახელი. ის თუმცა იყო ერთი უბრალო გლეხკაცის შვილი, მაგრამ იმისი მშობლები არაუერსა არა ზოგამდენ თავისის შვილის აღზრდისათვის. გუსმა. დაასრულა თუარა სწავლა ერთს მახლობელს ქალაქში,-მამა მოუკვდა და მაშინ თითონ დედამ წაიყვანა ისა პრაგას, უნივერსიტეტში. გუსის დედამ უნივერსიტეტის რექტორისათვის წაიყვანა ერთი ცოცხალი ბატი და წაილო ერთი პიროგი, მაგრამ ბატი გზაში სადღაც გაექცა ამ საწყალ დედაკაცსა. ეს უბედური შემთხვევა შეიქნა სამწუხარო წინად-მოსწავლეობა იმისთვის. მამინ იმან დაიჩოქა და სთხოვა ღმერთს თავისი და თავისი შვილის დალოცვა. მთელი გზა სწუხდა ამ წინად მოსწავლეობაზედ.

გუსის სიყმაწვილე არ არის რიგიანათ გამოკვლეული. ერთს საღამოზედ ისა ჰკითხულობდა ცეცხლა-პირას \ მინდა ლავრენტის ცხოვრებას.იმას დაუწყო გულმაცემა სამინელის სატანჯველებისაგან, რომელიც მისდგომოდა ამ წმინდასა. გუსმა შესდო ხელი ცეცხლის ალში; ერთმა იმისმა მეგობარმა ააყენა გუსი და ჰკითხა, „რასა შვრებიო?“ მან უპასუხა: ვცდი წმინდა ლავრენტის წვალებას, მერამდენე ნაწილს ავიტანდი მეო. „1668 წ, ის შეევიდა პრაგის უნივერსიტეტში საზოგადო მასწავლებლად და შემდეგს წელიწადშივე ჰქომაგობდა ბაასებში ერთს სწავლასა ვიკლეფის თხუზულებიდამ. მაშინ ის იყო დანიშნული დეკანათ ფილოსოფიის ფაკულტეტში და პრაფესორად და მქადაგებლად ბეთლემის სამლოცველოში (1401 — 1402), შემდეგს წელიწადში კი უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს.

ყველაზედ კარგი მეგობარი გუსისა იყო იერონიმე, რომელიც მიიღებდა ვიკლეფის ჰაზრში მონაწილეობას. იერონიმე ხშირად მოგზაურობდა ოკსფორდში და იქადამ მოიტანა ბევრი ვიკლეფის თხზულებაები, რომლებისაც ცნობა სრულებით არა ჰქონდა ბოღემიაში არაისა. 1403 წ. გუსსა ჰქონდა საზოგადო ბრძოლა ვიკლეფის სწავლაზედ, და რადგანაც მომატებული ნაწილი უნივერსიტეტის პრაფესორებისა იყვნენ ნემენცები, რომელნიც არა სწავლობდნენ იმისთანა ჰაზრებს, — იმათ ორმოცდა ხუთი საერეტიკო (*) მუხლი იპოვეს ვიკლეფის წიგნებში და დასდეს, რომ უნივერსიტეტის მასწავლებელებში არაისა არ შეუძლიან იმათი განმარტება, არც საზოგადოთ და არც ჩუმათა.

როდესაც პაპი ვრიგოლ 12-მა აღარჩია ნემენცების იმპერატორათ რუპრეხტი, ჩეხების კოროლის ვოცლავის მტერი, მაშინ ვოცლავი, იმითი უგებდა შურსა, რომ ჰფარავდა და ქომაგობდა პრაგის ქალაქში რეფორმის (**) მასწავლებლებსა, რომლებისაც რიცხვი ძალიან გამრავლდა მაშინ და რომლების თავი კაცი იყო გუსი. ეს კაცი ქალაქში ყველას უყვარდა: იმისი უძრახავი ცხოვრება, სიმშვიდე, ალერსი და გულჩვილობა მოსწონდა ხალხსა, ასე რომ კოროლევა სოფიომ თავის მოძღვრათ აიყვანა. გუსი არხიეპისკოპოსი სბინოკთანაც მეგობრულათ იყო; ეს არხიეპისკოპოსი მიიღებდა ხშირად ჭკვიანურს რჩევასა გუსისგან, რომელმაც მალე დაარწმუნა ის იმაზედ, თუ რა საკვნებელი იყო სარწმუნოებისათვის სალოცავათ სიარული . . . – ქრისტეს სი-

(*) ერეტიკებს ეძახდნენ ვინც სარწმუნოებას გადუდგებოდა.

(**) რეფორმა ჰქვიან სასელმწიფო და საეკლესიო ცვლილებასა.

სხლთან, რომელიც ვითომც იმყოფებოდა ერთს ბრანდენბურლის ქალაქში და ვითომც სასწაულებს იჩენდა. არხიეპისკოპოსმა მაშინათვე ბრძანა კომისიით გამოძიება ამ საქმისა და დაუშალა ყოველს თავის ეპარხიის ერის კაცსა აქ სალოცავათ სიარული. შუა საუკუნეებში კათოლიკების სამღვდელონი ხშირათ უჩვენებდნენ ხალხს ცრუ სასწაულიანს რამე სიწმიდესა და ამითი ფულებს ართმევდნენ მლოცველებსა. წინათ კიდევ პაპა ინოკენტიმაც გამოსცა შემდეგი კანონი: „ჩვენ უშლით ძველის ნაწილების საჩვენებლათ გამოფენასა ყოველგან, სამარის გარდა, რომელშიაც ისინი ახვევიან. ყოველს კაცს დაეშლება ახლად გამოჩენილთა ნაწილთა თაყვანისცემა, მანამ რომის მღვდელ-მთავარი არ დაამტკიცებს ამასა. ადგილობითი ეკლესიების უფროსებმა უნდა მიიღონ ისეთი მკაცრი ღონისძიება, რომ ღვთის მლოცავნი ნაწილთა თაყვანისცემაში არა სტყუვდებოდნენ, ან ბინდის გაკეთებულს ოქმეებში, როგორც შვრებიან ხოლმე ხშირად ცუდის შემოსავლის დროს, არ მოსტყუვდნენ.“ ამ დებულებაებმა ვერა ქნესრა. ბოროტ-ხმარებობა მაინც ხშირად იყო ხოლმე და გუსი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამასა თავის ქადაგებებში. ის უჩვენებდა კათოლიკების სამღვდელოების ამპარტავნობასა. . . . . და იმათი გაუმაძღრობისათვის: ამტყუვნებდა იმათ პრელატებს, რომ შემწეობის მაგიერათ ისინი ფულებს ართმევენ ხალხსა; ბერებსაც იმაში ამტყუვნებდა, რომ ისინი მხოლოდ აცდუნებენ ერის ხალხს ბოროტში . . . . . გუსი ჰკითხავდა სახალხოს მაღალს სამღვდელოებსაც, იმისთვის რომ ისინი თავისის ცუდის ყოფაქცევით ახდენდნენ და აქეზებდნენ ცუდს საქმეებზედ სხვათაცა და უმტკიცებდა

რომ ცოდო ხელქვეითებისა ადევთ იმათ მეუფროსებსაო. გუსი ეწინააღმდეგებოდა უბრალოთ ეკლესიების გამშვენებასა. „ეკლესიები ოქროთ მოფენილნი არიანო, — ამბობდა ისა, — და საწყალი ხალხიკი ფეხშიშველა დადისო.“ ამას უნდოდა რომ, სამღვდელოს ისე ეცხოვრნა, როგორც სამოციქულო დროს ეფერებოდა და უმტკიცებდა, რომ იესო ქრისტეს ცხოვრება უნდა ჰქონდეთ მაგალითათ და მისაბაძათაო.

მაგრამ გუსის მეგობრობამ არხიეპისკოპოს სბინოეთან დიდს ხანს არ გასწია, ისინი მეგობრობდნენ ერთმანერთს მხოლოდ **1407** წლამდინ. მაშინ ეოცლავიც სრულებით წაეჩხუბა პაპა გრიგოლ **12**-სა და პაპა თავის მომხრეებით ამტყუენებდა გუსსა ვიკლეფის ერესის ქადაგობაში. (*) მაშინ კოროლი და არხიეპისკოპოსი ხმაროობდნენ ყოველს ღონისძიებასა, რომ თავიანთ თავი გაემართლებინათ და იმათაც არ შესდებოდათ ერეტიკობა, ამისგამო იმათ დაუწყეს დევნა ყველასა, ვინცკი რაშიმე ამტყუენებდა მაშინდელს სასულიერო წოდებასა. ნემენცის ღვთის მეტყველნი უნივირსიტეტში მაშინვე შეუდგნენ თავდარიგსა, რომ გაედევნათ ვიკლეფის სწავლა. არხიეპისკოპოზმა აღუკრძალა გუსს ქადაგება, თუმცა ეს ბრძანება მაინც არ იყო აღსრულებული იმისაგან.

როგორც ჩვენა ვსთქვით, — პრაგის უნივერსიტეტი ოთხს „ხალხ ად“ იყოფებოდა, და ამ რიცხვში ბავარელები.და საქსონელები—ნემენცები იყვნენ, პოლშელებიცკი ნემენცები იყვნენ:

(*) ვიკლეფი თსოულობდა სსვა რიგად ეკეკლესიის ცვლილებასა. ის ამბობდა რომ საეკეკლესიო ქონება საზოგადო სასარგებლოთ გადიდებულიყვსენ. რომ ამითი შეემსუბუქებინათ საღსის სარჯი, რომელიც ადვათ საწყალს ხალხსა და ამახთან თსოულობდა რომ სასულიერო წოდებს საერო ადგილზედ მოქმედება არა ჰქონდათრა.

ისინი იყვნენ პომერანელი, პრუსიელი და შლეზვიგელი ნემენცები; თვით ნამდვილი პოლიაკნიკი გადავიდნენ ახლად გახსნილს კრაკოვის უნივერსიტეტში. ჩეხელები მეოთხე „ხალხს„ შეარდგენდნენ, რადგანაც კენჭის ყრაში ყოველს ხალხსა ჰქონდა თითო ხმა,--რასაკვირველია ნემენცები ყოველთვის ერეოდნენ ჩეხელებსა, ისე რომ ჩეხელები სრულებით იყვნენ გამორიცხულნი უნივერსიტეტის ზედმოქმედებაებიდამ. ამის გარდა ნემენცები ძველის ეკლესიის კათოლიკურს მხარეზედ იყვნენ და ჩეხელები კი იმის სხვა რიგად გარდაცვლას ცდილობდნენ, მაშასადამე ეკლესიის ცვლილებასთან კიდევ ხალხების თვისების გამოკითხვაც აღზდგა. ჩეხის დიდმა კაცებმა მიიღეს სტუდენტების საქმეში მონაწილეობა და კიდევ იმათა შველოდნენ ფრანციის უნივერსიტეტის ელჩები, რომელნიც მაშინ პრაგაში იყვნენ. იმათ ურჩიეს ვოცლავსა გარდაცვლა პრაგის უნივერსიტეტისა ამ საქმეში პარიჟისა და იტალიის უნივერსიტეტების მზგავსად. მართლაც იანვარში 1409-წ. ვოცლავმა უბრძანა, რომ შემდეგ პრაგაშიაც, როგორც სხვა უნივერსიტეტებში, ყოველს კენჭის ჰყრაში ჩეხელებსა ჰქონიყოთ სამი ხმა და სხვა ხალხებს კი თითო. ეს დებულება ძალიან სასიხარულო იყო ჩეხის ხალხისათვის და უსიამოვნო ნემენცის სტუდენტებისათვის, რომლებშიაც 5,000 კაცმა საუკუნოთ დაანებეს ბოლემიას თავი და დაიფანტნენ ღერმანიაში, სადაც მერმე ახალი უნივერსიტეტები ააშენეს, მაგალითად ლეიპციღში. ეს საქმე რომ მოხდა, ჩეხელები უფრო გალონიერდნენ, ამიტომა რომ იმათი მტრები უფრო დაკოტავდნენ. თავი რექტორი ახალი უნივერსიტისა იყო (მეორეთ ამორჩეულ) იან გუსი. გუსისა იოროონიმესი

და სხვების ჰაზრი ეხლა უფრო დაუბრკოლებლად გადიოდა ხალხში.

გერმანია ძალიან გაჯავრებული იყო გუსზედ; ყოველგან იმასა ყვიროდნენ, რომ ის ნემცების მტერი და ერეტიკოსი არისო; ჩეხის ხალხსაც უფრო და უფრო ძალიან შეუყვარდა ეს კაცი, რადგანაც ის იყო ხალხისა და სამოქალაქო რჯულის მფარველი, კოროლისა და სამღვდელოს თვით მნეველობისაგან. სასულიერო წოდებამ 1409 წ. უჩივლა გუსსა სასულიერო სამართალში, რომ ის ხალხს ჩვენ მტრათა ხდისო და ჩეხელებს ნემცებს უწინააღმდეგებსო; ცუსი ასწავლის ხალხს, რომ იმათ ეკლესიის ყურადღება არა ჰქონდეთო და არც ემინოდეთ იმათის რისხვისაო. . . . . ყოველს მღვდელს, რომელიც საიდუმლოების შესრულებაზედ ფულს ილებს, ჰერეტიკოს ეძახისო, თითონაც საზოგადოდ აქებს ჰერეტიკოსს ვიკლეფსაო. „არხიეპისკოპოსმა სბინოკმა გამოსცა ბრძანება გუსზედ სამართლის წარმოებისა; გუსმაც, თავის მხრით მღვდელ მთავარს უჩივლა; მაგრამ პაპმა არხიეპისკოპოზს მიანდო ყოველის ღონისძიებით და ყოველს შემთხვევაში დევნა ვიკლეფისა და იმისის სწავლის მიმადევრებისა. გუსმა ყური არ უგდო ამ ბულლას (ბრძანებას) და არ დაანება თავი თავის სწავლასა: იმასა ჰქონდა კოროლის სახლის იმედი და ამას გარდა იცოდა, რომ ჩეხების დიდი კაცნი სულ იმის მხარეს იდგნენ. მაშინ სბინოკმა მოიწვია ვიკლეფის სწავლის გამოძიებისათვის ექვსი სწავლული კაცი, რომელთაც ცოტა ხანს უკან გამოაცხადეს, რომ ვიკლეფის სწავლა წმიდა ჰერესი არისო; და ამიტომ, ვისაც ჰქონდა ვიკლეფის წიგნები, — ყველას ართმევდნენ ამ წიგნებსა და

ორასი წიგნი შეაგროვეს. არხიეპისკოპოზმა ბრძანა იმათი საზოგადოდ დაწვა. 16 ივნისს 1410 წ. ზარების რეკით, დიდის ყოფით და ამბით დასწვეს ეს წიგნები დიდი სამღვდელოს შეკრებილების თვალ-წინ, არხიეპისკოპოსის სახლის გალავანში.

ამ საქმემ დიდი არეულობა მოახდინა ქალაქში. გუსმა გამოსცა ამ საგანზედ ერთი თხზულება, რომელშიაც ამტკიცუნებდა, რომ ერეტიკოსების თხზულებეებს დაწვაკი არა-კითხვა უნდაო; პირველი საუკუნოების ქრისტიანენი ყოველთვის ერეტიკულს წიგნებს კითხულობდნენო და წმინდა ამბროსი და ბედა ურჩევდნენ კიდეც ხალხსა ჰერეტიკულს წიგნების წაკითხვასა და გაცნობასა, რომ იმათ ყოველიფერი სცოდნიყოთ და შესძლებოდათ კარგისა და ავის გარჩევა. „რა ნება ჰქონდათ რომ გაუჩხრეკელათ და გამოუკვლეველათ მოსპეს ამოდენა ფილოსოფიური წიგნები და ამითი აძლევენ ნებას უნივერსიტეტსა და ჩეხის ხალხსა? მაშ იმათ რატომ არ დასწვეს არისტოტელის თხზულება, რომელიც არის თავიდამ ბოლომდინ წინააღმდეგი დაბადების სიტყვებისა, შესახებ საბყაროს დაარსებისა, სადაც პირველსავე სტრიქონზედ სწერია: „პირველად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა?“ მაშ რატომ არ აღხოცეს არისტოტელის ფიზიკაცა,სადაც პირდაპირ დასცინის პლატონის ჰაზრსა სოფლის დაარსებაზედ?“ ამასთან კიდევ გუსი წინააღუდგა არხიეპისკოპოზის ბრძანებას,რომელიც ეკლესიებში ქადაგებას უშლიდა.--„ამითი ხალხს სულიერს საჭმელს ართმევთო,ამბობდა გუსი,და ამითი თვით სახარებისა და წმინდა მამების წესდებულების წინააღმდეგ საქმეს ჩადიხართო.“

კოროლი ვოცლავი ერთის მხრით მოქალაქების წინააღმდეგი იყო, მეორე მხრითკი იმათ ესარჩლებოდა კიდეცა: იმანა ბრძანა, რომ ვიკლეფის დაწყევლას არა ჰქონიყო არაფერი ძალა და რომ რომის არხიეპისკოპოზს თითონ დაებრუნებინა დამწვარი წიგნების ფასი იმათ პატრონებისათვის. მაგრამ არხიეპისკოზმა არ აასრულა კოროლის ნება და მაშინ ვოცლავმა ბრძანა სამწყსოს ჩამორთმევა არხიეჰისკოპოზისაგან და ვინც დაწვაში მონაწილეობას მიიღებდა იმათთაგან. ამ საქმის შემდეგ გუსის საქმე პაპი იოანე 23-თგან გადაიტანეს, პაპმაც ეს საქმე მიანდო გამოძიებისათვის თავისს კარდინალს კოლონას (რომელმაც რამდენსამე წელიწადს შემდეგ პაპის ადგილი დაიჭირა და მაშინ სახელად ერქო მარტინ 5). კოლონნამ განდევნა ექსორიად გუსი ეკლესიისაგან, პაპმა მოიწვია რომს გუსი ერესიდამ თავის გასამართლებლად, მაგრამ კოროლევა სოფიო ამაზედ არ დაეთანხმა, რომ იმისი მოძღვარი რომს წასულიყო ვოცლავიც ემდურებოდა პაპსა, რომ ის უკანონოთ აბრალებს ბოღემიას, ვითომ იქ ძალიან ბევრნი იყვნენ ერეტიკოსნიო. მერე პაპმა კოლონნას ჩამოართვა ეს საქმე და სხვა ორს კორდინალს ჩააბარა; ორმა წელიწადმა გაიარა და მაინც ვერაფერით ვერ გადასჭრეს ეს საქმე იმათა, და ამის გამოისობით სბინოკი ამტკიცებდა, რომ კოლონნას გამოცხადებულს შეჩვენებას ძალა აქვსო და ამის გამოისობით ის ამ წყევლის თანახმად ექცეოდა პრაგის ხალხსა. ამ რიგათვე კოროლზედ იყო ის გაჯავრებული, რადგანაც კოროლი არ არღვევდა კონფისკაციასა, რომელიც სამღვდელოს კისერზედ იდო. ამ საქმეებმა ისე არიეს ხალხი, რომ 1411 წ. ბოღემიაში სამღვდელო-

სა და ერის კაცთ შუა ომმა იფეთქა. არხიეპისკოპოსმა გა-
ნაყენა ეკლესიისაგან მთელი პრაგის ქალაქი. ახლა ვოცლავმაც
უწყალოთ დაუწყო სამღვდელოთ დევნა: ბევრნი სამღვდელო-
თაგანნი იყვნენ გაგდებულნი ქალაქიდგან და ვოცლავმა იმათ
მრავალი საქონელი ჩამოართვა. იმან შეჰყარა ჩეხის აზნა-
ურობა საერო შეკრებულებად, სადაც ის თითონ თავ მჯ-
დომი იყო. ვოცლავმა ბრძანა ისეთი წესის გამოცემა, რომელშიაც
სამღვდლოს არშესძლებიყო საერო საქმეებში გარევა; ვოცლავის
დებულებეებმა თავისი გულის წადილი აასრულეს. არხიეპისკოპოსი
დაჩუმდა, ეკლესიაკი ისევ ისე დაადგა, როგორც ის დაწყეველის
წინათ იყო; პაპმა უკან აიღო თავისგან ნაგზავნი გადაჭრილი გუსის; საქმე მე-
დიატორებმა სამართლით გადაჭრეს გუსის საქმე შვიდობიანათდა უბ
ძანეს არხიეპისკოპოსსა რომ, იმას თავი დაემდაბლებინა კორროლთან.

შემდეგ წელიწადში ომმა ისევ იფეთქა. დიდი-ხნის ყოვე-
ლთაგან შეურაცხ-ეოფილმა და შეძულებულმა იოანე 23
ბრძანა ჯვარით ლაშქრობის ქადაგობა პრაგაში, რომ ამ მი-
ზეზით ფული შეეგროვებინა ღვთის მოყვარე ხალხისაგან.
ვოცლავმა და ხალხმაც ამისი ნება მისცეს არხიეპისკოპოზ-
სსა, რომელიც იყო გადაცელილი სბინოკის მოადგილე. სა-
ზოგადო მეიდანზე დაფისა და ნალარის კერით იყო გამოც-
ხადებული, რომ ვინც ფულს შესწირამს ამ საქმეს იმას ცო-
დვები შეენდობაო. გუსი პირდაპირ წარუდგა ამ ცოდვების
შენდობას და ამბობდა, რომ ყოველიფერი ტყუილი არისო.
კარზედ გამოკიდებულნი აფიშები განუცხადებდნენ მოქალა-
ქეთა, რომ ამ საგანზედ საზოგადო ლაპარაკი იქნებაო.
7 ივნისის 1412 წ. იყო ეს ლაპარაკი ერთს დიდს ზალაში
და დიდს საზოგაღოებაში. იერონიმემა სთქვა მაშინ ერთი

მცხარე განსაღვიძებელი სიტყვა. სტუდენტებმან წარმოსთქვეს თავისი თანახმობა ეკლესიის ახალ წესდებულებაზედ და არ გახდნენ კმაყოფილნი ძველს დაწყობილებაზედ. იერონიმესაგან და სხვათა მაგისტრებისაგან განძღვიძებულებმა სტუდენტებმა გააკეთეს ხალხის გროვაში ლიტონია და დასწვეს სახრჩობის ქვეშ მთელი გროვა პაპის ბულებისი. ეხლა ვოცლავი ისევ ისე მცხარედ ემტერებოდა ახლად-შემოღებულებას, როგორც წინათ პაპას ექცეოდა და ბრძანა, რომ სიკვდილითა დასაჯონ ისა, ვინც საეკლესიო დებულებას გადუდგება; მაგრამ არც იერონიმე, არც ველშტეინი და არც გუსი არ იყვნენ მოყვანილნი სასამართლოში, თუმცა ლიტონიის გაკეთებაში თავი კაცნი ისინი იყვნენ. მაინც სამი სტუდენტი იყო სიკვდილით დასჯილი, გუსი ცდილობდა რომ ჩაეგონებინა მაგისტრატისათვის რომ არ დაესაჯა ეს ახალგაზდა ყმაწვილები; მაგრამ მაინც ვერას გახდა, და მაშინ გუსმა დამარხა ისინი დიდის ხალხის შეკრებილებით, ყოველის საეკლესიო წესებით, და განსვენებულთა პატივის ცემისათვის სთქვა სიტყვა ბეთლემის სამლოცველოში. ამ სტუდენტების სიკვდილის უკან გუსის მიმადევარნი სრულებით გადუდგნენ კათოლიკებსა და დაირქვეს სახელად — გუსიტები: იმათ აღარა სწამდათ კათოლიკების ეკლესიის დიდება, ანდერძები ეკლესიის მამებისა, დებულებები სასოფლიო კრებებისა (**Вселенскій соборъ**) და როგორც დაბადებამა სწერია, ისე შეადგინეს თავისი ახალი სარწმუნოება.

პაპმა ავნისშივე განაყენა გუსი ეკლესსისაგან და ვოცლავმა საქვეყნოდ გამოაცხადა ეს განყენება. ამისგამოისობით ოკტომბერში პრაგაში დიდი არეულობა შეიქმა; ნემეცების

სასამართლოს უნდოდა გუსის გაძევება რომ ამითი მოესპოთ იმისი სეკტა, ჩეხლებსკი გუსის მხარე ეჭირათ და იყვნენ იმისთვის თავგამოდებულები ასე, რომ საქმე გამოცხადებულ-ომამდინ მიიყვანეს. ძველი არხიეპისკოპოსის ადგილი მისცეს კონრადსა, ფანატიკურს ნემენცს, რომელმაც გამოაგდო გუსი პრაგიდგან--ამისგამო უფრო საშინელი არეულება შეიქნა ქალაქში. ამაოთ ცდილობდნენ ამ შფოთის მოლაპარაკებით გათავებას. ეოცლავმა, რომელიც როგოც ქეიფი მოუყლიდა ისე მოქმედობდა, ახლა მოუჭირა ისევ კათოლიკეებსა. იმან გააგდო ოთხი უკეთესი კათოლიკების პროფესორი, მაგრამ ამითაც ვერა უშველარა საქმესა; როგორც გუსი ახალს, ისე ისინი ძველს ჰაზრებს არ ანებებდნენ თავსა. ამას გარდა ეოცლავი თითონაც ძალიან ცდილობდა გუსიტების გამრავლებასა; მაგალითად იმან ისეთი განკარგულება მოახდინა, რომ პრაგის მაგისტრატი, (უმაღლესი აღმასრულებელი სასამართლო ქალაქში)რომელიც იყო შემდგარი უმეტესი ნაწილი ნემცებისაგან შემდეგისათვის შემდგარიყო მომეტებული ნაწილი ჩეხებისაგან. ქალაქი ისევ დამშვიდდა, და გუსის სწავლა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ჩეხლების სახალხო სარწმუნოებათა ხდებოდა.

როდესაც ვიკლეფსა ჰქონდა ზედმოქმედება მარტო სწავლულებზედ და ღვთის მეტყველებზედ, იმ დროს გუსსა ჰქონდა დიდი გავლენა თვით ხალხზედა. ისა სწერდა წიგნებს სახალხო ენაზედ და ამითი ბევრი კარგი საქმე შეჰქმნა იმათათვის. იყო შეყვარებული არათუ კოროლისაგან და თვით მაშინდელის უსაწყლესის ხალხისაგან. იმას სხვა ხალხებიც უჩვენებდნენ თანაგრძნობასა, მაგალითათ შვეიცარია, ფრან-

ცია, და დაბალი ხალხიცა, ღვდლებიცა, სწავლულებიცა და თვით ნემცებიცა. გუსი ისეთ ნაირათ გარკვევითა და ნათელის ენით ჰქადაგობდა, რომ ყველასათვის გასაგონი იყო იმისი ენა და ქადაგობა; ის წარმოსთქვამდა თავისს აზრს მტკიცეთ, ნიჭიერათ და უჩვენებდა ხალხს თავისს სამლრთო წერილისა და სხვა საგნების ღრმათ ცოდნასა და თავის აზრების ღრმათ შესწავლასა, ამასთან იმისი სიმართლე უბიწო წმიდა ცხოვრება, მხურვალე სურვილი სარწმუნოების გასწორებისა. ყოველიფერი ეს აძლევდა იმის ქადაგობას დიდს ძალასა და მიმზიდველობასა.

პირად ქადაგობის გარდა, გუსი განავრცელებდა თავის სწავლასა მრავალის წერილებითა. თავის ლათინურს თხზულებებში ისა ზედ მოქმედობდა მთელს ევროპიაზედ და ჩეხეთზედ თავის საკუთარის სამშობლო ენითა. უფრო შესანიშნავი იმის წიგნებში არის წიგნი „ეკლესიაზედ“, რომელშიაც სწერს, რომ „მოციქულებს არ ეძახდნენ უწმინდესსა ანუ თავებსა, ისინი ხოლო ღვთისა და ეკლესიის მონანი იყვნენო ხალხის თვალში და მხოლოდ ბოლოს შეიცვალა ეს აზრი კოსტანტინე დიდის და იმის მემკვიდრების შემდეგ პაპა, რომის ეპისკოპოსი ითვლებოდა ეკლესიის თავად და იესო ქრისტეს მოადგილედ დედამიწაზედ. მაგრამ, ვერც პაპი, არ შეიძლება რომ იყვეს ქრისტეს მოადგილეთ და ვერც იმის კარდინალებს შეუძლიანთ მოციქულების მოადგილეობა, რადგანაც პაპს მხოლოდ შეუძლიან, რომ ის ირიცხებოდეს პეტრე მოციქულის მემკვიდრედ. როდესაც პეტრესეთან თანასწორი იქნება სარწმუნოებაში, სიმშვიდეში და სხვა იმ საქმეებში, რომლებსაც გვასწავლის წმიდა სახარება, — და თუ

ამ გვარი სარწმუნოება და ეს პეტრე მოციქულის ღირსება ექნება, ყველა, — თუნდა პაპი და იმის კარდინალები არ იყვნენ,-ყველა იქნება პეტრესი და სხვა მოციქულების მოადგილენი. თუ კი პაპა და კარდინალები არ აასრულებენ თავის მოვალეობასა, ივიწყებენ ქრისტეს სწავლასა და მხოლოდ. . . . ნებივრობასა და დიდკაცურს ცხოვრებას გაჰყვებიან, და თავისის ცუდის ქცევით სხვებზედ უფრო უარესები იქნებიან, მაშინ ისინი სულაც არ არიან იესო ქრისტესი, პეტრესი ან სხვა მოციქულების მოადგილენი. . . . . პაპის ღირსება სრულებითაც არ არის საჭირო ეკლესიის წარმატებისა და ცხონებისათვის; პირველს ქრისტიანობაში ეკლესიაში იყო მხოლოდ ორი სამღვდელო სამსახური: მღვდლისა და მთავრისა. სხვა ყოველიფერი შემდგომ შემოვიდა და იყო დადებული თითონ ხალხისაგან.

»ჯერ უნდა დაამტკიცონ, ამბობს გუსი, რომ პაპას შეუძლიან ეკლესიის თავს ყოფნა,და ვითომც ქრისტე მხოლოდ უმხილველი თავი იყვეს. . . . . ქრისტე ჩვენთან უფრო ახლოს არის, მინამ პაპი. სადაც ჩვენა ვართ,-ქრისტეც იქ არის, მაგრამ პაპაკი ჩვენგან რამდვენსამე ასს მილზედ არის განშორებული..... ერთხელ არ მოუვალთ ჩვენ ფიქრში.ნეტავი ერთი მეცნიერს დოხტურებს მისცენ ამ სწავლის ახსნა: მართლა იყო ეკლესიის თავს პაპი აგნესა ქალი, როგორც მაშინდელი სამღვდელონი ჰფიქრობდნენ, თუ მთელი ორი წელიწადი ეკლესია უთავოთ იყო? როგორა სცხოვრობს ხალხი ერთი პაპის სიკვდილიდამ მეორე პაპის აღმოჩენამდინ? მაგრამ მაინც პაპა ლონიერია. იმას სამი რამ ძალა ჰქონდა: 1)

ისა, რომ პაპი შესწამებდა მაშინვე ჰერესსა. . . . . .
. . . . . და მერე დააწვევინებდა იმ საწყალსა. . . . . .
2) განაყენებს უბრალოთ ეკლესიისაგან კაცსა,და ამასთან სადაც ნებავს მთელს მხარეზედ დააყენებს ღვთის სამსახურს-წირვა ლოცვასა; 3) საზოგადოდ გამოაცხადებენ ეკლესიის მტრად იმას, ვინც გაჰბედავს სამღვდელოს სიცუდისა და ბოროტების წარმოთქმასა. . . . . .
„გუსი ამბობდა: სამსახური არ შეჰქმნის კაცსა მღვდლად. ყოველი მღვდელი წმინდა არ არის, მაგრამ ყოველი წმინდა კაცი მღვდელზედ უკეთესია. . . . . .
. . . . . .
მაშა სადამე ხალხი არ უნდა იყვანდეს ცუდს ეპისკოპოზებსა, ამიტომ რომ ფარასაც არაოდეს არ დაუყენებენ ცუდს მწყემსსა. წინამძღვარმან უნდა დაჰფაროს ხალხი ყოველის შეწუხებისაგან და უსამართლობისაგან და განაგულსმოდგინოს ამაში სხვა მღვდლებიცა.პირად აღსარება საჭირო არ არის გულისა და სულის მოსაგებლად, მაგალითად ავიღოთ პატარა ბავშვი დაბადებითვე ყრუ და მუნჯი, უდაბურს ალაგებში მცხოვრები: არა მგონია ის წაწყმენდილი იყოს და სხ. ცოდვასა სწმენდამს მხოლოდ სინანული და გულსა თავისივე აღსარება.
. . . . . .
ამ ზემოხსენებულ წიგნებზედ ლონიერი წიგნი კიდევ „ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ს ა გ ა ნ დ ა ჭ ე რ ი ლ ი მ ი წ ე ბ ი ს წ ა რ თ მ ა ზ ე დ“ არის.

გუსის ლათინურს წიგნებსა ჰქონდათ დიდი ძალა სწავლულ ხალხზედ და იმისი წიგნები, დაწერილნი ჩეხურს ენა-

ზედ, პოულობდნენ ხალხიდამ მრავალს მიმადევარსა ასე, რომ 1413 წ. ეპისკოპოსი ლიტომიშლსკი ერთს წერილში პრაგის სინოდთან ამბობდა, რომ გუსსა და იმის მეგობრებს უთუოთ უნდა აღეკრძალოთ ქადაგება ჩეხურს ენაზედ და სულ ჩეხური წიგნები, იმათგან დაწერილნი უნდა მოისპონო.

მაშინ, როდესაც გუსი იყო განდევნილი და ავრცელებდა თავის სწავლას ყოველგან, საღაცა შეეძლო, მაშინ კონსტანცში ჰგროვდებოდა საზოგადო სამღვდელო კრება, რომელშიაც ყველა კათოლიკის ხალხების სამღვდელო უნდა შეთანხმებულიყვნენ არა თუ ეკლესიის ერთობის აღდგენაზედ, და ვიკლეფთან და გუსთან ბაასის გათავებაზედაც. ეკლესიის ცვლილებასა ნამეტნავად დაჟინებითა თხოულობდნენ ფრანციის სამღვდელონი, თუმცა ესენი იყვნენ სრულებით კათოლიკები. ამის გულისათვის პარიჟის უნივერსიტეტის რექტორმა შეადგინა აღწერა ეკლესიის სამწუხარო მდგომარეობისა; კემბრიჯის არხიეპისკოპოსიც მოვიდა თუ არა კონსტანცში დანიჟებით თხოულობდა ეკლესიის აღდგენასა.

ამ დროს დასავლეთის ეკლესიაში სამი პაპი იყო: ბენედიქტი 13, გრიგოლ 12 და იოანე 22; ესენი სამნივე იყვნენ ამოარჩეულნი სხვა და სხვა ადგილებში, ერთს მეორე არა სწამდა და სულ ერთმანერთსა სწყევლიდნენ. კონსტანცის კრებას ან ერთი ამათგანი უნდა ამოერჩია და ან სამივესთვის ჩამოერთო ადგილი და სხვა პაპი ამოერჩია. პაპი იოანე კონსტანცში აღრე მოვიდა, ასე, რომ ჯერ არაკი დაწყობილ იყო კრება; ჯერ იმას ისე ეგონა, რომ უთუოდ ამოარჩევენ პაპად, ამიტომ რომ მეტი სამღვდელოს ნაწილი

და იტალიის ეპისკოპოსები იმის მხარეს იყვნენ კრებაში, მაგრამ როდესაც დასდეს, რომ ხმის მიცემა მარტო კოსტანცში მყოფს ეპისკოპოზებზედ არ უნდა ყოფილიყო და ხალხობით უნდა მიეცათ ხმა, ამასთან გრიგოლ 12 გამოგზავნა თავის მხრივ თავისი კარდინალი, მაშინ იოანემ ყოველი იმედი დაჰკარგა თავის დაწყობილებაში. ამ კრებაში საშობაოთ იმპერატორი სიგიზმუზდიც მოვიდა. ამასთან კანსტაშცში შეგროვდა დიდძალი ხალხი როგორც სასულიერო წოდებისა, ეგრეთვე სხვანი. რაინდები და სხვა და სხვა სეიტის კაცნი დადგნენ ქალაქ-გარეთა. სიგიზმუნდისა და პაპების გარდა იქ 30 კარდინალი იყო, 33 არხიეპისკოპოსი, 150 ეპისკოპოსი,რამდენიმე ასი სხვა და სხვა ნასწავლი ხალხი, 4 კურფირსტი, 24 ღერცოგი და თავადი, 78 ღრაფი და 6767-ბა რაინი და აზნაური. ამასთან კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ მამინ უკანასკნელი აზნაურიც უმრავალ სვიტოთ არსად არ დადიოდა თავის მამულებშიაც. ამას გარდა კონსტანცში იყვნენ კიდევ დეპუტატები სხვა და სხვა ქალაქებისა, კორპორაციებისა, მონასტრებისა; ასე რომ რიცხვი მოსულთა კონსტანცს იყო 50,000 კაცზედ მეტი.

იმპერატორს სიგიზმუნდს ნამეტნავად ის უნდოდა, რომ კრებას მალე გაეთავებინა გუსისა და იერონიმეს საქმე: იმასა რჩებოდა სამკვიდროდ ბოღემია ეოცლავის სიკვდილის შემდეგ, და რადგანაც ჩეხნი გუსის მიმადევარნი ერეოდნენ ნემცებს ეს სიგიზმუნდს არ იამებოდა. კიდეც ამიტომ აიღო კრებამ პირველად გუსის საქმე. სიგიზმუნდმა გუსსა სთხოვა კრებაში მოსვლა, რომ ეკლესიაში განხეთქილება დაეზავებინა და ბოღემიაც გამართლებულიყო წინაშე კრებისა. დასა-

ცველად იმის თავისა, გუსს აღუთქვა სიგიზმუნდმა თავის საფარველი და თანა მხლებელი ყარაულები. გუსმა გაჰბედა მოსვლა, მაგრამ ჯერ პრაგის საზოგადოებას ეჩვენა; ამ ქალაქის არხიეპისკოპოსმა ვერ გაბედა გუსის გამტყუვნება ჰერესში და უთხრა რომ ჰერესში მეკი არ გავმტყუვნებდი პაპი გამთყუვნებდაო. ეს გუსმა იმპერატორს შეატყობინა და შეუთვალა, რომ კონსტანცს წავალო, თუ ჩემი იქ მისვლა და პაპასთან ლაპარაკი უშიშო იქნებაო. გუსმა მიიღოს თავის თავზედ თავისი ხარჯი თავის მგზავრობისა და საქმისა და რადგანაც ის უყვარდათ კოროლევასა, და ბეთლემის მისასვენის მლოცველებსა და მთელს ჩეხის დიდებულობასა, ისინი ძალიან უხვათ აძლევდნენ შემწეობასა, ბოლემიის საბლვდელონიკი ფულს აგროვებდნენ კარდინალი ლიტომიშლსკისათვის,რომ იმას კარგათ და მარჯვეთ შეებეზღებინა გუსი ჰერესში. გუსი რომ წავიდა კონსტანცს, ის გააცილეს სამმა ძალიან მდიდარმა აზნაურებმა, ნიურენბურგს რომ მივიდა, ერთმა ამ აზნაურთაგანმა სიგიზმუნდთან გასწია საფარველის წიგნის გამოსართმევათ და თითონ გუსიკი სწორე გზაზედ წავიდა კონსტანცს 3 ნოემბერს.

მაგრმა 28 ნოემბერს, თუმცა საფარველის წიგნიც ჰქონდა, მაგრამ მაინც დაატუსაღეს. ერთი იმ აზნაურთაგანი, რომელმაც გუსი გამოაცილა, ძალიან მაგრა ელაპარაკებოდა კრებასა და ემუქროდა პაპს ამგვირას ღალატისათვის ჩეხის ხალხის ასევასა. პაპა ამაში ბოდიშს იხდიდა და ამ საქმეს აბრალებდა კარდინალებს. გუსი გაჰგზავნეს ქალაქს გარეთ დომინიკანის მონასტერში და იქ ერთს ბნელ ოთახში ჩასვეს, რომელაც იყო ამენებული ერთს რუს გვერდზედ. სი-

გიზმუნდი და იმისი ძმა ეოცლავი ისე აჩვენებდნენ ხალხს თავსა, რომ ეითომც ისინი ძალიან შეწუხებულნი იყვნენ ამ ჩხლების მოაზრის დაჭერისათვის. ისინი ამბობდნენ, რომ ვერაფრით შეგვიძლიანო ჩხელების თხოვნის ასრულებაო, რადგანაც გუსი პაპას ხელში არისო. პაპმა გამოიძია გუსის საქმე და იპოვა იმისი ქადაგებებში შემდეგი ჰერესები: 1) საეკლესიო

არარხია და პაპა არ მიზდევენ ქრისტეს სწავლას; 2) ქადაგობა თავისუფალი უნდა იყოს, 3) საბერო და სარაინდო საზოგადოებები საკრებელნი არიან. 4) ეკლესიებისა და მონასტრების აშენება არ არის დიდი ღვთის სამსახური. 5) გალობა და მარხვები არ შეადგენენ ლოცვასა, 6) რომ მიწების შეწირვა ეკლესიებისთვის მოვალეობაკი არ არის, ნებაყოფლობაო და სხ.

ამ დროს დომინიკიანის ბერები გუსს ძალიან ზომიერად მოექცნენ. ისინი აძლევდნენ ნებასა, რომ არათუ ეელოთ ამასთან სანახავათ და წიგნების წერის ნებასაკი აძლევდნენ ბოლემიაში. სარწმუნოებრივი მოძრაობა ბოლემიაში არა მშვიდდებოდა; ერთი გუსის მიმყოლთაგანნი ქადაგობდა, რომ ზიარება უნდა იყოს ორნაირი, ქრისტეს სისხლითა და ხორცითა და ამიტომ გუსიტები გაიყვნენ ორ ნაწილად, მინამ გუსმაც არ წარმოსთქვა სატუსაღოდან ამ აზრის თანხმობა. ამაში გუსის საქმე დიდხანს გადიოდა, რადგან პაპი იოანე 22 კრების შუა იყო დიდი განხეთქილება. წინაალმდეგობამ იქამდინ მიაღწია, რომ პაპი იოანე, შეშინებული პრელატებისგან გაიპარა კონსტანციდამ და დაადგა კრება და თავის საქმე ღვთის ამაროპაზედ; იმისი მხლებლებიც გაიპარნენ და ჩაბარეს სიგიზმუნდსა გუსის სატუსაღოს გასაღები. სიგიზ-

მუნდს რომ ზდომნიყო, "მეეძლო, რომ გაეთავისუფლებინა გუსი, მაგრამ იმან ჩააბარა ეს გასალები კონსტანცის ეპისკოპოსს, რომელმაც გადაიყვანა თავის ციხე დარბაზში და ბორკილები შეუყარა.

ამ დროს იერონიმეც, გუსის გულითადი მეგობარი, კოსტანცს წავიდა, თუმცა გუსი კიდეც სწყეველიდა იმას წერილებში, რომ იმას ბოლემიისათვის თავი არ დაენებებინა. იერონიმე მივიდა კონსტანცს 4-ს აპრილს ისე ჩუმათა, რომ ვერავინ ვერ გაიგო, მაგრამ მასუკან თვითონვე გამოაცხადა თავის თავი რომ ის მივა კარდინალებთან თუ კრება მისცემს საფარველის წიგნსა. მართლაც ცამეტს დღეს უკან, კრებამ თავის ხელით მისცა საფარველის წიგნი, რომელშიაც ემმაკურათ მოექცნენ: იქ ეწერა, რომ კრება უსამართლოთ ნებას არავის მისცემს ამის ავათ მოპყრობისას და სამართლის გადაწყვეტით დასჯისაკი არაფერი ეწერა. რა.მეორე დღესვე კრებამ საზოგადოდ მოიწვია იერონიმე სამართალში, მაგრამ იმან იფიქრა, რომ უკან ბოლემიას დაბრუნება ეჯობინებაო. და მართლაც ამ ფიქრებმან გადაუწყვეტა იმას აზრი. პფალცლრაფში, იმის სამშობლოს სამძღვრის ახლო, იცნო ერთმა მღვდელმა (25 აპრილს), რომელმაც სასამართლოში გამოაცხადა ესა. იმათ მაშინათვე პფალცლრაფთანა, დაადეს მძიმე ბორკილები და 23 მაისს გაგზავნეს კრებაში. თუმცა დიდი ალრეულობა მოხდა ბოლემიასა და მორავიაში; თუმცა დიდკაცებთ მეკრებილთ პრაგასა და ბრიუნში გამოაცხადეს ამაზედ წინააღმდეგობა და აგრეთვე ჩეხების და პოლიაკების აზნაურობა თხოულობდნენ იერონიმესთვის, მაგრამ ის მაინც დაატუსაღეს და გაისტუმრეს კონსტანცში.

გუსისა და იერონიმეს საქმე ეპისკოპოზებს დიდი ხანია გულში გადაწყვეტილა ჰქონდათ, მხოლოდ ფორმისგულისთვის ასამართლებდნენ იმათა. როცა გუსს დაუძახეს გამოკითხვისათვის, იმას ისე უსვინდისოთა ლანძღამდნენ, თვით სიგიზმუნდი გამოვიდა მოთმინებიდამ და სასტიკათ აღუკრძალა კარდინალებს და სხვებს იმისი გინება. გამოძიებელმა კომისიამ, რომელიც იყო შედგენილი 60 ნასწავლის კაცგან, განაჩინა, რომ გუსმან უნდა შეინანოს თავისი შეცოდებანი და უნდა დაეფიცნა, რომ აღარადროს აღარ აღიარებდა აღკრძალულს ადგილებს თავის თხუზულებაებში და უნდა იქადაგოს იმ ალაგების წინააღმდეგი და შეადგინეს კიდეცა ფორმა, რომლითაც გუსი უნდა გადასდგომოდა თავის აზრებსა. მინამ ამას გუსს წაუკითხამდნენ, იმპერატორს სიგიზმუნდს ჰქონდა ეპისკოპოზებთან საიდუმლო რჩევა გუსის საქმეზედ. სხვათა შორის უთხრა იმპერატორმა: „ყოველსავე პუნკტში გუსი უნდა გაამტყუნოთ და ამიტომ შეგიძლიანთ, თუ ის უარს არა ჰყოფს თავის სწავლაში, ან დასწვათ და ან მოექცეთ თქვენის კანონებით,როგორც სამჯობინაროთ დაინახოთ. მაინც თუნდა კიდეც რომ გარწმუნოთ, რომ ჩემს სწავლას თავს ვანებებო, — ნუ დაუჯერებთ ჩემსავითა, თორემ თუ ის ხელიდამ წაგვივიდა და დაბრუნდა ბოლემიაში, მაშინ ის დიდ აღრეულობას მოახდენს და ძალიან შეგვაწუხებს. ამასთან უნდა ვეცადნეთ, რომ მალე გავათავოთ საქმე იმის მოწაფესთანაცა..... იმათთან კი ბევრი წვალება არ მოგვინდება, მხოლოდ მასწავლებელს მოვექცნეთ როგორც ჩვენ ვემართლებოდეთ და მერე იმის მოწაფეს კი მალე მოურიგდებით“ეს ლაპარაკი ორმა ჩეხის დიდკაცმა გაიგონა და მთელს ბოლემიას აცნობეს.

კრებამ მიიღო 12 ივნისს ერთი წერილი, რომელზედაც იჯდა ბეჭედი ორასს ორმოცდა ათის ჩეხისა და მორავიის აზნაურებისა, რომელნიც გუსის მხარეს მოქმედობდნენ. მაშინ კრებამ 15 ივნისს აღუკრძალა ბოღომელებს წმინდა საიდუმლოს მიღება და ცდილობდა ყოველის ღონისძიებითა, რომ გუსს მოეწერა თავის აზრების გადადგომაზედ ხელი, მაგრამ გუსი მტკიცეთ იდგა თავის აზრზედ. აი ისრასა სწერდა ბოღემიელებს წიგნების დაწვაზედ:„ ჩემო ძვირფასნო მეგობარნო, ნუ სწუხართ იმისთვის, რომ ჩემს წიგნებს ცეცხლი მისცეს. მოიგონეთ, რომ იზრაილებმაც დასწვეს წინასწარმეტყველი იერემიის წიგნები, მაგრამ კი რაც იმან წინასწარ უმეტყველა, ის მაინც აღსრულდა ამათს თავზედა....“ 1-ს ივნისს იმან მისწერა კრებასა, რომ რასაც ვამბობ, იმას არც ოტისოდენათ არ შევსცლიო. 5-ს ივნისს გუსთან შეუშვეს ერთი აზნაური ჩეხელი, რომელიც ეხვეწებოდა, რომ იმას უარი ეთქო თავის სწავლაზედ, და ამითი გადაეცლო თავს საშინელი განსაცდელი, მაგრამ გუსი მაგრა იდგა თავისს ჰაზრებში. რაკი ის ასრე მტკიცეთ იდგა თავის აზრზედ, მაშინ მეორე დღესვე, სასულიერო წოდებამ ის დიდის ამბით და ყოფით გადასცა საერო სამართლის ხელში დასასჯელათა. გუსს ამ ამბავზედ დაჰხურეს ქალალდის ქუდი რომელზედაც იყვნენ დახატულნი ეშმაკები, რომელნიცა სწიწკნიდნენ გუსის სულსა. ამ რიგად ჩააბარეს საერო სამართალსა. „ახლა ეკლესია შენ ხორცს ერს აძლევს და შენს სულსკი ეშმაკებსაო.„ სიგიზმუნდმა ისე უჩვენა ხალხს თავი, ვითომც ის არ ერიოს ამ საქმეში და მხოლოთ სამღვდელოს სურვილს და გადაწყვეტილებას ასრულებდეს. 6 ივლისს 1415 წელსა დასწვეს ცე-

ცხლზედ გუსი თავისის წიგნებითა. გუსი ავიდა ცეცხლზედ და მიეცა დაწვას ისეთის მოთმინებით, ისეთის სიმშვიდით და გამბედაობით, უკანასკნელს სიკვდილის წამამდინ, რომ ამგვარმა გუსის გცევამ ჩააგდო იმისი მდევნელნი სირცხვილში, და როგორც ამბობს ერთი ისტორიკოსი, ამ საქმით უფრო ავნეს ეკლესიასა მინამ თუმცა ამითი ქადაგებაებით გუსის ეკლესიას აღდგენასა სურობდნენ.

იერონიმე სულ სატუსაღოში იყო დამწყდეული. ისეთი მძიმე ბორკილები ჰქონდა იმას ხელ-ფეხზედა, რომ კინაღამ ამ ბორკილებმა მობკლეს ისა. ეს ყარაულებმა შეატყეს, და ცოტა სიბრალულით დაუწყეს მოჰყრობა თუმცა იერონიმეს გუსზედ უფრო მტრულად უყურებდნენ კრებაში. მრავალნი პარიჟისა, კელნისა და გეიდელბერგის ლუთის-მეტყველნი პირად იცნობდნენ იერონიმესა (ის როდისღაც იმათ ლექციების ყურ მგდებელი იყო), ამათ რომ დაინახეს ამ რიგად იერონიმე, დაიძახეს:„ ეს კაცი ყოვლის ჰერესის მიმყოლი არისო!“ სიცოცხლის დაფარვისათვის, იერონიმემ სინანული აღმოსთქვა, მაგრამ მრავალი მტერი ჰყვანდა და გამოძიება ხელმეორეთ გამართეს. იერონიმემ მთელს კრებაში გაიმართლა თავი ისეთის საკვირველის ენითა, მცოდნიერობითა და სიმაგრითა, რომ ბევრნი იმისი მტრებთაგნნი თითონა ხედამდნენ უსამართლობასა. მაგრამ როდესაც ნახა რომ გამომეძიებელნი ყოვლის ლონისძიებითა ცდილობდნენ იერონიმეს გამტყუენებასა, იმან აღმოსთქვა, რომ ისა სთელის გუსსა კეთილსვინიდისიან, წმიდა კაცად; იმას არ ეკუთვნოდა ესეთი დასჯა, რომელიც იმან აიტანა და ამიტომ მეც მზათა ვარო ყოვლისფერი სატანჯველი ავიტანოვო. მაშინ იმას მისცეს რაოდენიმე დღე მოსაფიქრებლათა, მაგრამ 20

მაისს ის მაინც დასაჯეს. სიკვდილის წინათ, მოეცა ყმაწვილური მხიარულება და ღიმილით უყურებდა ერთს გლეხის დედაკაცსა, რომელმაც, ჰერესთან სიძულილით, მოიტანა თავისი უკანასკნელი რამტენიმე ღერი შეშა და იქ მიუმატა, სადაც იერონიმეს დასაწველი ცეცხლი ინთებოდა. იერონიმემ დალიეა სული ლოცვებსა და ცეცხლის ალის შუა გალობით მართლ-მორწმუნე სიმღერისა.

მაგრამ სიმართლისა და კეთილ-მოქმედების ძალა ისეთია, რომ კონსტანციის კრებაში თვით პაპის სეკრეტარმა (ბრაჩჩიოლამ) და ბოლოს პაპით ნაყურთხმა პიოს, რომელნიც იყვნენ გამომეძიებელებთა შორის ნახეს ამ საქმეების უსამართლობა, ბოლოს აღწერეს ეს გმირულად სიკვდილი ორთავე წამებულებისა. „გუსის სიკვდილის შემდეგ—ამბობს ლიუტერი, ბევრს ნემენცების ადგილებში ყოველთვის იყო ხოლმე ლაპარაკი იმათზედ და ეს ლაპარაკი უფრო და უფრო ცხოველდებოდა.“ გუსის სწავლასა ჰქონდა მოქმედება ლიუტერზედა, და შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმის სწავლამ დასდო თესლი გერმანიის რეფორმაციასა. კიდევ ერთს თხზულებაში ამბობს ლიუტერი გუსზედ: „ეხლა გუსი, ღვთის მადლით, მკვდრეთით აღდგომილია და უფრო მეტად განსდევნის თავის მკვლელებსა, სამღვდელოსა, და იმით კლევრეტებსა, მინამ სიცოცხლის დროს.“

ჩეხელები გუსის დასჯის უკან მაშინათვე გადუდგნენ პაპსა და იმპერატორს, მაგრამ რადგანაც მარტო ესენი იდგნენ გუსის სწავლაზედ და უნდა დაეცვათ თავისი სარწმუნოება, ამისგამო იმათ უნდა შეეძლოთ რამტენჯერმე მთელი ევროპის ჯვარით გამოლაშქრებისთვის და რასაკვირველ-

ლია ჩეხლები იყვნენ ნემენცებისაგან დამარცხებულნი. მაგრამ მაინც გუსის აზრი, რომლისაც გაქრობასა ცდილობდნენ ნემენცები ყოველის ლონისძიებით ბოღემიაში, გაცხოველდა თვით ნემცებში, გუსის სწავლამ დაჰბადა ლეუტერი და გერმანიის პროტესტაცია.

რ. ყაზიბეგი.

სია **1867** წლის ცისკარზედ კელის მომწერთა:

96. კნ. დარია შალიკოსა.
სიმონ ბაქრაძე.
თ. გიორგი ბარათოვი.
ბაქოში.
ავაქუმ ვერმიშოვი.
ორპირში.
96. თ. მიხეილ ერისთავი.

ბუნებითის მეცნიერებიდამ

რაც საჭიროა, რომ ხიმიიდამ ყველამ იცოდეს.

(ბერნშტეინიდამ.)

---

1. დიდი მნიშვნელობა ხიმიის ცოდნისა.

არა მგონია. რომ სამეცნიეროში იყვეს რამ იმისთანა, რომელსაც ხიმიისავით ცოტათი იცნობდეს ხალხი. ყოველს ნაბიჯზედ შეჰხვდებით კაცთა და ზოგჯერ განათლებულთ კაცთაცა, რომელთაც სწორეთა ჰგონიათ, რომ მჟავისმბადი მართლა ძალიან მჟავე რამ იყვეს, რომ წყალისმბადი წყალზედ უფრო სველი იყვეს და სხ. და ეს სიტყვებიკი მ ჟ ა ვ ი ს მ ბ ა დ ი, წ ყ ა ლ ი ს მ ბ ა დ ი, ნ ა ხ შ ი რ ი ს მ ბ ა დ ი ისე ხშირათ იხმარება ლაპარაკში ვისგანაც არა მგონია, რომ სწორეთ გეგონება, რომ იმისთანა კაცი აღარ უნდა იყვეს, რომელთაც არ იცოდნენ რასაც ნიშნამენ ეს სიტყვებიო. მართლაცა ამ ჩვენს დროში, მაინც ყოველს მცირეც არის განათლებულს კაცს არ ეკადრება, რომ ცოტაც არის არა ჰქონდეს ხიმიის ცოდნა.

ხიმიის ტოდნა ყველასათვის საჭიროა, ის არის საფუძველი ყოველი ბუნებრიობისა, — ის გვიმარტებს ჩვენ უმთავრესს მოვლენებაებს, რომელთაც ჩვენ შევხვდებით ყოველთვის და ყოველს ალაგსა. ხიმიის უცოდნელათ ჩვენ ვერ გავიგებთ ვერც სუნთქვასა რა არის, რისგან წარმოსდგება და

როგორ მოხდება, ვერც ჭამა-სმასა, ვერც მცენარების აღზრდასა, ვერც ცხოველების ცხოვრებასა, ქვის ყოფნასა და წყლის შერდგენასა და ესენი თავის დღეში უხიმიოთ გაუგებარი და ბნელი დარჩება კაცისათვს. ერთის სიტყვით ბუნებაში ყოველს ნაბიჯზედ შეხვდება კაცი ხიმიურს მოელინებაებსა და უხიმიოთ ვერას დროს ვერ მიხვდება და ვერ იცნობს გარკვევით ჩვენს გარშემო მყოფს ბუნებასა. აი ამის გულისათვის გვინდა ჩვენ რამდენიმე სტატია წავაკითხოთ მკითხველს ხიმიის შესახებ.

ხიმია არის მეცნიერება ყოველის დასაწყისობაზედ, ესე იგი, ის განმარტებს რომლის მარტივის (*) ნივთეულიდამ არიან შემდგარნი ყოველი საგანნი ბუნებაში. ის ასწავლის ყოველი საგნის დაშლას თავ თავის შერმადგენელ ნაწილებათა და სხვა და სხვა ნაწილებიდამ ახალი სხეულის შერდგენასა.

მოკლეთა ვსთქვათ: ხიმიის მნიშვნელობას ადვილათ მიხვდება მკითხველი, ჩვენ რომ ავიღოთ და უჩვენოთ ერთი მუჭა მარილი და უთხრათ, რომ ეს საჭმელში სახმარებელი მარილი არის შემდგარი ორის სულ სხვა და სხვა რიგისა და ოჯსების ნივთეულებიდამ, რომელთაგანაც ერთი არის მსგავსი საწამლავიანის ჰაერისა (ლაზისა), და მეორე არის წმინდა მეტალლი. ხიმიის მნიშვნელობას კიდევ უფრო კარგათ მიხვდებოდა მკითხველი, რომ ჩვენ იმის თვალწინ გვეჩვენებინა ხიმიურათ დაშლა თავის

(*) ჩვენ ამ სიტყვას ვხმარობდით უფ. მამაცაშვილის სტატიაში უ ბ ა ნ ლ ო, მაგრამ როგორც მერე დაგვარწმუნეს, ამ საგნის გამოსახსნელათ სიტყვა მ ა რ ტ ი ვ ი უფრო უსდება და ამისგამო ახლა ამახა ვხმარობთ.

შერმადგენელს ნაწილებზედ მარილისა; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს შეუძლებელია (რათგან ეს ალაგობრივე უნდა), ამისგამო ჩვენ, მეტი ილაჯი არ არის, უნდა ვიხმაროთ ბევრი სიტყვები, რომ ეგება ამითი მაინც განუმარტოთ მკითხველსა და გავაგებინოთ ის საგნები, რომელსაც, მაგალითის ჩვენების დროს, მარტო ერთის დანახვით თვითონ გაიგებდა და მიხვდებოდა. მაგრამ ჯერ პირველს შემთხვევაში ჩვენ არ ველაპარაკებით მკითხველს მარილზედ, ჩვენ მოველაპარაკებით მჟავისმბადზედ.

2, მჟავისმბადი შერეული ნახშირსა და გოგირდში.

ჯერ უნდა გავიგოთ: რა არის მჟავისმბადი?

წარმოვიდგინოთ ჩვენა, რომ ერთს ვისმე, რომელმაც სრულებით არ იცის რა არის მჟავისმბადი, ჩაუვარდა ხელში ერთი ბოთლი საესე მჟავისმბადითა. ის ატრიალებს-ატრიალებს ბოთლს ხელში, გამინჯავს ყოველმხრივა და ეგონება, რომ ეს ბოთლი ცარიელიაო, ამიტომ რომ ის მჟავისმბადს ვერ დაინახავს, რადგან მჟავისმბადი ჰაერივით გამჭვირვალი და უფერულია. რომ ჩააცივდეთ ამ კაცსა და დაუწყოთ რწმუნება, რომ ბოთლი ცარიელი არ არისო, ის არ დაგიჯერებთ ამასა, მოხდის ბოთლსა და დაუწყებს სუნვასა, მაგრამ მაინც ვერაფერს შენიშნავს, რადგანც მჟავისმბადს არც არაფერი სუნი არა აქვსრა; ბოლოს ის ეცდება დააწოს ენა, მაგრამ მაინც კიდევ ვერაფერს ვერას გაიგებს, რადგან ამ ლაზს (მჟავისმბადს) არც არაფერი სრულებით გემო არა აქვსრა. წარმოიდგინეთ ახლა რა რიგათ უნდა გაუოცდეს იმ კაცსა, როდესაც ჩვენ უჩვენებთ გამოცდილებითა, რომ ბოთლი ცარიელი არ არის და არის სა-

ესე მჟავისმბადითა.

ავიღოთ პატარა ნახშირი, დავამაგროთ ის რკინის მართულზედა, ჩავდოთ პატარას ხანს ცეცხლში ასე, რომ კარგა გახურდეს და მერე ჩაუშვათ მჟავისმბადით საესე ბოთლშიამაშინ რას ვნახავთ ჩვენა? ჩვენ ვნახავთ, რომ ამ პაწაწა ნახშირს მოეკიდება მშვენიერ ნათლის ფერათ ალი. მერე რამწამსვე ამოვიღებთ იმ ნახშირს ბოთლიდამ, მაშინვე გაჰქრება, ალიც დაიკარგება და დარჩება მარტო ცარიელი ცხელი ნახშირი. რომ ჩაუშვათ ეს ნაკვერჩხალი ისევ ბოთლშია, ის ისევ ისე აინთება და თუ სულ ისე დააგდე, იმდენს ხან ენთება, მინამ არ დაიწვის სრულებითა.

მაშ ცხადია, რომ ბოთლი არის საესე ჰაერითკი არა, სხვა რითიმე (მჟავისმბაიდთა.)

ვსთქვათ ერთი ნაკვერჩხლის მაგივრათ ჩაუშვეთ ბოთლში რამთენიმე ნაკვერჩხალი, აინთებიან ისინიც ასე ცხოველათ თუ არა? — არა; რამდენიმე ნაკვერჩხალი დაიწვის და მერე რამდენიც გინდა ნაკვეერჩხლები ჩაუშვა, იმათ ალარ მოეკიდებათ. ბოთლი რომ ხელმეორეთ ავამსოთ მჟავიმბადითა, მაშინ სხვა იქნება: მაშინ ისევ ისე ცხოველათ მოეკიდება ნაკვერჩხალსა და გამოსცემს ისევ ისეთს სინათლესა.

ახლა ჩვენა გვკითხამენ: რა იქნა ის მჟავისმბადი და დამწვარი ნაკვერჩხალი და რალა დარჩა ბოთლშიაო?

ამის პასუხათ აი ჩვენ რას ვეტყვით: არც მჟავისმბადი, არც ნახშირი არ მოსპულან, ისინი ისევ ბოთლში არიან, მხოლოთ ისინი ის ალარ არიან, რაცა ყოფილან — იმათგან შესდგა ახლა სხვა ახალი ღაზი, რომელსაცა ჰქვიან ნახშირმჟაველი, რათგანაც ის არის შემდგარი ნახშირიდამ (ნახშირ-

მბადი) და მ ჟ ა ვ ი ს მ ბ ა დ ი დ ა მ, რომელნიც ხიმიურათ შეერთებულან.

იქნება ჩვენმა მკითხველებმა უნდობლათ გაიქნიონ თავი და გვკითხონ: ეგ ხიმიურათ შეერთება რაღა არისო? უთუოთ ეგ იმისთანა რამ საოცარი ნივთი უნდა იყვესო, რომელსაც აქვს იმისთანა სასწაული, რომ შეუძლიან შავის საძაგლის ნახშირიდამ და ნათელის ლაჯიდამ, შეარდგინოს ახალი ჰაერის მსგავსი სხეულიო?

ამას ყველას ჩვენ ბოლოს განუმარტებთ დაწერილებით მკითხველებსა; მინამ ჯერ სხვა ახალ გამოცდილებაებს უჩვენებთ იმათა.

ავიღოთ კიდევ მჟავისმბადით საესე ბოთლი. დავამაგროთ ახლა მართულზედ ნახშირის მაგივრათ გოგირდგამჯდარი ორი პატრუქი; მოუკიდოთ ამათ ცეცხლი და ჩაუშვათ ბოთლში. მაშინ ჩვენა ვნახავთ რა მშვენიერ ფერათ დაიწვის გოგირდი. როდესაც პატრუქები გაქრებიან, მაშინ ბოთლში მჟავისმბადი აღარ იქნება. გოგირდის ნაწილი გაჰქრა; ის. როგორც ნახშირი, შეუერთდა მჟავისმბადსა, და შეარდგინა ახალი ჰაერის მსგავსი ნივთეული, რომელსაც აქვს ცოტა მაგარი სუნი და ჰქვიან გ ო გ ი რ დ ო ვ ა ნ ი ს ი მ ჟ ა ვ ე. ამ შენთხვევაში ჩვენა ვხედავთ, რომ გოგირდიდამ, რომელიც არის მაგარი სხეული და მჟავისმბადიდამ, რომელიც არის ჰაერის მსგავსი ნივთეული, ხიმიურის შეერთებით შერდგა ახალი ლაჯ-მსგავსოვანი სხეული, რომელსაც არც შერჩა გოგირდის სუნი, არც უსუნოთ დარჩა მჟავისმბადივითა და მიეცა სხვა მძიმე სუნი. — გოგირდოვანის სიმჟავიდამ ადვილათ შეიძლება შეარდგინოს კაცმა გოგირდის

სიმჟავე, რომელსაც ყველანი ეძახიან კუპაროსის ზეთსა. ამის მნახველი და გამგონე ადვილათ დარწმუნდება, რომ ხიმიასა აქვს დიდი ძლიერება — იმას შეუძლან სულ სხვა და სხვა რიგის სხეულებიდამ შეარდგინოს სრულებით სხვა სხეულიბი.

მაინც კიდევ ეს მაგალითები საკმარისნი არ არიან, და კიდევ ნათლათ ვერ აცნობებენ მკითხველს საქმესა, ამისგამო ჩვენ შემდგომს თავში უჩვენებთ მესამე გამოცდილებას მჟავისმბადზედა.

3. მჟავისმბადი და ფოსფორი; მჟავისმბადი და რკინა

ეს ცდა იქნება მჟავისმბადისა ფოსფორთან შეერთებაზედ. ის სპიჩკები, რომელთაც ჩვენა ვხმარობთ და ერთის გასმით ავანთებთ ხოლმე, ინთება ასე მალე ფოსფორისაგან, რომელიც იმათ ბოლოებზედ აქვთ წასმული. ფოსფორს იმისთანა თვისება აქვს, რომ მალე ინთება, ერთის უბრალო გასმით და გახურებით მაშინვე ეკიდება. ფოსფორისგან ინთება გოგირდი, რომელიც სპიჩქების ბოლოზედ ფოსფორს ქვეშ იმყოფება; და გოგირდისგან ინთება თვითონ სპიჩკის ჩხირები. ღამე სპიჩკის ბოლოზედ რომ თითი წაუსვათ ჩვენ შევნიშნავთ, როგორც თითზედ, ეგრეთვე სპიჩკის ბოლოზედ სინათლის ზოლსა; ეს ზოლი არის კიდეც ფოსფორი, რომელიც ისე მალე ინთება; მაგრამ ესეც უნდა შევნიშნოთ ამასთანა, რომ სპიჩკის ბოლოზედ მარტო წმიდა ფოსფორი არ არის, — იმას უსვია კიდევ ფერადი ლაქი გარედამა, რომელიც უშლის ფოსფორს ძალიან ადვილათ ანთებასა. ეს იმისთვის არის ასე მოგონილი რომ არაფერი უბედურება არა მოხდესრა უბრალოთ და უდრო-

ეოთ სპიჩკების ანთებისაგანა (*). ერთი მუხუდოსოდენა წმიდა ფოსფორს ავიღებთ ახლა საცდელაოთა.

ფთხილათ რომ დავამგროთ ეს პაწაწინა ფოსფორი მართულზედა და ჩაუშვათ მჟავისმბადით სავსე ბოთლშია, მაშინ ოდნავ გახურებული ყაისნაღის ნემსის წვერი რომ მიეკაროთ ფოსფორსა, ის იმ წამსვე აინთება მშვენიერის ბრწყინვალეს სინათლითა, რომელიც ისეთივე ცხოველი ნათელი იქნება, როგორც თვით მზის შუქი. ამ ცდაში ჩვენ შევნიშნავთ, რომ ბოთლი თან და თან გაივსება სქელის თეთრის კომლითა, რომელიც, თუ ბოთლი უძრავათ დავტოვეთ, თან და თან ძირს დაეშვება; და თუ ბოთლში წინათვე იყო წყალი ჩაყენებული, მაშინ ეს კომლი შეერევა წყალსა და მისცემს მჟავე გემოსა.

ამ შემთხვევაშიაც, როგორც ზემოთ მოყვანილს გამოცდილებაში, ასე ეჩვენება კაცსა, რომ ბოთლში არც მჟავისმბადი, არც ფოსფორი არ დარჩაო; მაგრამ მართლაკი არც ერთი ამათგანი არ მოსპულა.—ისინი ხოლოთ შეერთდნენ ხიმიურათა და შეარდგინეს ახალი ნივთეული, რომელსაცა, რადგანც მჟავისმბადიდამ არის შემდგარი, ჰქვიან ფ ო ს ფ ო რ ი ს ს ი მ ჟ ა ვ ე.

ეხლა მგონია მკითხველი კარგათ მიხვდა რათაცა ჰქვიან ამ ღაზს, რომელზედაცა ჩვენ ცდას ვახდენდით, მჟავისმბადი.

(*) საკუთრათ ამისთვის შემოვიდა სსვანაირი ხეიჩკები, რომელნიც არ ინთებიან თუ არ ისევ თავის ბოყვის თავზედა, რომელსაც აქვს წასმული სსვარიკათ შეზავებული წამალი. ამას ვაჭრები ეძახიან უსიოვათოსა.

შენიშვნა რუსულათ. მთარგმ.

მართლათაც ეს იმისთანა ღაზია, რომ, როდესაც შეეხება და შეერთდება ნახშირთან, გოგირდთან, ფოსფორთან და სხვა მრავალ ნივთეულებაებთან, აძლევს მჟავე გემოსა; და ბოლოს კიდეც უჩვენებთ მკითხველებსა, რომ ლუდსა, რძესა და სხვას ეძლევათ მჟავე გემო, ან უკეთა ვსთქვათ მჟავდებიან, თუ დიდს ხანს დარჩნენ იმ მდგომარეობაში, რომ ჰაერი ადვილათ ხედებოდეს (სადაც მჟავისმბადი უეჭველათ იმყოფება). რომ უფრო კარგათ და დაწერილებით გავიგოთ რაც არის ჟმავისმბადი, ჩვენ ერთს გამოცდილებას კიდევ მოვიყვანთ:

ავიღოთ ერთი წმიდა პატარა რკინის მართული. დავახვიოთ ის გრიფილსა კარგათ და მერე გამოვიღოთ იქიდამ გრიფილი. ერთს მართულის წვერზედ მივაკრათ აბედი. მაშინ ჩვენ რომ აბედს ცეცხლი მოუკიდოთ და ჩაუმვათ მჟავისმბადში, ჯერ აინთება აბედი მშვენიერ ფრათა; მერე მოეკიდება ცეცხლი ტკრციალით თვითონ რკინის მართულსა და დაიწყებს ეს მართული ბრწყინვალე ნაბერწკლების სროლასა. მართული დაიწვის სრულებითა, ანუ უკეთა ვსთქუათ, იქცევა პაწაწა ბურთებათა წმიდა საფანტივითა და დაეშვება ბოთლის ძირში. ეს პაწაწა ბურთები ისეთი ცხელები არიან, რომ ბოთლში, თუნდა წყალიც იდგეს, მამინაც არა გრილდებიან და პირიქით, რაკი ძირზედ სცვივიან, ადნობენ ბოთლის ძირსა და რჩებიან შიგა. ამ გამოცდილებამ ვხეკავთ, რომ არამცთუ გოგირდი, ნახშირი და ფოსფორი უფრო ძრიელ ინთებიან და იწვიან მჟავისმბადში, ვიდრემ ის, ჰაერში, და თვით რკინაც, რომელიც ჰაერზედ იმწამსვე ცივდება, რამწამს ცეცხლიდამ ამოიღებენ, მჟავისმბადში ხურდება

უფრო და უფრო ძრიელა და ბოლოს ჩინჩხვარიევით იწვის.

ამ გამოცდილებაშიაცა მჟავისმბადი და რკინა თითქო ძოისპენნო, და იმათს მაგივრათ დარჩნენ ბურთები ბოთლის ძირასა. რისაგან არიან შემდგარნი ეს ბურთები? ისინი არიან შემდგარნი რკინიდამ, რომელიც ხიმიურათ შეუერთდა მჟავისმბადსა. ამ სიტყვების სიმართლეზედ დარწმუნება ადვილია. ამას სხვა არა უნდარა ამის მეტი, რომ დაწვამდინ აიწონოს მართული. ესთქვათ ბოთლში ათი გრანი მჟავისმბადია, გამოცდის შემდეგ ვნახამთ, რომ მჟავისმბადი აღარსადა სჩანს და რკინისგან დარჩენილი საფანტივით ბურთები ათს გრანს მეტს იწონენ იმ მართულზედა, რომლიდამაც თვითონ შერდგნენ.

ჩვენ ახლა დავანებოთ თავი გამოცდასა და დაუდოთ გონება ზემოთ მოყვანილის მოვლინებაების განმარტებასა.

4. როგორ უნდა გამოაჩინოს და მოიპოვოს (добыть) მჟავისმბადი.

მინამ სხვა მოვლინებაებთან გადავიდოდეთ, ჩვენ ჯერ უნდა ვაცნობოთ მკითხველსა, თუ საიდამ და რა რიგათ შეგვიძლიან შევიძინოთ ერთი ბოთლი მჟავისმბადი.

მჟავისმბადი არის ყველგანა; მაგრამ ბუნებაში წმიდათ მარტო თავის თავად ისე, რომ სხვა არა ნივთეული არა ერიოსარა, არ იპოვება; თუ გვინდა, რომ ის წმიდა იყვეს, მაშინ ჩვენ ის უნდა ხელოვნების ძალით შევიძინოთ.

ჰაერი, რომელიც არტყია დედამიწას იმგრგვლივა, ჰაერი რომელიც იმყოფება ჩვენს სახლებში, ქუჩებში, ტყეში, მინდორში, ბალებსა და ვენახებში, — ერთის სიტყვით ყველგან,-

არის შემდგარი მჟავისმბადიდამ; მაგრამ მარტო მჟავისმბადიდამეი არ არის ჰაერი შემდგარი, იმას ურევია კიდევ სხვა ლაზ-მსგავსოვანი ნივთეული, რომელსაცა ჰქვიან გ"ვ ა რ ჯ ი ლ ი ს მ ბ ა დ ი ანუ ა ზ ო ტ ი. ჩვენ ყოველთვის ესუნთქავთ მჟავისმბადითა, რომელშიაც ურევია აზოტიცა; ამასთან ჰაერში ოთხი წილი აზოტია და მარტო ერთი წილი მჟავისბადი (*). ეს განაწილება საკვირველათ არის ყველგან დამარხული. სახელოვანმა ალექსანდრე ფონ-ლუმბოლდტმა აგერ ორმოცდა ათი წელიწადია, რაც ჰაერზედ გამოცდანი მოახდინა და ჰპოვა, რომ უდიდესს ქალაქებში, უმაღლესს მთის წვერებზედ და უმაღლესს ჰაერის სილრმეში, სადამდინაკკი ის ავიდა ჰაერის ბურთითა, — სუყოველგან ჰაერი იმავ აზოტისა და მჟავისმბადის ნაწილებიდამ არის შემდგარი. იქ, სადაც ბევრი ხალხი სცხოვრებს, ჰაერის სიწამხდრე წარმოსდგება იმისგანა,რომ ჰაერში ერევა სხვა და სხვა ნივთეულებაების "ნაწილები," მაგრამ აზოტი და მჟავისმბადი" იმავე ნაწილებითა რჩებიან ყველგანა.ეს თუმცა გამოკვლეული გვაქვს,რომ ყველგან ერთი და იმავე ნაწილებით არის აზოტი და მჟავისმბადი ჰაერში," მაგრამ რისგან და რა მიზეზით მოხდება" ამგვარი განაწილების მოქლენა ყველგანა, ეს ჯერ გამოკვლეული არ არის.

ჩვენა ვნახეთ, რომ მჟავისმბადი ყველგან მრავალია; ახლა ჩვენ ეს უნდა შევიტყოთ, რომ როგორ გამოვიტანოთ ბუნებიდამ ეს ისე წმიდათა, რომ თავის თავის მეტი არა ერიოსრა ამის ახსნა შეუძლიან ხიმიასა.

(*) უფრო სწორე ეს არის: ასს ნაწილსჭეჭყერში: სამოცდა ცხრამეტი ნაწილი აზოტის და ოცდა ერთი ნაწილი მჟავისმბადი.

ეს ძნელი არ იქნებოდა, თუ შეეიძლებდით ჰაერიდამ აზოტის განშორებასა. ყოველი ცარიელი ბოთლი არ არის მართლა ცარიელი, ამიტომ რომ იმაში ჰაერი იმყოფება,ესე იგი ოთხი ნაწილი აზოტისა და ერთი ნაწილი მჟავისმბადისა. რომ ვიცოდეთ და იყვეს იმისთანა რამ ნივთეული,რომელსაც ჰქონდეს იმისთანა თვისება, რომ შეეძლოს მხოლოდ მარტო აზოტის შთანთქმა, მაშინ იმისმეტიკი არა უნდოდარა, რომ ბოთლში ჩაგვეგდო ამ გვარი აზოტის შთამთქმელი ნივთეული და მასუკან დაგვებეჭდა ის ბოთლი. მასუკან, რაკი აზოტს შთანთქავდა ეს ნივთეული,მაშინ ბოთლში დარჩებოდა მარტო წმიდა მჟავისმბადი. მაგრამ იმისთანა სხეული, რომელსაც შეეძლოს აზოტის შთანთქმა, მეცნიერებას ჯერ არ უპოვნია და იქნება ვერც იპოვონ და არც იყვეს. მაგრამ ყველა ნივთები, რომელიც ჩვენ ვიცით, მჟავისმბადს უფრო ნთქამენ, ვიდრე აზოტსა. ჩვენ ზემოთა ვნახეთ, რომ ნახშირი, გოგირდი, ფოსფორი და რკინა ადვილად უერთდებიან მჟავისმბადსა, მაგრამ აზოტსკი უფრო ძნელად უერთდებიან. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ წმიდა აზოტის გამოხდა და მოპოება უფრო ადვილია, ვიდრემ წმიდა მჟავისმბადისა. და თუ გვინდა რომ წმიდა მჟავისმბადი მოვიპოვოთ, მაშინკი უნდა კარგი ხელოვნება მოვიხმაროთ. ამას განვამარტებთ შემდეგის გამოცდითა.

არის წითელი პარაშოკი, რომელსაცა ქვიან ვერცხლის წყლის მჟავედი; ის არის შემდგარი ვერცხლის წყლიდამა და მჟავისმბადიდამ და არიან ხიმიურად შერთებულნი. ვგონებ, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი მკითხველებისა იცნობდეს ვერცხლის წყალსა, რომელიც არის

თხელი და მძიმე მეტალი. ვერცხლის წყალი იხსნება გოგირდის (აზოტის) სიმჟავეში და შემდეგ სხვა და სხვა ხიმიურის შემუშავებით, შეიქნება წითელი პორროშოკი, რომელიც საწამლავიანია და სრულებით აღარა ჰგავს ვერცხლის წყალსა. ეს პარამოკი როგორც ზემოთ მოყვანილი რკინის ბურთები, შეიცავს მჟავისმბადსა. აი აქედამ, — ცეცხლისა და ერთი სხვა რიგის მომართულების (снарядъ) შემწეობით შეიძლება, რომ კაცმა გამოხადოს წმიდა მჟავისმბადი. მოკლეთ ამის განმარტება და გაგებინება ყოველად შეუძლებელია; და ამისგამო ჩვენ ვეტყვით მარტო ამას ჩვენ მკითხველებსა, რომ წმინდა მჟავისმბადი შეუძლიან კაცმა შეიძინოს მხოლოთ იმ ლონისძიებითა, რომ ის უნდა გამოიღოს (გამოჰხადოს) სხვა და სხვა ნივთეულებიდამ, რომლებთანაც ის ხიმიურათ არის შეერთებბული.

აქ ვგონებ უალაგო არ იყვეს, რომ განუმარტოთ მკითხველებსა: თუ რა არის ეს ხიმიური შეერთება? ანუ რა მიზეზია, რომ მჟავისმბადი აგრე ადვილათ უერთდება სხვა და სხვა ნივთეულებებსა, და აზოტიკი ან სულ არ უერთდება, ან თუ უერთდება — ძალიან ძნელათა.

ჩვენ ზემოთა ვნახეთ, რომ ნახშირი, გოგირდი, ფოსფორი, რკინა, ვერცხლის წყალი უერთდებიან მჟავისმბადსა; ამას დაუმატოთ ახლა ისიცა, რომ ვერცხლი, თითბერი, კალა და სხვა მრავლისაგან მრავალი ნივთეულნი უერთდებიან მჟავისმბადსა. ჩვენა გვკითხამენ ახლა, რომ: რა მოხდებაო, როდესაც მჟავისმბადს შეეახებთ სხვა და სხვა ნივთეულებსა, რომელთაც აქვთ თვისება ამასთან შეერთებისა, ან რა რიგი შეერთება უნდა მოხდეს ამ შემთხვევაშიო? ამ გვა-

რი საგნების ახსნა ჩვენ ძალიან შორს გაგვიყოლიებდა; და ამისგამო ჩვენ ჯერ ვეცდებით, რომ ასახსნელი და გასაგები საგნები რიგზედ დავაყენოთ, რომ შევიძლოთ ყველასა კარგათ ახსნა და კარგათ გავაგებინოთ მკითხველსა. (*)

(შემდეგი იქნება.)

ანტონ ფურცელაძე.

28 აპრილს.

(*) ჩვენ ამ: სტატიის მეორე თავში შეცდომილებით დავსწერეთ. კუპაროსის ზეთი, უნდა იყვეს ასრე: შ ა ბ ი ა-ბ ა ნ ი ს (**купаросное**) ზეთი (ცხიმი.)

ა. ფ.

ოებერელის „ცისკრის“ წიგნში ქრისტეფორე მამაცაშვილის სტატიაში მოხდა რედაქციისა და კორეკტურის შეცდომილებაები, რომლისათვისაც ბოდიშს იხდის რედაქცია როგორც მკითხველებისა, ეგრეთვე წინაშე ავტორისა.

უმთავრესი შეცდომილებანი არიან შემდეგნი:

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
36 გვერდ. — მე უგდებ და ვადევნებ	რაც მე უგდებ და ვადევნებ
40 გვერდზედ: ეს ორო მაგალითი გვიმტკიცებს. და სხ.	რომ აგრეთვე საჭიროა კაცის შესწავლა, რომელთანაც ჩვენ დამოკიდებულება გვაქვს, ეს ყველასთვის ცხადია. ეს ორი მაგალითი გვიმტკიცებს და სხ.
50 გვერ. მკავისმბადიდამ და აზოტიდამ.	მკავისმბადიდამ, აზოტიდმ.
52 გვერ. რასაკვირველია, თითქმის ყოველს მინდორზედ საკმაოდ იპოვება ის საზრდო, რაც არის საჭირო ყოველის მცენარისათვის; მაგრამ. და სხ.	თუნდა კიდეც რომ იყვეს რომელსამე მინდორზედ საკმაოთ ის საზრდო, რაც არის საჭირო რომელიმე მცნარისათვის; მაინც და სხ.
53 გვერ. უორგანო საგანნი (წყალი ჰაერი და სხვა)	უორგანო საგანნი, რომელიც კაცის საზრდოთ არიან საჭირონი(წყალი,ჰაერი და მარილი)
ამავე 53 გვერ. (მაგალითათ ლობიოს, ხორბალს, თიეას და სხვა)	(მაგალითათ ლობიოს, ხორბალს და სხვა).

1 8 6 7 წლის

»ცისკრის« დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიეროთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

»ცისკრის რედაქციაში ტფილისს«.

Дозволено цензурою 1867 г. 15 Марта.